ლიტერატურული გაზეთი

№19 (131) 17 - 30 ოქტომბერი 2014 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 50 თეთრი



ლია სტურუა

როდემდე?

ორნი ხართ სახლში:
შენ და საწერი მაგიდა.
თუ შუაში სინათლე,
ყველაფერი გამოგივა.
ჰედონიზმი სხვა მაგიდისაა,
მრგვალის და გაპრიალებულის,
ისიც აქვეა, ოღონდ,
მხედველობის არედან წაგივიდა
დიეტის გამო?
ხორცი თუ არ ჩამოიყარე,
სინათლესთან ვერ იცხოვრებ,
სულ ერთი წუთისთვის, ერთადერთი კულმინაციისთვის!
ამიტომ ეს შინაური ალპინიზმი?
და იქვე ვარდნა, ისეთი სისწრაფით,
რომ იატაკი სახეში,
ან იგივე მაგიდა!
ხორცს როგორღა გაიზრდი? მეტაფორულად?
რაც დიეტაში არ შედის,
ლიტერატურული კალორიულობის გამო
ისევ უკან რომ... ჰედონიზმისკენ?...
ასოციაციების გზა — სუფთა აბრეშუმი,
სარჩულში ჩიხებით
რომელია ყველაზე სევდიანი?
სადაც ისევ შენ, საწერი მაგიდა,
სინათლე შუაში
როდემდე გამოგივა?

* * *

წვიმა მიდის,
მისი მონარჩენი ძაფებისაგან
აბრეშუმის კარვებს დგამენ ქუჩაში
კრეატიული ადამიანები
მესამე თვალის დასანახად, მეექვსე გრძნობისთვის
საიდან ეს გამრავლება საკუთარ თავზე?
რატომ ვახტებით ორჯერ ორის უკვდავებას?
ორთავ თვალის სინათლეს?
ის მესამე ეჭვის თვალია,
კანონიერი შუბლის შეცდომა,
მეექვსე გრძნობა — უკონტროლო,
სულაც დისიდენტი,
ცხვირის, ანუ ყნოსვის გარშემო
იშენებს სახეს, ასე ამყარებს ურთიერთობებს,
ასე ემიჯნება სასტიკ სამშობლოს,
წვიმა მიდის,
ვერცხლის ნაფეხურებს ტოვებს
შეუძლებლობის ბოლოში...

///

დჰამაპადა

ძველი ინდური ეპოსიდან

* * *

თუ ერთმა ბრძოლაში ათასჯერ სძლია ათასს, მეორემ კი — მხოლოდ თავის თავს, სწორედ ისაა გამარჯვებული.

* * *

რა დროს სიცილია და სიხარული, როცა მთელი სამყარო იწვის. ბნელით მოცულნი რატომ არ ეძებთ სინათლეს?

* * *

ძვლებითაა ნაგები ეს სიმაგრე, სისხლითა და ხორცით ნალესი; სიბერე და სიკვდილი, სიცრუე და პირფერობა ჩაკირულია მასში.

* * *

ბრმაა ეს ქვეყანა; ცოტანი თუ ხედავენ კარგად. როგორც ბადიდან თავდაღწეული ჩიტი, მხოლოდ ცოტანი თუ დაივანებენ ზეცად.

* * *

ძნელია კეთილშობილი კაცის მოძებნა, ის ყველგან როდი იბადება. მაგრამ სადაც იბადება ბრძენი, იქ ყვავილობს ნეტართა მოდგმა.

* * *

ო, ჩვენ ძალზე ბედნიერად ვცხოვრობთ, თუმცა არა გაგვაჩნია რა; ჩვენ ვსაზრდოობთ სიხარულით, როგორც სხივმფინარე ღმერთები.

* * *

ამ ქვეყნადაც ხარობს ის და იმ ქვეყნადაც. ორსავე ქვეყნად ხარობს კეთილმოქმედი. ხარობს და ნეტარებს თავის კეთილ საქმეთა შემყურე.

* * *

დაე, ბრძენმა სერიოზულობით, თვითშეზღუდვითა და თავშეკავებით შექმნას კუნძული, რომელსაც ვერ შემუსრავს წარღვნა.

* * *

სერიოზულობა უკვდავების გზაა. თავქარიანობა — სიკვდილის. სერიოზულნი არ კვდებიან, თავქარიანნი კი მკვდრებს ჰგვანან.

* * *

მხოლოდ ცოტანი თუ აღწევენ მდინარის გაღმა ნაპირს, დანარჩენნი კი უმწეოდ ფუთფუთებენ გამოღმა.

* * *

კეთილგონიერისა და თავის თავში ჩაღრმავებულის ერთი დღე ჩრდილავს ბიწიერი და გარყვნილი ას წელს.

* * *

თუ ხელი არ დაჭრილა, შეიძლება შხამი ატარო ხელით. ვინც ბოროტს არ იქმს, ბოროტებას არ ემონება.

* * *

გაცვეთილია ეს სხეული, ხრწნილების ბუდე, სხეული, მსწრაფლწარმავალი; ეს ხრწნადი გროვა იშლება, რადგან სიცოცხლის დასასრული არის სიკვდილი.

* * *

დაე, ჯერ სათანადოდ იზარდოს; შემდეგ შეუძლია ასწავლოს სხვასაც; ბრძენი არ გადავა გზიდან.

* * *

ბოროტება თვითმბადია, თვითნაბადი; ისა სძლევს ბრიყვს, როგორც ალმასი — ძვირფას ქვას.

* * *

როგორც ის ასწავლის სხვებს, დაე, ასევე მოიქცეს თავადაც. სრულად რომ მოითვინიერებს თავს, ის სხვების მოთვინიერებასაც შეძლებს. ჭეშმარიტად ძნელია მოითვინიერო შენი თავი.

* * *

შენთვის ცუდი და მავნე საქმის კეთება ადვილია, მაშინ როდესაც კარგი და სასარგებლო საქმისა, — უკიდურესად ძნელი.

* * *

მიდით და შეხედეთ ამ სამყაროს, სამეფო ეტლის მსგავსს! იქ, სადაც ფართხალებენ ბრიყვნი, ბრძენის ადგილი არ არის.

* * *

ვინც კეთილი საქმით ისყიდის მის მიერ ჩადენილ ბოროტებას, ისე ანათებს ამ სამყაროს, როგორც ღრუბლებიდან გამონაშუქი მთვარე.

* * *

გამძლეობა, ხანგრძლივი თმენა, უზენაესი ასკეტიზმია, უზენაესი ნირვანა, — ამბობენ ნათელფენილნი, რადგან ვინცა ვნებს მოყვასს, განდეგილი როდია, და არც სხვისი შეურაცხმყოფია მწირი.

* * *

ოქროს მონეტათა თავსხმაც ვერ დააკმაყოფილებს ვნებებს. ბრძენია ის, ვინც იცის: ვნებები სნეულებებია და მათგან ვერ ნახავ სიხარულს.

* * *

ყოველგვარ თავშესაფარს აწყდებიან შიშით ტანჯულნი; კლდე-ღრეს, ჭალას, ტყეს და სამარხებს.

* * *

ძნელად თუ ჰპოვებ კეთილშობილ ადამიანს: ყველგან როდი იბადება იგი. მაგრამ სადაც იბადება ასეთი ბრძენი, იქ ყვავილობს ბედნიერი ერი.

* * *

ო, ჩვენ ვცხოვრობთ ბედნიერად, უმტრონი მტერთა შორის; მტერთა შორის ვცხოვრობთ უმტრონი.

* * *

ო, ჩვენ ვცხოვრობთ ძალზე ბედნიერად, თუმცა არაფერი არ გაგვაჩნია; ჩვენ თავს ვირჩენთ სიხარულით, როგორც სხივმფინარე ღმერთები.

* * *

ჯანმრთელობა უდიდესი გამარჯვებაა; კმაყოფილება — უდიდესი სიმდიდრე; ნდობა — ნათესავთაგან უკეთესი; ნირვანა — უდიადესი სიკეთე.

* * *

საამოა ხედავდე კეთილშობილთ; სიკეთეა მათ შორის ყოფნა; დაე, ყოველთვის ბედნიერი იყოს ის, ვინც ვერ ხედავს ბრიყვებს.

* * *

საამოსაგან იბადება მწუხარება, მისგანვე იბადება შიში. იმისთვის, ვინც განერიდა საამოს, აღარც სიამოვნებაა და აღარც შიში.

* * *

ვინც უზადოა ქცევით, ბრძენი, ცოდნით სავსე და ქველი, დღე და ღამ ადიდებენ ბრძენნი.

* * *

შეჰქმენი შენთვის კუნძული, იბრძოლე მედგრად, იყავი ბრძენი, სიბილწისაგან გაწმენდილი, უზადო, და მიაღწევ კეთილშობილთა ციურ სავანეს.

* * *

ნელ-ნელა, დრო და დრო, ჩამოიბერტყე შენგან მტვერი, როგორც მჭედელი ბერტყავს მტვერს ოქროს ნივთთაგან.

* * *

არ არის ცეცხლი, მსგავსი ვნებისა, არ არის სპაზმა მრისხანების მსგავსი, არ არის ბადე, მსგავსი ტყუილისა, არც მდინარე, სურვილის მსგავსი.

* * *

ცაში გზა არ არის, არც განდეგილი ჩვენს მიღმა; ხალხი ხარობს ილუზიებით. ზოგიც თავისუფალია მათგან.

* * *

ვინც ბედნიერებას დაეძებს სხვების საზიანოდ, სიძულვილის მახეში გაბმული თავს ვერ დაიხსნის ზიზღისგან.

* * *

იმას, ვინც სავსეა რწმენით და სიქველით, სადაც არ უნდა მოხვდეს, პატივს სცემს ყველა.

* * *

რაც არ კეთდება, სჯობს ცუდად ნაკეთებს; აკეთე მტკიცედ, რადგან დაქანცული მგზავრი უფრო მეტ მტვერს აყენებს.

* * *

საამოა დედობა ამ სამყაროში; მამობაც საამოა; საამოა განდეგილობაც და ბრაჰმანობაც.

* * *

ის თავისუფალია სურვილთა და ვნებათაგან, ერთგულია ტყეში ცხოვრების, და მაინც გარბის სურვილთა ტევრში. უყურეთ ამ კაცს: თავისუფალი — უღლისკენ გარბის.

* * *

ღვარძლი აფუჭებს ყანებს, სიბრიყვე აფუჭებს ამ ხალხს. ამიტომ იმას, რაც მიეცა სიბრიყვისგან თავდახსნილთ, დიდებული ნაყოფი გამოაქვს.

* * *

ყოველთვის, როცა ის მთელი სისრულით შეიცნობს ელემენტთა წარმოშობას და ნგრევას, სიხარულით აღვსილი ბოლოს მოუღებს ტანჯვას.

* * *

თვითონვე ხარ შენი თავის ბატონ-პატრონი, რადგან შენვე ხარ შენი გზა. ამიტომ თვითონვე მოათვინიერე შენი თავი, როგორც ვაჭარი ათვინიერებს თავის რაშს.

* * *

მზე ბრწყინავს დღისით, მთვარე ანათებს ღამით; მეომარი ელავს აბჯარში, ბრაჰმანი კი — ფიქრისას; მაგრამ დღედაღამ თვალისმომჭრელად ბრწყინავს ნათელფენილი.

* * *

მე ბრაჰმანს ვუწოდებ იმას, ვისთვისაც არ არსებობს არც ეს ნაპირი და არც ისა, არც ერთი და არც მეორე ერთად, ვინც უშიშარია და თავისუფალი ბოროტისაგან.

* * *

ვინც უკუაგდო ბოროტება, ბრაჰმანად იწოდება; ვინც მშვიდად ცხოვრობს, — განდეგილად; თავისი მწვირისგან გაწმენდილს კი სპეტაკად იხსენიებენ.

* * *

არ შეიძლება დაარტყა ბრაჰმანს, მაგრამ, დაე, ნურც ბრაჰმანი გადმოანთხევს თავის რისხვას შეურაცხმყოფელზე. სირცხვილი იმას, ვინც დაარტყა ბრაჰმანს, და უფრო დიდი სირცხვილი, ვინც რისხვად დაატყდა შეურაცხმყოფელს.

* * *

მე ბრაჰმანს ვუწოდებ იმას, ვისაც არ ჩაუდენია ბოროტება, არც სხეულით, არც სიტყვით, არც აზრით, — ვინც თავს იკავებს სამი რამისგან.

* * *

რას გარგებს, ბრიყვო, აწეწილ-დაწეწილი თმები? რას გარგებს ტყავის ტანსაცმელი? შენს შიგნით ხომ ჯუნგლებია! შენ მხოლოდ გარეგნობაზე ზრუნავ.

* * *

კაცს, რომელიც ატარებს მტვრიან სამოსელს, გაწლობილს, გაორებული ვენებით, მარტოხელას მოაზროვნეს ტყეში, მე ვუწოდებ ბრაჰმანს.

* * *

მე ბრაჰმანს ვუწოდებ მას, ვინც გაგლიჯა ბორკილი და სულაც არ ცახცახებს შიშით; ვინც დასძლია სიყვარული და განეშორა ქვეყანას.

* * *

მე ვუწოდებ ბრაჰმანს იმ ნათელფენილს, ვინც ჩამოიცილა დაბრკოლება და გაწყვიტა ბორკილი, აღვირი და შოლტი.

* * *

ბრაჰმანები გაჩეჩილი თმებით, გვარეულობით და დაბადებით როდი ხდებიან; ვისშიაც არის ჭეშმარიტება, ისაა ბედნიერიც და ბრაჰმაც.

* * *

მე ბრაჰმანს ვუწოდებ მას, ვინც არ კლავს და არც სხვას აიძულებს მოკლას, ვინც ჯოხს არ აღმართავს ცოცხალ არსებათა, არც მხდალთა და არც მამაცთა თავზე.

* * *

მე ბრაჰმანს ვუწოდებ მას, ვისაც არაფერი სურს არც სააქაოს და არც საიქიოს, ვინც განდგომილია და არაფრისკენ არა აქვს მიდრეკილება.

* * *

მე ბრაჰმანს ვუწოდებ მას, ვინც მთვარესავით ულაქოა, სუფთა და წმინდა, აუმღვრეველი და აუღელვებელი, ვისთვისაც ჩამქრალა არსებობის სიხარული.

* * *

მე ბრაჰმანს ვუწოდებ კაცს, ყველა სამყაროს მძლეველს, ვინც უარყო სასიამოვნოც და უსიამოვნოც, ვინც გულგრილია და გზას იჭრის ახალი დაბადებისკენ.

* * *

მე ბრაჰმანს ვუწოდებ მას, ვისთვისაც ცნობილია მისი უწინდელი არსებობა; ვინც ხედავს ზესკნელსაც და ქვესკნელსაც; ვინც ბრძენია და ყოვლის მცოდნე. მან აღასრულა ყველაფერი, რისი აღსრულებაც შესაძლებელია.

თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ



პერსონაჟები

არც არასდროს მქონია
მრავალპერსონაჟიანი ცხოვრება
ისე, სხვათაშორის, იყვნენ,
მიდიოდნენ, მოდიოდნენ,
ტრამვაის წითელი ცხვირსახოცი
ედოთ ჯიბეში — ესენი გულთან უფრო ახლოს,
ეკლესიასთან — ქალები,
დაღლილი ფეხსაცმელებიდან თეთრად ამოსულები,
გათენებასავით,
ორღობის ენაზე მოლაპარაკე მასას
ქოროს პარტია გაჭირვებით, მაგრამ
მაინც მიყავდა და სად არის გმირი?
რას ვკითხულობ?
დეჰეროიზაცია თვითონ არ მოვახდინე?
და ახლა მინდა, ვინმემ ღამეში რძე ჩამისხას,
გრძელი დღე იყო, საწოლის აღარ მეშინოდეს,
არაადაპტირებული ტექსტით მელაპარაკებოდეს
კედლის იქიდან, არ დაინახონ,
პოეზიის ციტატებს როგორ ვეყუდები
და ვტირი... ეს ყველაფერი მინდა,
მაგრამ კარგად ვერ გამოვიგონე,
მეხსიერებამ უფრო წითელი
და ჩქარი სისხლი მიკარნახა,
კარდიოგრამა ახტუნავდა,
გადიდებულ ღვიძლს ორი თითი დავაკელი,
წიგნი სტამბაში გამიჩერეს,
აღარც გმირი გამომივიდა, აღარც პერსონაჟი,
ეპიზოდური როლებისთვის სკამებიც ივარგებს,
საწოლი, საწერი მაგიდა
რით არ არიან პერსონაჟები?
ან ისინი, ტრამვაის წითელი ცხვირსახოცით
ჯიბეში? სიკვდილმა კი გააბრტყელა,
მაინც მოდიან,
ან თაბახის ფურცლები გათენებასავით...
მე მკვდრის ენაც მესმის,
როცა ტოტი ამოსდის პირიდან.

რომელი გული?

ცალკე — ემოციები, ცალკე სისხლის ქაჩვა,
ამხელა წითელი მასა!
რომ მიატოვოს და ტვინში ავიდეს,
რევოლუცია მოხდება ერთი ტანის ფარგლებში,
პათოსი წითელ დროშებს გამოფენს,
ნაღველი — ყვითელს,
ლოგიკა პარალელურ ხაზზე ივლის,
ერთმანეთს არ გადაკვეთენ,
ხორცი რაა? ადვილად აალებადი მასალა,
იმპერატივს ვერ მიუყენებ,
იწვის და იწვის,
მოსწონთ და მოსწონთ,
აი, როცა შეეცოდებათ
და მაცივარში ჩადებენ,
აუტანელი ფერის მიუხედავად,
ჩვეულებრივი ხორცობა რომ დაუმტკიცონ,
მაშინ მოკვდება.
ხომ შეიძლება,
მწიფე მინდორიც გონებოდათ,
უფრო სწორედ, მისი ნაწყვეტები,
საზეპირო ადგილებივით დამახსოვრებული
ზამთრის გადასატანად...
გულს რომ ლოგიკისკენ არ გაეწია,
ასეც იქნებოდა.

* * *

გუბეში ვიხედები,
სახეზე ფეხს ვიდგამ,
ამის გამო დარდიანი ვარ
კაცმა გაიარა,
მანდარინის ნაფცქვენი დაუვარდა,
მზესავითაა...
ფერის სიმართლე ზევით ამახედებს,
ნაფეხურებიანი სახის კი მერიდება,
კუზიდან გაჩენილი ბავშვებისაც,
დიდხანს ვინახავდი, მარილი მეტი მომივიდა,
ნიჭი გაეზარდათ,
რომელიმე მყვირალა ფერის...
რომელი ვთქვა ამ გახურებულ ურბანიზმში?
მანდარინის გამოყენებული, ნახმარი მზე
პროტესტს იწვევს,
ქუჩაში მოდიან,
ტალანტის ტოტებს მოარხევენ,
რომ არ დამეჯახონ,
ისევ გუბისკენ გამწევენ შინაური ჟესტით,
რაც სულ არ გავს მკვლელობას...

? ? ?

სად შეიძლება დაიმალო?
კუჭში რომ გამაგრდე,
მერამდენე რაბლე უნდა ჩაყლაპო?
მოგბეზრდა.
გულში — ინფარქტები ნაფლეთებად გაქცევენ,
თავში ხომ არ ჯობს?
მაინც ისტორიულ კოშკობას ცდილობს,
თავისი პროფესიონალი მოჩვენებებით.
შთაგონებას როცა ახურებდი,
კანაფის მინდვრებს არ იზრდიდი
ამ თავში?
რა მოხდა? თითი გაგეჭრა
და სისხლში ლაბორატორია შეგივიდა,
რეტორტებიდან ბავშვების ამომყვანი,
დედობრივი სენტიმენტების გარეშე?
ღმერთის რაღა დაგრჩა?
ლავიწის ძვლების უმწეობა?
ვინ შეუკვეთა? იმან, მხარი რომ შეზნექილი ჰქონდა
შენი თავისგან?
დაიღალა ამდენი უჩვეულობით,
ბანალური ფუძის გარეშე და წავიდა?
შენ გაგიმართლა მენდელეევის ტაბულაზე დგომამ?
გაუფრთხილებლად ფეთქებადი მოცემულობიდან
ფორმულების გამოყვანამ?
ცეცხლი სადღაა? თუნდაც ის,
რომელშიც ხელნაწერები იწვიან
და ხე ამოდის წითელპერანგა,
ისევ ეძებენ? ამის გეშინია, ტყვიის?
დიაგნოზის მკვდარი ლათინურის!?
რატომ იმალები სანგარში?
ხე რომ არ დაინახო, წითელპერანგა,
უკუღმართი სიმღერის გმირი?

მზე ისევ დედაა?

რა კრიზისი!
შრომის ბირჟაც არ მჭირდება,
დავდივარ და ჰაერს ვყიდი.
როცა შემცივდება, მზეზე ვწერ,
მის მცხუნვარებაზე და საფუძვლიანობაზე.
დიდი ხნის დავიწყებული ნაცნობი მირეკავს:
— წავიკითხე და ვერ გავთბიო.
სანამ მთავარ საქმეს ვაკეთებდი,
ეტყობა, აბსტრაქციისკენ გამექცა:
სოლფეჯიოს გული, ნოტი სოლ!
რა შუაშია მხურვალება!
გუშინდელი დღესავით რომ შევათბო,
ოჯახური იერი მივცე,
ჰაერს ვიღა გაყიდის,
რომელიც ორი კაპიკი კი ღირს,
მაგრამ უფასო დამატებად ლექსები მოყვება
ან გადაყრიან,
ან აუტიზმიანი ბავშვებივით აყვებიან.
როგორი მზეა სოლფეჯიოს გული,
ნოტი სოლ!
ნუ მოსთხოვთ ერბოკვერცხის სიაშკარავეს!
მასთან ინცესტისგან ბავშვები ჩნდებიან,
მონადირეებიც,
ამ უშედეგო კათარზისების დასახვრეტად.
სისხლის სირბილი, დოლები თავში ამის გამო
საყოველთაო ლობოტომია?
ოღონდ არა სიმარტივისთვის, აგრესიისთვის
ვინ უნდა მოვკლა? საკუთარი თავი?
უმუშევარი, დაბნეული.
ლექსების შეთბობა რომ ავიწყდება
ხმარების წინ, როცა მის თაობას სცივა...
ჩაიში იხედებიან და თვალებში ქინქლებს იყრიან,
კაფკა გადამდებია, შაქარი გაუთავდათ...

რაულ ჩილაჩავა

ვულკანი

მაისი ისევ ურევს ამინდებს,
ხან წვიმებია, ხან ქარებია
და სანამ დარი მწვანეს ამინთებს,
ვენდობი დღეებს ანგარებიანს.
შენი ხელები მკერდზე მაწყვია,
ხოლო თვალები კრთიან ჭიტებად.
მზე ჩამავალი თითქოს მარწყვია
და ჰორიზონტზე გაიჭყლიტება.
დავემშვიდობე ყველა მკვდარ მიზანს,
ვუწიე ვნების საშიშარ დონეს
და ნერწყვმომდგარი ვუმზერ პარმიზანს
და მწვანე ბოთლში მბზინავ შარდონეს.
ვიდრე ეს გზნება ჰყვავის ვარდებად,
დივანზე ზეწარს გაფენ უარით
და ზედ ვულკანად გავარვარდება —
შენი აზღუდი და პენუარი.

დილა მესტიაში ანუ ქალი სარკეში

ქალი სარკესთან იცვამდა კაბას,
იჭერდა სარტყელს, იკრავდა ღილებს.
მზის სხივებს, დილის ცვარ-ნამით ნაბანს,
ხოტბას ასხამდა უშბადან „ლილე“.

ნისლში ჰყვებოდა ნაღველი მქრქალი,
მდელოს სურნელი ამოდ დიოდა.
იმზირებოდა სარკეში ქალი
და... მზე სარკიდან ამოდიოდა.

უორდროპები

აქეთ — მარჯორი, იქეთ — ოლივერ,
თავზე დაჰხარის „ვეფხისტყაოსანს“
და უსამანო გზნებით ორივე
ეტრფის მესხეთსაც, ეტრფის ტაოსაც.

შეჰყვარებია და-ძმას ბრიტანელს
ჩვენი ცისა და მიწის მშვენება
და რაც მათ სითბო ჩამოგვიტანეს,
მყოფადს ხიმინჯად შეეშენება.

ხან მობრიალე მზე ეკიდებათ,
ხან გრძნობენ სუნთქვას, სტვირში ჩაბერილს,
როცა უხსნიან ქართლის დიდებას
დიდი ილია და მაჩაბელი.

ამ ზვიად კაკლებს დღე-ღამის ომი
წინ დაუხვავებს გაისს მორებად
და წარბებს შეჰკრავს ინგლისის ლომი,
როს შოთას ვეფხი გაიზმორება.

პიკვიკის კლუბი

შემომეყარე პიკვიკის კლუბთან,
სადაც ელოდა ყავას პიკვიკი.
თვალს იტაცებდა გარემო სუფთა
და დავარცხნილი, ხოლო იქვე კი

ახმიანებდა ვიღაც კლავესინს,
თითქოს სივრცესთან შერწყმა სწყუროდა,
და თვით ვარსკვლავზე უვარსკვლავესი
შაშვი გალობდა კედლის სუროდან.

მე შენს თვალებში სევდა ვიხილე,
მაგრამ სიტყვის თქმა არ დამაცალე,
და როს დუმილის ხილიც ვიხილე,
დამიმარტოვე და დამაცალე.

აღმოვაჩინე ჩემში მე თმენის
ნიჭი ულევი, მარაგი ბევრი...
შევდივარ კლუბში, როგორც ჯენტლმენი
და ვხდები მისი რიგითი წევრი.

→

გადარჩენილი წვეთი

მე შენ მახსოვხარ ტანად აღნაგი,
ხორბლისფერ თმებში ცისფერი ბანტით,
როგორც ზურმუხტის მკრთალი წახნაგი
და ანგელოსის შემკრთალი ლანდი.

გადაიქროლა ჟამმა ქარივით,
წინ მხოლოდ წელთა ნამუსრევია.
მწვავს ხმები ყალბი და ნაჩქარევი
და ბზა, რომელიც ნამუსს რევია.

მე კვლავ შორსა ვარ, მხოლოდ ამ თაროს
შემორჩა წიგნი შენზე ლექსებით.
ცას სურს ზაფხული გააზამთაროს,
მე კი მზის ნამსხვრევს ვეალერსები.

როგორც გვიანი ყვავილი ტყემლის,
ჩამოუფერთხავს გრძნობები წვიმას
და შენს სურათზე ობოლი ცრემლი
გადარჩენილი წვეთივით ბრწყინავს.

შიშველი

შენს სხეულს კაცი არ შეხებია,
ხარ სათნოება წყლისპირას მდგარი.
რომ მოგესხურა, ტალღის შხეფია,
რომელსაც მალე შეგაშრობს ქარი.
შენი სიშიშვლე აგიჟებს მამრთა,
თუმცა არ იმჩნევ, რომ ხარ შიშველი.
აქ როგორ გაჩნდი ერთბაშად მართლა,
მეც რომ გავგიჟდე, თქვი, თუ მიშველი!
ასე მგონია, ტყვე ხარ ფაქიზი
ჰანგი სხმიერის და საამოსი.
ველური ვნება გიკრთის ბაგეზე
და არც კი იცი, რაა სამოსი.
ნეტავ, ოდესმე ეს იდილია
კვლავ დამიბრუნდეს, ვით ბუმერანგი...
შენს შორიახლოს ვერხვის ჩრდილია,
როგორც ქალწულის მქრქალი პერანგი.

დროის გომბეშო

ვუყურებ ჟამთა გარდასულ კადრებს
და გზის საკვლევად მჭირდება რუკა.
რაც უკანაა, წინ იყო ადრე,
რაც დღეს წინაა, იქნება უკან.

ერთდროს ყველანი ვიყავით დუბლი
და მხოლოდ ვისაც წყალობდა მწვრთნელი,
მან გადალახა ნანატრი ზღურბლი
და დანაღმული გადავლო ველი.

მე აქეთ-იქით ვაპარებ მზერას,
იქნებ შევნიშნო ნაცნობი სახე!..
მზე სხივებს მაფრქვევს, მიშველის მზე რას,
როცა გარშემო ვერავინ ვნახე!

დროის გომბეშო მსოფლიო გუბეს
დაუფლებია და ავად ქშინავს...
გასკდება მალე ცისკიდის უბე
და მიხსნის თავსხმა უდაბნოს შინა.

ქუჩის პაგანინი

არ დასჭირდება ბაქანი ნიავს
და არც გახდება როსმე ეული.
ის თითქოს ქუჩის პაგანინია,
ვერხვის ტოტებზე დაკვრას ჩვეული.

რაულ ჩილაჩავა

ხედავენ სიზმრებს ბაღნი, ბაგანი,
პურის ყანაში ქვითქვითებს მწყერი,
მე კი ვერხვის ქვეშ ვუსმენ პაგანინს
და მნთქავს ბგერების შლეგი მეწყერი.

სვირინგი

ნაღდი სვირინგი მე მკლავზე ვიცი,
და — კიდევ ბეჭზე, და კიდევ — მკერდზე.
მათ შორის, როგორც კლაუზევიცი,
გამარჯვებათა სიმბოლოს ვეძებ.

რაკი ცხოვრება სულ რინგებია,
შენც შენი დაღი დაასვი რინგებს
და იმ ტრიუმფებს, რაც კი გრგებია,
თვითონ განგება დაასვირინგებს.

ცოდვის ხნულები

ლიელუპეში ჩვენ შევცურდით დაუგავიდან,
დარზინშის ვალსი იღვრებოდა კოპწია გემზე.
ვსვამდით შავ ღვინოს...
(გამახსენდა რატომღაც „გამზა“)...
აუ, მას შემდეგ თურმე ხუთი წელი გავიდა!

ვსვამდით შავ ღვინოს... შენ იდექი კიჩოზე მშვიდად,
გიფრიალებდა ცისფერ კაბას ეშმაკი ქარი.
ჩვენს მხარეს იყო იმ საღამოს დინება ჩქარი
და ცოდვის ხნულებს გულმოდგინედ შლიდა და შლიდა!

„ჟუჟუნას მზითევი“

კინოთეატრი „ყაზბეგი“... გადის „ჟუჟუნას მზითევი“...
მე პირველ კურსზე ვსწავლობ და
კინო ღირს ოცი კაპიკი.
ის დროა, როცა ბრწყინდება შორი ბიბლიის მზითევა,
ხოლო უფრო შორს აპისის ამაყ ქედს უჭერს ტაბიკი.
ის დროა, როცა გწყურია ჯერ ღვინო და მერე წყალი
და მხოლოდ შემდგომ გინდება რამე სადანე, საჩანგლე...
ჭიკჭიკებს კინოთეატრში შემოფრენილი მერცხალი
და, ჰა, საცაა ჟუჟუნა თანხმობას ეტყვის მაჭანკლებს.

სიყრმის კარიდან

ვფიქრობ, სად გაქრა ძველი კარადა,
ძველი მაგიდა, ძველი წიგნები?
შინ შემოვედი სიყრმის კარიდან,
მაგრამ ვერა ვარ მათი მიმგნები.
აქ რომ ემბაზი ედგა პაპაჩემს,
აქ რომ მამაჩემს ედგა გარაჟი,
გადაუსვრიათ დროის აპაჩებს
უსასრულობის ნიაგარაში.
თრთიან კედლები, როგორც ობლები
და შველას მთხოვენ, თითქოს ომია...
ჩემი საწოლიც რკინის ბორბლებით
თვალმიუწვდომელ გზას გასდგომია.
აქვე კუთხეში წკმუტუნებს ძაღლი,
თითქოს სწადია ფეხქვეშ გაგება.
ნაცნობი ხმები ჩამესმის მაღლით,
მაგრამ რატომღაც მიჭირს გაგება.

მოტყუებული

ველურ ნაპირზე კოცონს ვაჩაღებ
(დღეს დაიწვება ეს ბოლო მორი...),
მშვიდობით, სახლო, ვხდები ყაჩაღი,
მელის კოლიმა ან ბელომორი.
გააქვთ ლაპლაპი ნაპერწკლებს ბინდში,
მდინარის წყალი მთვარეს ირეკლავს.
არ გამეგება მე ინჩიბინჩი,
ციაგს რომელი მონადირე კლავს.
დაგწყდება გული მართლა, აბა, რა,
როცა ვერ იმკი მას, რაც დათესე
(მე გავექეცი მაცთურ ლაპარაკს
ზარის ხმასა და შეშლილ მნათეზე).
შეველეწები ერთხელაც ჯებირს,
როგორც ტივიდან გამძვრალი მორი,
ჯერ კი გიზგიზა კოცონთან ვრჩები,
მოტყუებული, ვით კარლ მოორი.

ზღურბლზე

კედელს შპალერი ჩამოხევია
(მე აქ ვიყავი დიდი ხნის წინათ)...
ეზოს გადაღმა ჩუმი ხევია,
სადაც ბავშვობის ზმანებებს სძინავთ.
ნაძვს გასცვენია გამხმარი წიწვი,
ღობეს აკლია უხვად მესერი
და... მწუხრის ცაში ვარსკვლავი იწვის,
როგორც დუელის მერე „მესერი.“
მე აქ არ მტოვებს ორმაგი განცდა,
ცალკერძ სიამის, ცალკერძ ტკივილის,
მაგრამ რას ვიზამთ, ბედია კაცთა:
შეცვლის ოდესმე სიცილს კივილი.
მე ვდგავარ ზღურბლზე... თითქოს ბებია
მომეხვევა და მომიალერსებს.
წინ ცარიელი დარაბებია
და ჩემი ლანდი მოჩანს შპალერზე.

ქუქურა

პაპაჩემს ჰყავდა ცხენი ქუქურა,
ცხენი კი არა ფრთოსანი რაში,
ჩემი ბავშვობის მზე და შუქურა,
გაბრწყინებული ორმოცდარვაში.
იყო თენება უდარდელ დღეთა,
მე ყრმა ვიყავი, ის კი — ფაშატი.
მილივლივებდა შორეთში ლეთა,
ღობესთან ყვითლად ჰყვაოდა ფშატი.
და გრძელდებოდა ასე ზღაპარი,
წამთა ქროლვაში, წელთა ბრუნვაში.
ცხენს ეზრდებოდა ოქროს ფაფარი
და მასთან ერთად მე — წვერ-ულვაში.
ჩვენ რჩეულები ვიყავით პაპის,
(ო, მისი ზრუნვა მაინც რა იყო!..)
სანამ მოვადექ მე ლეთის ნაპირს,
ქუქურა უკვე ლეთამ წაიღო!

ეს იყო როდის...

გადამტყდარ ტოტზე იჯდა მესკია
და ხის ღარიდან დიოდა წყალი.
იდგა თიბათვე, მაგრამ ეს კია,
არ ჩანდა თუნგი, არ ჩანდა ქალი,
ვინც წაიღებდა ოჯახში ამ წყალს
ან მიუტანდა მონაზონს საწყალს,
ძველ სამლოცველოს უფლისფრესკიანს
რომ დარაჯობდა... გადამტყდარ ტოტის,
ჩიტის, მონაზვნის, წყლისპირა ლოდის
გახსენებაზე მე ისევ დამცხა,
თუმცა ეს იყო... ეს იყო როდის!

ვაჟა ხორნაული

მდინარე ფონის გარეშე

აღმართზე მგზავრი
მგზავრში ციერი
(გამოაბრწყინეს
ბროლი დილებმა)
მწვანე ტალღაზე
ალი იელის
და ნაპირების
მოგვირილება.

სადღაც ნიღაბი
სადღაც ფაცერი
(კოშკები —
ვიწრო სარკმლიანები)
ყანის ადგილზე
შამბი საცელე
ჟამი
მესიის დაგვიანების.

სადღაც მუსიკა
ნგრევა სიჩუმის
(ელვადაკრული
ფიქრის კენტობა)
სადღაც ხატებთან
მდგარი მიჯნური
ტანჯული როა
ჩრდილზეც ეტყობა.

ნათება გემის —
ზღვაში შესულის
(მხარს დაუმშვენებს
კვლავაც იღბალი)
სიკვდილ-სიცოცხლე —
ორი მეგზური
დაუსრულებელ
დღესთან მიმყვანი.

გიკვირს და გტკივა

მახლობელო და შორით მჩინარო
გაზაფხულს ღალა გამოელია
მაგრამ იმედი მოპირმცინარობს
და განსაცდელის ხარო ბევრია.

აქ სხვა ცეცხლია და სხვა ყინული
ქარმა გაფანტა ზღვაზე ნავები
დამდგარა ჟამი თავდაყირული —
მოსპობისა და გავერანების.

ცა მდუმარეა და დრო ფერმკრთალი
მზე სადაცაა დარდი იქ არი
გიკვირს წინაპრის ნამოქმედარი
და გტკივა მისი ნაბილიკარი.

მარადიული წვა და ლოდინი
გამოღვიძება ფესვის კივილზე
მტერი — ღალატის ხმალამოწვდილი
ისევ ათასი მხრიდან გიმიზნებს.

მშვენიერებამ თუ ვერ იომა
გაქრება მადლი და ხმა ზარების
გზებს დაობლებს უმესიობა
აბალახდება ნატაძრალები.

ომის ტალღებზე მოცახცახეთა
გამქრალა ხსოვნა როგორც ღემადე
სიკვდილს თვალებში როცა ჩახედავ
მამულის სითბოს უნდა ხედავდე.

მანათობელი თუა შანდალი
და სურნელება თუა მირონის
არ წაიშლება ფიქრი მართალი
დაეცემიან უამინონი...

გულში მყოფო და შორით მზირალო
ნაღვლიანია სიბრძნე ნაქარგის
იმედი მოდის მოპირმცინარობს
და ჰორიზონტთან ელის ხაფანგი.

* * *
მოულოდნელი
წვიმის ხმაურზე
გამოგეღვიძა
წუთით ჩათვლემილს
გული სატკივარს
ახლაც გაუძლებს
მიემატება
ნაფთევს ნაფთევი.

დარდს სიხარულის
ნამი ეპკურა
(ვერ დაიტევენ
ოქროს პწკარები)
შენს ფანჯარასთან
მოვა ბეღურა
და შემოგხედავს
ღმერთის თვალებით.

* * *
ხატი დადუმდა
და გზა დაობლდა
სხვა ფერისაა
ჩრდილი ღრუბლების
ჩუმი ნაბიჯით
სასაფლაოდან
აღარ მოდიან
ჭირისუფლები.

მიწა ქცეულა
დარდის სამიზნედ
ცას მოჰკლებია
ფერთა ნათება
გამქრალა კალო
და მის ადგილზე
ასკილი
ასკილს ეკამათება.

* * *
მზე გადახრილი
და გზა ტრამალის
არსად ანთია
ვარდი თუ ია
გტკივა ჭრილობა
ნამაგრამალი
ხედავ სიჩუმეს
ვაითუიანს.

მოვლენ დღეები
უიქნებონი
იხარებს სითბო
რათქმაუნდასი
დაიწმინდება
გული დემონის
და წაიშლება
ნატვრა უნასის.

სასწაულს ხედავ

გალობა ისმის დილის ნისლიდან
და მიღმის მიღმა ბრწყინავს სათავე
კვლავ უკვდავების წყაროს მიზიდავ
კვლავ აუმღვრეველ დარში მატარებ.

ხმებით ეწვდება მწვერვალს ზეგანი
ზეცას ლოცავენ მზე და მერცხლები
და მარადიულ ფერებს შეხარის
გული — ნაცემი დარდის წკეპლებით.

სასწაულს ხედავ ჩუმად მოვლენილს
და აშრიალებს თქორი ლელიანს
გეხმიანება ექო რომელიც
სამყაროს შექმნის დროინდელია.

ვერ გაუხუნა სევდამ ხალისი
და ხარობს მწირი — ღმერთის ნაწილი
სიკვდილ-სიცოცხლის ერთგულ მგზავრისთვის
სამოთხისაკენ გზაა გახსნილი.

საკენკი — ფარზე დაყრილი

საითაც უნდა წახვიდე
ყველგან დარდი და ბზარია
დავიწყებიათ ბადიშებს
წინაპრის ხმა და ხმალია
ლომების ჟამი ჩამქრალა
მტრისთვის დამდგარა დარია
ღალატის ცელმა გათიბა
ყვავილოვანი გზანია
საკენკი —
ფარზე დაყრილი
ქათმების გასახარია
უმზეო სიმარტოვეში
დამძიმებულა ზარია
ცრემლიანია სიმღერა
ბედის ვარსკვლავი მკრთალია.

ნეტავ დაჭრილი მენახე
და არა — ცოცხალ-მკვდარია.

* * *
მაგრამ ზოგიერთი
წიგნი ისეთია —
თითქოს ყდებს შორის
ვარსკვლავებიანი
ცა არის ჩაკეცილი.

* * *
მზესა და ღრუბელს შორის
მავთული
რომელსაც ნასკვებივით
მოუჩანს ჩიტები.

* * *
ჭიანჭველა —
მაგიდაზე ამოცოცებული —
შენ გამომიგზავნე უფალო
რომ არ დამავიწყდეს
ვინა ვარ...

* * *
ქალაქის სივრცეში
ჯერ ფერი
და მერე ერთმანეთი
დაკარგეს ნისლებმა.

* * *
სიყვარული ეწვია ობობას
და ქსელი ვარსკვლავიდან
ვარსკვლავზე გააბა...

* * *
ორი მდინარის
შესართავთან
ტალღები კინკლაობენ
და მერე გზადაგზა
უხმატკბილდებიან ერთმანეთს.

* * *
წყალში შენს სახეს
რომ ვერ დაინახავ
მაშინაა მდინარე საშიში.

* * *
მაგრამ როცა ბავშვები
აძლევენ ფულს —
ავიწყდება
რომ მათხოვარია
და წელში იმართება.

* * *
ქალი სარკეს ატყუებდა
და სარკე — ქალს
და ამასობაში
გაუჩინარდა კაცი.

* * *
წყალზე კი წავიდა
მაგრამ კოკის ნაცვლად
უცხოური თერმოსი
წაიღო თებრონემ.

* * *
საათი დადუმდა
და გული შეკრთა
და სიტყვა
გამორჩა კალამს.

* * *
დარდი და სიხარული
ერთად კი არიან
მაგრამ ვერ ხედავენ ერთმანეთს
როგორც ერთი სახის თვალები.

ლადო კილასონია

მინიმალიზმის ძიებაში

დასაწყისი №130

გიო ჩემს მეგობართან, სოფოსთან გავიცანი. ის და სოფო მაშინ ერთ ოფისში მუშაობდნენ და მეგობრობდნენ. გავიცანი და ეგრევე მომეწონა, ან რატომ არ უნდა მოგეწონოს კაცი, რომელსაც ზუსტად ის აინტერესებს, რაც — შენ, მაგრადაც იცის, საინტერესოდაც ყვება და ამ მონაყოლში ვერსად წააწყდები საკუთარი თავით ტკბობას, ქედმაღლობას ან ირონიას. შენს წინ უბრალო ბიჭი ზის, რომელსაც შენსავით უყვარს დალევა, ლაქლაქი (ოღონდ შენგან განსხვავებით, მხოლოდ იმასთან, ვინც დააინტერესებს) და ამბების მოყოლა. სულ ორი საათი ვისხედით სუფრასთან, მაგრამ იქიდან წამოსულმა უკვე ვიცოდი, რომ ალიოხინი თვალაკრული თამაშობდა ჭადრაკს ოცდათორმეტ დაფაზე, რომ კასპაროვი არ უყვარდათ რუსეთში უხიაგი და უცნაური ხასიათის გამო, მაგრამ იმას ყველაფერი ეკიდა ჭადრაკის გარდა, რომ მურაკამის „ნადირობა ცხვარზე“ მარტო, ცალკე აღებული, რომანი კი არა, „ვირთხის ტრილოგიის“ მესამე წიგნია (რომელსაც, რომანი-გაგრძელება „დენს! დენს! დენს!“ მოსდევს) და ის ცალკე არ უნდა წაიკითხო და, რომ დორტმუნდის „ბორუსიას“ მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი ყველაზე ნიჭიერი პარანოიკია და მისი მიდგომა ყველა სხვა მწვრთნელისგან განსხვავებულია: რაც უნდა კარგი ფეხბურთელი იყოს, თუ ცუდი პიროვნებაა, გუნდში არ მივიღებო.

მერეც რამდენჯერმე შევხვდით სოფოსთან, ბოლოს კი „რა? სად? როდის?“ ვითამაშეთ ნუცუბიძის მაღალ ჭუჭყიან კორპუსებს შორის ახლადჩადგმული უნივერსიტეტის სტუდენტებით გადაჭედილ და ბაზარივით აყაყანებულ დიდ სასადილოში, პირწმინდად წავაგეთ და მხოლოდ ამის მერეღა დავურეკე გიოს და პირდაპირ ვუთხარი: შენთან ძმაკაცობა მინდა და მოდი, ვიძმაკაცოთ-მეთქი!

ეგრე მოვხვდით ბარ თუ პაბ „ბერლინში“, იქაურ გემრიელ კანჭს ბლომად მივაყოლეთ ლუდი და არაყი, მერე ნინი (ჩემი მეგობარი) დავტოვეთ სახლში და ფეხით დავუყევით კოსტავას დაღმართს. ღამის ორი საათი იქნებოდა, ხელში ლუდის ბოთლები გვეკავა და ბოტასების ტკაპა-ტკუპით ჩავდიოდით ასფალტის ცარიელ, წყვეტილი და უწყვეტი თეთრი ხაზებით აჭრელებულ, ჩაშავებულ გზაზე, რომელზეც მხოლოდ ხანდახან თუ ჩაისისინებდა მანქანა.

რატომღაც მომინდა, რომ ოდნავ შემაღლებულიდან გადამეხედა ღამის ქალაქისთვის, ამიტომ მარჯვენა მხარე დავიჭირე და ახლადაშენებული, ჰაერში გადაკიდებული, გზის მაღალ ბორდიურსა და ქვის მოაჯირს შორის ფეხით მოსიარულეებისთვის დატოვებულ ვიწრო გზას დავადექი, გიო უკან მომყვებოდა.

გმირთა მოედანი ცარიელი იყო. ასფალტის ზღვაში პატარა კუნძულად ჩამდგარიყო — თეთრი ფილებით გარშემორტყმული მწვანე მინდორი, ზედ დახვავებული, დამრეცად ჩარჭობილი, გრძელი ოთხკუთხა ქვებით, მაღლა წასული, უზარმაზარი ქვის მონუმენტით და მისი წვერიდან ღამის ცაში აჭრილი შუქის თეთრი ხაზით.

— მოდი, რა, აქ დავსხდეთ, — ვუთხარი გიოს, „ლაგუნა ვერესკენ“ მივბრუნდი, ქვის მაღალ ბორდიურზე შევხტი, ტრაკი შემოვდე, ფეხები მოაჯირებს ქვეშ ამოვაცურე და ლუდი მოვიყუდე.

გიო მოაჯირს დაეყრდნო იდაყვებით და დაბლა ჩაიხედა.

ტრასაზე სიმაღლისგან ოთხკუთხედებად ქცეული მანქანები ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ. წითლად და ლურჯად ელავდა Lukoil-ის და GULF-ის ბენზინგასამართი სადგური, შავ მტკვარზე ღამის განათება ეცემოდა, იქით კი, შორს, ბნელში ჩაძირული ქალაქი ღვიოდა ყვითლად.

და მეც და გიოც აქ ვიყავით, ლოკოკინებივით ორად თავგაყოფილი ლამპიონების ქვეშ ვიდექით, მოაჯირს დაყრდნობილები გადავყურებდით ცოტა ხნით ჩაჩუმებულ ქალაქს, ლუდს ვსვამდით, ვლაპარაკობდით და სწორედ აქ მომიყვა გიო იმ ამბავს.

სოფოსგან ვიცოდი რაღაცები გიოს ბავშვობის შესახებ, როგორ აგროვებდა მარკებს, რატომ იყო მისთვის დღემდე ოჩამჩირე ყველაზე მაგარი ქალაქი, როგორ იწერდა პატარაობაში საფეხბურთო ჟურნალებს და მერე როგორ დგებოდა სადილიდან ხუთჯერ-ექვსჯერ და აივანზე გარბოდა იმის შესამოწმებლად, ხომ არ მოადგა მათ ჭიშკარს ოჩამჩირელი ფოსტალიონი, მაღალი, მსუქანი, კეთილსახიანი რუსი ქალი — ლიუდა, თავისი უცნაური, მწვანე, პლასტმასის გამჭვირვალე ძირიანი ჩანთით, რომლიდანაც გაზეთების ფურცლები მოჩანდა.

— სოფომ მითხრა და მეც რო გისმენ, მაგრა ყვები, კითხვაც გიყვარს და რატომ არ დაწერ მაგაზე? — ვკითხე და ლუდი მოვიყუდე.

— არ მინდა, — გიო ისევ ტრასას დაჰყურებდა, — როგორ აგიხსნა. ის ადრე იყო, ერთხელ იყო და მარტო ჩემთვის იყო და მე ეს რომ დავწერო, ის მარტო ჩემთვის აღარ იქნება, ის ყველასი იქნება. ხვდები, რას ვამბობ? — მერე წამოიწია, შემომხედა, მიხვდა რომ ვერ გავიგე (ან როგორ უნდა გაიგოს ასეთი რამე კაცმა, რომელიც წერას ცდილობს. ასეთი კაცი აუცილებლად დაგიქნევს თავს, გავიგეო და აუცილებლად მოიტყუება), ისევ იდაყვებით დაეყრდნო მოაჯირს, გზას გააყოლა თვალი, ისე, თითქოს მოსახვევში უნდა გაუჩინარდესო და გააგრძელა, — ერთხელ „შევარდენის“ სტადიონზე ვიყავი, თუ არ ვცდები, 1995 წელი იყო და „შევარდენი“ ეთამაშებოდა „სამტრედიას“, უმაღლესი ლიგა იყო, მაგ წელს „სამტრედია“ მეორეზე გავიდა, ან, როგორც ამბობდნენ, გაიყვანეს, რუსთავში მსაჯმა გოლი არ ჩაუთვალაო, და მაგ ფრით ჩემპიონი „დინამო“ გახდა. „სამტრედიამ“ კი უეფა ითამაშა. სტადიონზე ორმოცდაათი კაცი თუ იქნებოდა, „სამტრედიაში“ თამაშობდა გაგრელი ბიჭი, სოხუმის „ცხუმის“ ყოფილი ცენტრალური ნახევარმცველი, გიორგი გოგიაშვილი. ძალიან კარგი ფეხბურთელი, რუსეთშიც ითამაშა მერე, სოჩაში, მგონი უფაშიც, თუმცა საქართველოს ნაკრებში ვერასოდეს მოხვდა, მარა ჭკვიანი და ტექნიკური იყო, ტონკი, ძაან ტონკი. გამხდარი, ფიზიკურად სუსტი, ეგეთებზე ამბობენ: ფეხით კი არა, თავით, ანუ ჭკუით თამაშობენო. სულ პატარა იყო, ოცდაერთი წლის, სოხუმის „ცხუმში“ რო თამაშობდა, რომელიც მაშინ ერთ-ერთ ყველაზე კარგ გუნდად ითვლებოდა. საერთოდ, აფხაზეთში ფეხბურთი მაგრად უყვარდათ. ჰოდა, მაშინ, „შევარდენზე“ ამ გოგიაშვილმა ძალიან მაგარი პასი გააკეთა, გრძელი, დაბალი, გამჭრელი, ორ მცველს შუა. აი, ხავი იძლევა ეგეთებს ძაან მაგრა, და ფრთა დატოვა მეკარესთან ერთი ერთზე. ამ დროს ჩემგან ცოტა მოშორებით ერთი მსუქანი კაცი იჯდა, ესე ორმოცი-ორმოცდახუთი წლის, სახეზე რო ეტყობათ, ბევრი რო აქვთ ნანახი. წამოდგა ეს კაცი და ხმამაღლა მარტო ერთხელ დაიყვირა: პრაფესორ გოგი! დაჯდა და გაჩუმდა და დედას ვფიცავარ, გოგიაშვილმა გაიგო, გაჩერდა, ამ კაცს შემოხედა და მახსოვს, როგორ გამაჟრჟოლა სიამაყისგან, სიამოვნებისგან, იმიტომ, რომ მივხვდი: ეს კაცი აფხაზეთიდან იყო, იქაური ფეხბურთი იცოდა და უყვარდა. იცოდა, რას და რატომ ეძახდნენ გოგიაშვილს სოხუმის „ცხუმში“, ყველაფერი იცოდა მასზე, აფხაზეთზე, იქაურ ფეხბურთზე, გულშემატკივრებზე, სოხუმზე, ოჩამჩირეზე, იმ დროზე, და ამით ამაყობდა. ჩვენ ეს ძალიან მაგრა გვაქვს, იქაურის, ჩვენის და ჩვენიანის სიამაყე და ღრმად ჩარჩენილი ჩუმი ბოღმა სხვებზე. ამას რო ვიხსენებ, მეჩვენება, ყველაზე დიდი ფეხბურთელებისთვისაც არ დაუძახიათ ასე, ან შეიძლება, მე არ ვიცი. მაგრამ ჩემთვის რო ვფიქრობ, მგონია, ასე ვერავინ დაგიძახებს, ვერც ძმაკაცი, ვერც ნათესავი, ვერც გულშემატკივარი. იმ დაძახებაში ყველაფერი იყო: ის, რომ ეს კაცი, ალბათ, სოხუმში ყველა თამაშზე დადიოდა და ალბათ ბევრ ნაყინს ჭამდა იქ, სასოწარკვეთილება, სიამაყე, სინანული, ძველის გახსენება; ის, რომ გოგიაშვილმა ვერ ითამაშა ის ფეხბურთი, რაც უნდა ეთამაშა; ის, რომ ჩვენ იქ ვიყავით და იქიდან წამოვედით. და იცი, რა იყო ყველაზე მაგარი? არავინ სხვამ ეს არ იცოდა, მე კი ყველაფერი ვიცოდი, მე და ის მსუქანი კაცი ერთმანეთს არც მანამდე ვიცნობდით და არც მერე შევხვედრივართ სადმე, მაგრამ იქ, „შევარდენის“ იმ მინგრეულ სტადიონზე, მე ნაღდად ვიცოდი, რომ იმ კაცმა ეს მარტო თავისთვის დაიძახა, გოგიაშვილს დაუძახა და მეტი ხმა აღარ ამოუღია, მაგრამ ეს დაძახება ყველასთვის გამოუვიდა, ყველა ჩემნაირისთვის, ვინც იცოდა, ვისაც უყვარდა, ვისაც ჰქონდა და ვინც დაკარგა. და ის ჩუმად ჩემში დენივით გავლილი სიამაყე და სინანული არასოდეს დამავიწყდება.

და ახლა, როდესაც გოგასთან სახლში ეს ამბავი გავიხსენე და დავინახე, როგორ გაუხარდა გიოს, გული დამწყდა, რომ არ დაწერა, აღარაფერი ვთქვი და სწორედ აქ დავუშვი შეცდომა.

გიომ ყველაფერი ისევ ისე მაგრად მოყვა, მაგრამ, როდესაც მეგონა დაამთავრა-მეთქი და ჭიქის შევსება დავაპირე, უეცრად გააგრძელა:

— გესმის, იმ კაცმა ეს ყველაფერი ერთ წინადადებაში ჩატია, მთელი თავისი მოგონებები და წარსული ჩატია იქ, ერთ წინადადებაში! როგორც ამან, — ჩემზე ანიშნა გოგას, — იმ სიტყვაში, ეგააააო! მაგიტომ ვთქვი, მწერლის ნათქვამი სულ სხვაა-მეთქი. ჰემინგუეის აქვს ორი ძალიან მაგარი მოთხრობა. ერთს „სახლში“ ჰქვია, ტიპი ომიდან რო ჩამოდის, დეპრესია აქვს და სახლიდან არ გადის, დედამისი ეუბნება, აქ წადი, იქ წადიო, ეს კიდე მოკლედ რო პასუხობს: „არ მიფიქრია! შეიძლება! დღეს არა!“ თავისთვის კი ფიქრობს: „საქმე იმად არ ღირს!“. მეორეა კიდე, „მკვლელები“. ბოქსიორი როა, შვედი, ოლე ანდერსონი და იმის მოსაკლავად რო მოდიან ორნი. ბარმენი, რომელიც იცნობს ამ ბოქსიორს, ბიჭს აგზავნის გასაფრთხილებლად, ეს ანდერსონი ლოგინზე წევს, „ანდერსონი ჩაცმული იწვა, ოდესღაც მძიმეწონოსანი ბოქსიორი იყო, საწოლი წვივებამდე სწვდებოდა.“ სულ ერთი წინადადებით აღწერს ჰემინგუეი, და რა მაგარია! ეს ბავშვი ეუბნება, შენს მოსაკლავად მოვიდნენ და გაიქეციო. ის კიდე პასუხობს: „მომბეზრდა მაგათგან სირბილი! ცოტა ხანი ვიწვები, მერე მოვიკრეფ სიმამაცეს და გარეთ გავალ!“ და კედლისკენ გადაბრუნდება. ეს ბიჭი რო გამოდის ანდერსონისგან, ოთახების მეპატრონე ქალი შეწუხებული ეუბნება: „მთელი დღეა, ასე ზის და არ გამოდის, მეშინია, ავად ხომ არ არისო!“ მაგიტომ მიყვარს ჰემინგუეი, ბევრს არ აგიხსნის, დაწერს, რო ჯიმიმ ბარში დაინახა ქალი და მოეწონა და მორჩა! აბა, შენ თუ დეტალურად ამიხსენი, რატო და რისთვის მოგეწონა ეს ქალი და როგორი იყო, შენ მე აღარაფერს მიტოვებ და ეს უინტერესოა!

არაყი დავისხი, დავლიე და დაცლილ ჭიქას ჩავაცქერდი, რომლის მომრგვალებულ მინის კედლებში ჭაღის ნათურების გაწელილი ანარეკლები ეკიდა. ვინ მექაჩებოდა ენაზე! იჯექი რა ჩუმად! რა „ეგაა!“, ხომ უნდა მიხვდე, რომ დღეს შენი დღე არ არის!

— და იქნებ გრძლად გინდა თქვა, იქნებ რამის თქმა გინდა იმ ქალზე, რამის მოყოლა! — გავიბრძოლე ბოლოჯერ.

— არა, — თავი გააქნია გიომ, — დამიჯერე! შენ ადრე თუ გვიან მინიმალიზმამდე უნდა მიხვიდე, უნდა იპოვო. თუ არა, მაშინ, ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, შენ საინტერესო არ იქნები!

კიდევ დავისხი არაყი, ბოლომდე გამოვცალე, ნახევარი კათხა ლუდი მივაყოლე და ისევ ავავსე პატარა ჭიქა გამჭვირვალე, ბლანტი სითხით.

— მოდი, ამით მოგონებებს გაუმარჯოს, — ხელი წამოავლო ჭიქას გოგამ, — ეს ცხოვრება ისე მიდის, რომ...

დავლიე, გამოსახულება ნელ-ნელა იდღაბნებოდა.

თვალი რომ გავახილე, მარტო ვიწექი ჩაბნელებულ ოთახში, ჯიბეში მობილური ზმუოდა. არის ეგეთი მომენტები, იღვიძებ და ეგრევე ხვდები, რომ არ უნდა გექნა, ან გუშინ არ უნდა დაგელია ამდენი (თუმცა ამაზე დარდი უკვე გვიანია) ან დღეს არ უნდა გაგეღვიძა ასე ადრე, უფრო სწორად, ჯობდა, საერთოდ არ გაგეღვიძა, მაგრამ რახან გაიღვიძე, უეჭველი იცი, რამდენიც უნდა ეცადო — ვეღარ დაიძინებ. პირში სიმშრალე და ისეთი სუნი გაქვს, ჰაერი რომ ამოუშვა და ასანთი გაკრა — წაეკიდება, თავში ხოჭოებივით დაბობღავენ რაღაცები, სუნთქვა გიჭირს, მუცელში უცნაური სიცარიელეა, კიდურებში გტეხავს და სიტყვა „არაყის“ გაფიქრებაზეც კი გული გერევა.

აკანკალებული ხელით ამოვაძვრინე მობილური და ყურზე მივიდე.

— სად ხარ, შვილო? — ჩამესმა დედაჩემის ნამძინარევი ხმა, ეტყობა ამ წამს გაიღვიძა.

— ჰაააა? — ამოვიხრიალე როგორღაც და წამოვიწიე.

ჩაცმული ვიწექი უზარმაზარ, შინდისფერ გადასაფარებლიან ლოგინზე, მარცხნივ ტანსაცმლის კარადა მედგა, აივანზე გამავალ ღია კარში უხმაუროდ ირხეოდა გამჭვირვალე, ატმისფერი ფარდა, ჩემს წინ კი მაღალი, ბოლომდე გამოღებული კარიდან მოჩანდა უცნაური წიგნის თაროებით დამშვენებული თეთრი კედლები და ტყავის სავარძლის ზურგი.

— რავი, ძმაკაცთან ვარ და მოვალ, — ვუთხარი დედას, გავუთიშე, ლოგინზე წამოვჯექი და საათს შევხედე, რვა ხდებოდა.

თავბრუ დამეხვა, ცოტა ხანს ვიჯექი ასე და უაზროდ ვათვალიერებდი ოთახს, გოგას საძინებელში ვიყავი, მაგრამ რამდენი ვეცადე, ვერაფრით გავიხსენე, როგორ მოვხვდი აქ და როდის დავამთავრეთ სმა.

წამოვდექი და ოთახში შევიჭყიტე, თეთრ მაისურში და ფოხანა ტრუსებში ჩაცმული გოგა გვერდულად იწვა ტყავის ტახტზე, თავქვეშ ბალიში ამოედო და ეძინა, გიო არსად ჩანდა.

უკან შემოვბრუნდი, ატმისფერი ფარდა ხელით გადავწიე და აივანზე გავედი.

ცა სავსე საფერფლეებივით იყო მოღუშული, წვიმისგან დასველებული კორპუსების სახურავები ჟანგისფრად ლაპლაპებდნენ, შავ კაბელებზე და დაჩაჩხულ ანტენებზე წვეტიან კბილებად ეკიდა წყლის წვეთები.

მობილური ამოვიღე და გიოს დავურეკე. უკვე ვიცოდი, სავარაუდოდ, რაც მომივიდა, მაგრამ მისგან მინდოდა

გამეგო და ისიც მაინტერესებდა, რამე ხომ არ ავურიე. ეგ სულ რამდენიმე წლის წინ დამეწყო, ვსვამ, ვსვამ, მერე უცებ ჩავხრი თავს და ადგილზე ვიძინებ, გამეღვიძება და არაფერი მახსოვს. მე მაგას ტვინის შერყევებს ვაბრალებ, რომლებიც ბევრჯერ მქონდა, თუმცა ახლა ეგ არაფერ შუაშია. ერთხელ კი მაგის გამო მაგარ შარში გავყავი თავი და მაგრადაც გადავრჩი.

მაშინ მარტო ვცხოვრობდი სახლში, დედა სოფელში იყო მამასთან წასული და პარასკევ ღამეს მაგრად დავთვერი შარდენზე, ერთ-ერთ იმ ციცქნა და საოცრად ძვირ საკუჭნაოში, ღამის კლუბს რომ ვეძახით. დავთვერი ქართულად — ანუ გარეთ, ქუჩაში. ლესელიძის განათებულ მოკირწყლულ ფილაქანზე ვსვით არაყი და რედბული ბიჭებმა და მერე მსოფლიოში ყველაზე ამაყი ნაბიჯით და ღირსეული სახით ჩავედით ღამის კლუბში, რომელშიც მხოლოდ თითო ჭიქა რედბულიან არაყზე გვეყო ფული და რომელშიც ნელ-ნელა, მგონი, მთელი ჩრდილოეთ პოლუსის ყინული ჩავყარეთ, რომ სითხიან, საწრუპავ-ჩაგდებულ მაღალ ჭიქას ჩვენი იმიჯის შესაფერისი სავსე სახე შეენარჩუნებინა მთელი ღამის განმავლობაში.

ჰოდა, ამაყად ვლოღნე კლუბში ის ყინულიანი ჭიქა, მერე ჩემებმა ზემოდან, ანუ ქუჩიდან, ჩუმად, ჯიბით ჩამოიტანეს ლუდი და ბოლოს რაც მახსოვს, ტუალეტში, პლასტმასის ჭიქაში ჩასხმული ქარვისფერი, ქაფიანი „ნატახტარია“, ცივად რომ გადამდის ყელში.

ზემოთ მარტო ამოვსულვარ, დადიანის და ლესელიძის კუთხემდე მივლია ფეხით და იქ ახლადგახსნილი კაფეს პარმაღზე, ქვის საფეხურზე მივწოლილვარ ემბრიონივით მოკუნტული და დამიძინია. კიდევ კარგი, ჩემებმა ჩამოიარეს და მიპოვეს. თვალი რომ გავახილე, თავზე ჩემი რაგბისტი ძმაკაცები, ობობა, ბუფონა, რაკოვინა და ქვემეხა მედგნენ და დამცინოდნენ.

ტაქსი გავაჩერეთ და ჩავსხედით. გზაში ბევრი ვიცინეთ, ვილაპარაკეთ, მერე მე და ბუფონა წავკამათდით და ამ კამათში დანარჩენებიც ჩავითრიეთ, თვალები დაღლილობისგან მეხუჭებოდა. ჩემი ქუჩის შესახვევთან გავაჩერებინე მანქანა მძღოლს, ფული ამოვიღე, მივაწოდე და ბიჭები სახლში დამიტოვე-მეთქი, ვუთხარი.

— რომელი ბიჭები? — მკითხა ხმადაბლა მძღოლმა, შეშინებული ჩანდა.

— ბიჭები, რა, — უკან მივაბრუნე თავი და სიტყვები პირზე შემაშრა.

სავარძელზე არავინ იჯდა.

— აბა, ბიჭები სად არიან? — ვკითხე გაკვირვებულმა.

მძღოლი დაბნეული მიყურებდა. მერე ოდნავ მოჭუტა თვალები, კიდევ უფრო დაუწია ხმას და ფრთხილად მკითხა:

— ალბათ, საერთოდ არ ამოსულან ტაქსში, ხო?

და უცებ დამიტრიალდა. ეტყობა ბიჭებმა ტაქსი გამიჩერეს, ჩამსვეს, თვითონ კი ცალკე წავიდნენ, ან საერთოდ არ წამდგომიან თავზე და მე მომელანდა. მაგრამ ამ საცოდავ მძღოლს როგორ არ გაუმართლა? ტიპმა ღამე მგზავრი აიყვანა, გაგლეჯილი მთვრალი, რომელიც უკანა სავარძელზე არაფერს ელაპარაკება, იცინის, მერე ეჩხუბება და ყველაზე ცუდი ის არის, რომ ეს არაფერი აშკარად მარტო არაა.

წარმოვიდგინე როგორ ვეკამათები სიცარიელეს, სავარძლის მარჯვენა კუთხეს.

— აზრზე არ ხარ არაფრის! რო გეუბნები ყველაზე ბანძი კაცი ხარ-მეთქი დედამიწის ზურგზე, არ გჯერა!

მაგრამ უცებ, სავარძლის მარცხენა მხარისკენ ვაბრუნებ თავს და ხელის აქნევით ვაგრძელებ:

— ეეე, მაცალე რა ერთი წამი! ნუ მაწყვეტინებ! სუ ეგრე იცი ამის დაცვა! — და ისევ სავარძლის მარჯვენა მხარეზე ვანიშნებ.

დარცხვენილმა გავუწოდე მძღოლს ფული, ხურდა არ მინდა-მეთქი ვუთხარი, მანქანიდან გადმოვბობღდი და სახლში ავედი. ეგ „ავტოპილოტივით“ მაქვს, რაც უნდა მთვრალი ვიყო, ჩემი სახლის მონჯღრეულ კარს მაინც მივაღწევ.

დამწვრის სუნმა გამაღვიძა, დილა იყო. ჩაცმული (როგორც ამ დილას) ვიწექი ლოგინზე. ავდექი და სამზარეულოში გავედი. დანთებულ და ბოლომდე აწეულ გაზქურაზე დედაჩემის საყვარელი „ტეფალის“ შავი ტაფა შიშხინებდა, რომლის გავარვარებული, ფორმამორღვეული კედლებიდან გაზქურის აგურისფერ ზედაპირზე შავად წვეთავდა კუპრად ქცეული საღებავი. ეტყობა, გუშინ რომ მოვედი, ვიფიქრე რამეს შევჭამ-მეთქი, რომ დილას პახმელიაზე არ მოვმკვდარიყავი, ტაფა გადმოვიღე, რაღაცა ჩავდე შიგ (რაღაცას იმიტომ ვამბობ, რომ შემდეგში ვერაფრით მოვახერხე რკინის კედლებში ჩადუღაბებული მინის სქელი თავსახურის ახდა და იძულებული გავხდი, ტაფა გადამეგდო), გაზი ავანთე, ბოლომდე ავუწიე, ზედ დავდგი, დავწექი და დამეძინა. უბრალოდ გამიმართლა, ან შეიძლება ერბოკვერცხის სიყვარულმა მიშველა, თითქმის ყოველ დილას რომ ვიკეთებდი, სწორედ იმ „ტეფალის“ ტაფაში, თეფშზე უკეთესად ჩამოსასრიალებლად, მთვრალმა ხელმა ავტომატივით შეასრულა ჩვევაში გამჯდარი მოძრაობა და ჩვეულებრივის ნაცვლად „ტეფალის“ ტაფა გადმოიღო, რომელმაც მთელი ღამე გაუძლო ცეცხლის ცისფერ, ყვითელთავა ენებს.

გამიგია, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანის ტვინი სრული დატვირთვით იწყებს მუშაობას და სასწაულები შეუძლია, მე კიდევ სულ ვამბობდი, რომ ნიჭიერი ვარ, უბრალოდ პატრონი არ მყავს. გაზქურა ჩავაქრე, ხელებზე პირსახოცი შემოვიხვიე, გავარვარებული ტაფა ონკანში ჩავდგი, ცივი წყალი მოვუშვი და ოთახში უეცრად, როგორც გამთენიისას მთაში, შიშინით გაიშალა თეთრი ნისლი.

ამან საერთოდ დამაბნია და წამში გამომაპოლიტიკოსა (ეტყობა ხასიათის ეს შტრიხიც დევს ჩვენს გენში განსაკუთრებულობასთან, სისპეტაკესთან, გადამეტებულ ღირსებასთან და რწმენასთან ერთად): ფანჯარა გამოვაღე და ახლა მთელ ეზოს მოვფინე დამწვრისსუნიანი ნისლი, მთავარია ჩემს სახლში ჰაერი სუფთა იყოს, სხვაგან კი, არ მკიდია, როგორი იქნება.

გიო არ მპასუხობდა. კედელთან მიდგმულ ხის ზურგიან სკამზე ჩამოვჯექი და დაბლა ჩავიხედე. ბეტონის მუქი ნაცრისფერი, სველი ეზოს იქით, მოჩანდა მწვანე ხეები, შენობების ოთხკუთხა თავები, სიშორისგან ოდნავ ჩანისლული მთა და მთაზე მიფენილი ნაგებობები. ეზოში, პირველი სართულის აივანზე ქაღარათმიანი ქალი და პატარა გოგო იდგნენ და საჭმელს უყრიდნენ მტრედებს. მოხუცს ორივე ხელში მოექცია და მაღლა წამოეწია კაბაზე ჩამოფარებული წინსაფრის კალთა, გოგო შიგ ჰყოფდა გალეულ, გრძელ ხელებს, შემდეგ ეზოსკენ ბრუნდებოდა, მუშტებს გაიქნევდა, თითებს შლიდა და მოკუმული მუჭებიდან ბეტონის კედლებით შემოსაზღვრულ ჰაერში ღამაზად იშლებოდა დამბალი ნახერხის ფერი ფანტელები, რომლებისკენაც ღუღუნით მოქროდა მტრედების რუხი, თეთრგულა გუნდი.

ბებია გამახსენდა, სოფელში „ჯუ-ჯუ-ჯუ-თი!“ რომ იხმობდა ქათმებს და ეგრე აკაპიწებული წინსაფრიდან უყრიდა საჭმელს.

ვიჯექი, ვუყურებდი და ჩემთვის ვფიქრობდი, რატომ ვწვალობდი? რატომ ვცდილობდი, რომ მეწერა? რატომ ვედრებოდი და მშურდა ვიღაცების? რატომ მინდოდა სულ მეტი და მეტი — სახელი, შექება, აღიარება, რატომ არ იყო და არ არის ჩემთვის და არავისთვის საკმარისი უბრალო, წესიერ კაცად ყოფნა. რომ მართალი იყო დედა, როდესაც მეუბნებოდა, სიტყვა-სიტყვით ასე დაწერეო. ან რა საჭიროა რო? იქნებ გიო მართალია, იქნებ ჯობს, საერთოდ არ დაწერო, ერთი ბწკარიც კი არ დაწერო, არ იწვალო, არ ინერვიულო, არ მოისმინო ათასი აზრი, შენიშვნა, შესწორება და ჩუმად, შენთვის დატკბე იმ შემთხვევითი სურათებით, რომლებსაც ასე მრავლად გჩუქნის ცხოვრება: როგორ უყრის მოხუცი ქალის კალთიდან მუჭით ამოღებულ საკენკს პატარა გოგო მოღუღუნე მტრედებს და ამ სრულიად უცხო ხალხმა, გაგახსენოს ბებია, სოფელი, ბავშვობა. როგორც გიო „შევარდენზე“ იმ შეძახილის გაგონებისას, ისე დატკბე მოპარული სურათებით, იმით, რომ აი, შენ მათ უყურებ, უთვალთვალებ, ხედავ მათ პატარა სამყაროს, ისინი კი შენ — ვერა და წარმოდგენა არა აქვთ, თუკი ვინმე სხვა, ახლა, ამ წამს, დასცქერის მაღლიდან და მათ შემხედვარე რაღაცა საკუთარს იხსენებს, საკუთარზე ფიქრობს.

ამ მხრივ ქალაქი არცთუ ისე კარგია, ნაცრისფერი, ხმაურიანი, თავისი ბეტონის სხეულივით მძიმე. აქ სულ სადღაც გეჩქარება, სულ აგვიანებ, სულ რაღაც საქმე გაქვს, სულ ვიღაცას, შენიანს თუ სხვისიანს ელაპარაკები და თავი ნაგვის ურნასავით გაქვს გამოტენილი.

მაგრამ ხანდახან თავის ბეტონისფერ, არეულ, გიჟურ რიტმში ქალაქსაც გაეპარება ღამაზი სურათები, ისევე, როგორც ტყის დაბურულ, ნესტიან, დამბალ სიღრმეში შეაღწევს ხოლმე მზის სხივი და ასეთ დროს მთავარი ქალაქი ან ის სურათი კი არ არის, არამედ შენ, შენ, რომელმაც ეს პატარა სილამაზე, შეცდომა, ამბოხი უნდა დაინახო, ხელი სტაცო, ჩაეჭიდო, არ გაუშვა და მაშინ, დრო, ქალაქი, დედამიწა აუცილებლად დამარცხდება, ცოტა ხნით შეწყვეტს თავის გიჟურ, უკანმოუხედავ ბრუნვას, გაჩერდება, გაიყინება და შენს თვალწინ, როგორც მარტოდდარჩენილი ძუნწი უკუნეთ ღამეში, ისე გადაშლის თავის სამალავს და შენც ხედავ: სველი, მოღუშული ქალაქის თავზე ციდან ჩამოცვენილ თოვლის ფანტელებს, უწონოებს, დაფლეთილებს, ცივად მოფარფატეებს, პეპლებივით სწრაფად რომ ქრებიან მიწაზე შეხებისთანავე, ხედავ, როგორ დაასრიალებს მათ უხილავ ნაკადებს ამ ქვის ჯუნგლების სიღრმეში შემოპარული მსუბუქი ნიავი, როგორ უცვლის დინებას, მიმართულებას, კალაპოტს, ისინიც ემორჩილებიან და უხმაუროდ, მსუბუქად პოულობენ ახალ გზებს, ხატავენ ახალ სურათებს. შენი ბავშვობის ეზოში კი სიჩუმე და სიცარიელეა, მხოლოდ ორი მანქანა დგას და ძველი ცხვირმოღუნული ონკანიდან წვეთავს წყალი, ჰაერში შიშველი სარეცხის თოკები გაჭიმულან ვერცხლისფერ ვენებად, ფანტელები კი ისევ ცვივა და უცებ ამჩნევ, რომ ამ ყველაფერს ორნი უყურებთ, რომ დრომ, მარტოს კი არა, ორს გადაგიშალათ თავისი საგანძური, და რომ შენი ეზოს მოპირდაპირე სახლიდან, მის ფარღალალა შუშაბანდზე აკრულ მინებს უხმაუროდ მიწებებია შენი ძმაკაცის შვილი, პატარა, შავთმიანი, დიდთვალება ნუციკო და უყურებს, უყურებს იმას, რასაც შენ, მაგრამ მაინც არა ხართ ორნი, უფრო ერთი და ერთი ხართ, აქამდე რომ ვერც ამჩნევდით ერთმანეთს. მერე შენი და ნუციკოს გამოხედვა ეჯახება, ბავშვი ხელს გიწევს, მაგრამ წამითაც არ აჩერებს შენზე მზერას, თავის დიდ, წყლიან, შავ თვალებს ისევ ფანტელებისკენ აბრუნებს, იმიტომ, რომ ისინი ბევრად უფრო მნიშვნელოვანები, საინტერესოები, ღამაზები არიან. ამას შენც ხვდები და გული სიამოვნებით, სითბოთი გევსება.

მტრედები წამოიშალნენ, ფრთების ტყლაშუნით აფრინდნენ მაღლა, პატარა გუნდად გაიელვეს მოღრუბლულ ცაში, კორპუსის სახურავზე დასხდნენ და ძირს ჩაიხედეს.

მობილურმა დარეკა, გიო იყო.

— სად წახვედი? როდის დავიშალეთ? — ვკითხე ეგრევე.

— ვსვამდით, მერე შენ სავარძელში დაგეძინა. ვეცადეთ, გაგვეღვიძებინე, მაგრამ ხელი აგვიქნიე და ძილი გააგრძელე, მერე მეც მაგარი ნასვამი ვიყავი და უნდა წამოვსულიყავი, გოგას ოთახში გადაგიყვანეთ და წამოვედი.

— რამე ცუდად ხო არ მითქვამს? ან ცუდად ხო არ მოვქცეულვარ? — ხმას დავუწიე და სკამის სახელურს დავხედე.

— არა, პირდაპირ დაგეძინა, არც გითქვამს არაფერი. ეხლა რა ხდება? — დაამთქნარა გიომ.

— ეხლა მე ვკვდები, გოგას ტახტზე ძინავს, შენ სახლში ხარ!

— ეგრე ცუდად ხარ? — გაეცინა გიოს.

— აუჰ! — ამოვიოხრე და მტრედებს გავხედე.

— ბიჭო, მანდვე, ახლოს, ქუჩას რო გაუყვები, სუროებით დაფარული გარაჟია, მანდ მარცხნივ შეუხვევ და სახაშეა, დიდი არაფერი, ტაშნილოვკაა, მარა იაფია და ხაშიც ნორმალური აქვთ!

— გოგა გავაღვიძო? — ვკითხე გახარებულმა, ხაშის ხსენებაზე მღვრიე სითხით სავსე ღრმა მათლაფა და ნივრის სუნით გაჟღენთილი ოთახი დამიდგა თვალწინ.

— არა, მაგას არ უყვარს ეგეთი რამეები, მეც ვერ მოვალ, სამსახურში უნდა წავიდე, ამიტომ შენით უნდა მიაგნო, გოგაზე ნუ ინერვიულებ, მე დავურეკავ.

გიოს დავემშვიდობე, ფეხაკრეფით გავედი ოთახიდან, რკინის მძიმე კარი გამოვაღე, ფრთხილად მივხურე და კიბეზე ჩავედი.

სველ ტრასაზე ზუზუნით მიქროდნენ მანქანები, სწრაფად მბრუნავი ბორბლები ტალახიან წყლის წვეთებს ისროდნენ, ქუჩაზე კანტი-კუნტად მოძრაობდა ხალხი.

სახაშეს ადვილად მივაგენი. ეს იყო ძველი, ბათქაშჩამოცვენილი შენობა, რკინისრიკულებიანი ფანჯრებით და საღებავაცვენილი, ნახევრად გამოღებული ხის კარით, რომლის შუაშიც დიდი, ჟანგიანი ღურსმნით მიჭედებულ მუყაოს ფურცელზე შავი ფლომასტრით ეწერა: ხაში.

კარი შევაღე და შევედი: ნახევრადჩაბნელებული ოთახი, დაბალი, კუბოკრული მუშამბის გადასაფარებლებიანი მაგიდები, ხის ზურგიანი სკამები. ღია ფანჯრებიდან შემოსული შუქი თეთრად ეცემოდა ქვის იატაკს. მაღალ ხის დახლს ზორბა, შავულვაშიანი კაცი დაყრდნობოდა. ოთახში ნივრის, ცხელი წვნიანის და მოხარშული ხორცის სუნი იდგა. პირი ნერწყვით ამომევსო.

— ხაში, თუ შეიძლება, — წავილულღლუღე საცოდავად.

— მეტი არაფერი? — მკითხა კაცმა.

უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

— იქნება, ჯიგარო, — დამამშვიდა ულვაშიანმა და დახლის უკან გაჭრილ ფანჯარაში შეყო თავი.

მაგიდასთან ჩამოვჯექი, ოთახი თითქმის ცარიელი იყო, მარტო მარჯვენა კუთხეში, კედელთან მიდგმულ ყველაზე დიდ მაგიდასთან იჯდა სამი კაცი, ერთი — მელოტი, სახედამჭკნარი, მეორე — ახალგაზრდა და ჯანიანი, მესამე კი — შავი, შავთმიანი, უზარმაზარი, ბოქსიორის ხელთათმანებივით დასიებული წითელი ხელებით. მაგიდაზე თეთრი მათლაფები, პური და არაყი ედოთ. შავთმიანი ხმამაღლა ლაპარაკობდა და ხელებით ჟესტიკულირებდა:

— ვიცი ეგ ორივე ძმა. სინიაკები არა? სინიაკები ხო იცი? რუსეთში ლოთებს ეძახიან. უბნელები იყვნენ ორივენი, ოღონდ ცოტა მაღლა ცხოვრობდნენ. ერთხელ ერთი მეზობელი მოგვიკვდა, კაი კაცი იყო,

→

ლადო კილასონია

მინიმალიზმის ძიებაში

დასასრული

ჩვენზე ოდნავ უფროსი, ვმეგობრობდით. მივედით პანაშვიდზე, ეს ჩემისა ჩემს წინ მიდის, ბუხოია, გათიშული. რო მივუახლოვდით ამ კუბოს, ჩაიმუხლა მიცვალებულთან, კეფის ქვეშ ამოსდო ხელი, — ტრაქტორის კოვშივით ამოატრიალა თავისი წითელი ტორი შავთმიანმა, — თავი წამოაწევინა, თან ტირის, თან კოცნის და თან კიდე თმებს უვარცხნის, ეფერება რა! უკან ხალხი მომაწვა, პრობკაა, ტო! ერთი სამჯერ მივარტყი მუხლი, მეთქი, ადე, შე ჩემისა! არა! თან ტირის, თან თმებს უვარცხნის! სანამ არ დავიხარე და არ ვანუგეშე ეს დედამოტყნული, მანამდე არ წამოდგა! კევასავით იყო, რო ვაძრობდი, იწელებოდა, არაო! ერთი სამი თვის მერე, ჩიპო როა, ჩვენი ძმაკაცი, იმის ბებია მოკვდა და ამის ძმის უკან არ მოვხვდი პანაშვიდზე?! რო ჩაიმუხლა ამ ქალის თავზე და რო შეუცურა ხელი თმებში, იმდენი ეფერა და ვარცხნა, მგონი ბუიოკებს უკეთებდა, ისევ რო მომაწვა ხალხი უკნიდან, ვეღარ მოვითმინე: რა არი, მეთქი, ჯიშში გაქვთ, თქვენი დედა მოვტყან?! აბა, მეორედ მომაყოლეს მკვდრის პრობკაში ამ პარიკმახერებმა.

გამეცინა. დამჭკნარსახიანმა გამომხედა, უფერული თვალები ჰქონდა, ცოტა ხანი მიყურა და მკითხა:

— მარტო ხაარ?

— კი, — დავუქნიე თავი.

— მოი, გადმოჯექი, მარტო კაცი ჭამაშიც ცოდვააო!

მაგიდასთან მივედი და სათითაოდ ჩამოვართვი ხელი ყველას. დამჭკნარსახიანს დათო ერქვა, ახალგაზრდას — გოჩა, დასიებულხელებიანს — თემო.

— პახმელია? — მკითხა თემომ.

— ჰოო, თან მაგარი, — ვუპასუხე და დავჯექი.

— მაშინ ჩაარტყი, — არყის ჭიქა წამში გაქრა დასიებულ, ბადაგისფერ ტორში, — ვიცი, თავიდან მურტალია, მარა მერე წაიღებს.

არყის დანახვაზე გამაჟრჟოლა და ყელი გადამეკეტა, მზერა ავარიდე ჭიქას და ხელით ვანიშნე, არა-მეთქი.

— ჰო, ესა ფინთადაა, — თქვა დათომ.

— არა უშავ რა, ხაშთან ერთად გაუადვილდება, — დამამშვიდა გოჩამ.

და ამ დროს ულვაშიანმა კაცმა, ჩემს წინ დიდი, ღრმა თეფში დადო, რომლიდანაც ცხელი ოხშივარი ასდიოდა მღვრიე ყვითელ სითხეს, თეფშის ცენტრში კი მოზრდილი, თეთრად დაქონილი ხორცის ნაჭერი ეგდო.

ნიორი და მარილი დავაყარე, მოყვითალო, სქელთავიანი კოვზით მოვურიე, ამოვიღე, სული შევუბერე კოვზის შუაგულში მოქცეულ ცხელ წვენს, მოვხრუპე და სხეულში სასიამოვნოდ გაიშალა სითბო.

— რაც მაგარია, მაგარია! — გაეცინა თემოს და არყის ჭიქა მოწია ჩემსკენ.

მაგრამ სანამ ცოტა არ დავნაყრდი, ვერ დავლიე, ბოლოს, როგორც იქნა, გავბედე, ხაში ჩავიგუბე, ჭიქას დავწვდი, გაგვიმარჯოს-მეთქი, წავიბუყბუყე, სწრაფად გადავკარი და რომ არ ამომერწყია, ისევ ხაში მივაყოლე.

— მესამეზე წაიღებს! — ისევ ამივსო ჭიქა თემომ.

ვიჯექი, ხაშს ვჭამდი, ისინი ლაპარაკობდნენ. თემო გუშინ დაეჯარიმებინა პატრულს ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის და მაგარი აღრენილი ჩანდა.

— ის უნდა მექნა, რა, ტიპს რო პატრული გააჩერებს და რო შტრაფავს და ეს ტიპი ნერვებმოშლილი რო ეუბნება, ხელი რო დაგარტყა, რა იქნებაო? სროკიო, პასუხობს ის პატრული. მაშინ, რო შეგაგინოო? ფულადი ჯარიმაო! და რო დაგწყევლოო? პატრული ჩაფიქრდება, მერე მხრებს იჩეჩავს და ამბობს: რავი, წყევლით თუ გინდა დამწყევლეო! ჰოდა, გაგიხმეს დედის მუტელიო!

— ამ პატრულზე გამახსენდა ეხლა, — თქვა დათომ, — ბიძაჩემი საშკა ეძიკას დროს გაიშნიკი იყო. ეგ დრო ხო გახსოვს? ფულის აღება, გაშვება, ყველაფერი მოდიოდა. ჰოდა, მუშაობს საშკა ორ იმერელ მილიციელთან ერთად, ეს კახელია, ისინი იმერლები, ეს უმცროსი ლეიტენანტია, ისინი კაპიტნები და შეკლული ყაავთ ხელში: აბა, მანქანა გააჩერე, გადასახდელი უთხარი, გამოართვი, პრავა წაართვი, შეაშინე. არიან თურმე ეგრე, მუშაობს მართო საშკა, დგას გზაზე თავისი ზებრა ჯოხითა და ფორმით, იმერლებს მანქანა ჩრდილში შეუყენებიათ, წამოგორებულან „სიდენიებზე“, ნაშოვნი ფული კი სამზე ტყდება. ერთიცაა და მოდის მაგარი მანქანა, თანაც ისე ნელა, რო უეჭველად რაღაცაშია საქმე. ე, ბიჭო, საშკა, მიდი, ნაღდად მაყუთაა და ფულსაც გამოვაო, აცმუკებულან იმერლები. გააჩერა საშკამ თურმე ეს მანქანა, მიუახლოვდა, ჩაიხედა და რასა ხედავს: ზის ვიღაც კაი ნაკვები, მოზვერივით კაცი, კარგად ჩაცმული, გაგლეჯილი მთვრალი და იმდენი ოქროს ჯვარი თუ ჯაჭვი კიდია მკერდზე, რო იძირება შიგა. აწია ძლივს თავი ამ კაცმა და ეკითხება საშკას, რამდენი ხაართო? საშკას უფიქრია, ფულის გამოსვლას აპირებს, თან გათხლეშილი მთვრალია და მოდი, გავწეწამო. ადგა და ეუბნება, ექვსნი ვაართო! ჰოდა, ექვსივეს დედა მოვტყანო, უთხრა ამ კაცმა, დაქოქა მანქანა და წავიდა. გამობრუნდა საშკა უკან, მოდის, ეს იმერლები უყურებენ ნასიამოვნები, მაგარი მანქანა გააჩერა, მივიდა, ელაპარაკა და გაუშვა, ესე იგი, ფული დევს — და ერთ-ერთმა შორიდანვე დაუძახა: ჰა, რამდენი შეგვხვდა თითოსაო? საშკამაც აწია ორი თითი და უთხრა: ორ-ორი დედისტყვნაო!

— აი, რა საშინელი ხალხი ხართ ეს ქართველები, — გაიცინა თემომ.

მესამეც გადავკარით.

— ერთიც, რა! — დაცლილ არყის ბოთლს წავწვდი ყელში და ულვაშიანის დასანახად შევათამაშე ჰაერში.

ხოჭოები თავში გაქრნენ, პირიც გამიწყლიანდა, აღარც ტანში მამტვრევდა და აღარც სუნი მაწუხებდა. ვიჯექი, ოდნავ მოჭუტული თვალებით შევყურებდი ოთახს და ყველაფერი მომწონდა: პურის ნამცეცებდაყრილი და ხაშით დაწინწკლული მუშამბის კუბოკრული გადასაფარებელი, სანახევროდ ჩაბნელებული ოთახი, ფანჯრებიდან შემოსული დღის შუქი, ჭიქებში ჩასხმული არაყი, ჩაყვითლებული კოვზები, დახლზე დაგდებული ტილო, ისტორიები, რომლებსაც ყვებოდნენ, ყველაზე მეტად კი ის საამო მოთენთილობა, ნელნელა რომ მავსებდა, როგორც წყალი დოქს.

— შენც მანდა არა ხარ? ცალკე რად დგები? — უპასუხა დათომ თემოს, — შენ ჩვენი ხარ, ჩვენი ძმა ხარ!

— მაიცა, ერთი, — თავისი წითელი, გეგონება ნასოსით დაბერილი ხელი აიქნია თემომ, — ვიცი მე თქვენი ამბავი, როცა კაი ხასიათზე ხართ, თქვენი ძმა ვარ და როცა არა, მაშინ, წადი შენი სომეხი დედაც მოვტყანო! ბავშვობაში ბოქსზე დავდიოდი, გუნდელი მყავდა, ზაზა ციბაძე, ეხლა პარლამენტარი როა. აი, ისეთი ოჯახიდან, სუ პროფესორები და მასწავლებლები, დღესაც არ ვიცი, რა უნდოდა მაგ ჩემისას ბოქსზე?! ჰოდა, ერთხელ ამიყვანა თავისთან სახლში, ვჭამოთო. გამოვიდა მამამისი, ჭაღარა ბიძა, სათვალეებით და ეუბნება ეს პიდარასტი, თან ისე რა, ომახიანად: მამა, გაიცანი, ჩემი მეგობარი თემურ ხაჩათურიანი, ნამდვილი სომეხი! და გამოეფინა მთელი ოჯახი კორიდორში: დედა, ბებია, ბაბუა, დეიდა, ბიძა, შემომარტყეს წრე, დადგნენ და მიყურებენ, მათვალიერებენ, რა! ჰო, იასნია, მაგათ ცოცხალი ვაზისუბნელი და თან სომეხი, ნანახი არ ყავდათ, ეგზოტიკა ვიყავი მაგათთვის, რა! თქვენ რა უნდა მომატყუოთ? საკუთარ ქართველ ძმაკაცს შვიდ ლარად ვყავარ ნაყიდი! — თემო წამით გაჩუმდა, შემათვალიერა და გააგრძელა, — კაი ხნის ამბავია, რაღაცა ბიზნესი დავიწყეთ, მაღაზიის პონტში გვქონდა, სურსათი, რამე. და ერთხელაც წავედით წითელ ხიდზე, მაშინ ეგ ნეიტრალურ ზონად ითვლებოდა და იაფად იყიდებოდა საქონელი. წავედით ამ ჩემი ძმაკაცის, გელას დანგრეული ყვითელი მასკვიჩით, ტიში პიტსოტი, გახსოვს ეგენი, წვრილი თვალები რო ქონდა?

დათომ თავი დაუქნია, კიო.

— ისეთი დანგრეული მანქანა იყო, — ცხვირზე გაისვა ხელი თემომ, — რო ბაგაჟნიკში ზაპასკის ნაცვლად კარდანი ედო, ის უფუჭდებოდა, გაიგე და ვაჩერებდით და ვცვლიდით. ჩავედით, ცხელა, იწვის იქაურობა, ვდგავართ, ვარჩევთ ამ ტავარს, რო გაიჩითნენ ორნი, პაგრანიჩნიკი, მესაზღვრე კი არა, იქაური მილიციელები. მოდიან, ამ ავტომატებს ძირს მოახოხიალებენ, იმენნა დედა აქვთ მოტყნული სიცხისგან. მოვიდნენ ახლოს, ერთი მაღალია, შავი, გამხდარი, მეორე — დაბალი, მურთხი, წელამდე ძლივს მომწვდება, თესლი თვალებით, ულვაში აქვს, წვრილი, პატარა, ისეთი პატარა, რო ვერ მივხვდი, როგორ იპარსავდა, როგორ უნდა დაიტოვო ეგრე წვრილად. მოდიან, ჩამოსდით ეს ოფლი და მომადგნენ მაინცდამაინც მე, საბუთებიო. აუ, დამცხა, თან პირადობა ახალი აღებული მაქვს, ეს ლამინირებული როა და მიდევს ჯიბეში. დავუწყე კაჩაობა, რა პირადობა?! რის პირადობა?! აქეთიქით. ეს პატარა თესლი მიყურებს, ჩემებიც შემოგვეხვივნენ, ორნი არიან, გელა და გელას ძმაკაცი ზაზა, მარა ჩუმად მიყურებენ ეს ნაბოზვრები მე რო ვკაჩაობ! მიუბრუნდა ეს პატარა გელას და ეუბნება: მენია ინტუიცია ნე პადვოძიტ ნი ქაგდა! ტიიიი, თან სიტყვებს წელავს ეს განდონი, გრუზინ! ტიიიი, ტოჟე გრუზინ, უთხრა ზაზას. შემომხედა მერე მე, მოჭუტა ის თავისი თესლი თვალები, ა, ტიიიი არმიანინ! მითხრა და გაიცინა. კტო ვრიოტ ივო მამაუ იბალ, რა არმიანინ მეთქი, ვის ეუბნები, ქართველი ვარ და ვუტრიალებ სომხებს ყველაფერს! თან ვატრაკებ, თან კიდე ფეხები მიკანკალებს უკვე. მარა არ ჭრის არაფერი, ეს ჩემებიც მიყურებენ ჩუმად. ბოლოს მეუბნება ეს პატარა, წამოდი მაშინ, გადავიდეთ იქით, ჩვენ მხარესო, ანუ სათათრეთში, მერე ზაპროსს გავუშვებთ თბილისში და თუ ეგრეა და იქიდან დაბრო მოვა, მანქანით გადმოგიყვანთ უკანო. უკვე მაგრა ცუდად ვარ, ვცდილობ, არ შევიმჩნიო, მარა ოფლი მომდის წურწურით. სად გადავიდეთ, სად გადმოვიდეთ — ბავშვები! საქონელი! დრო! მოკლედ, ყველანაირად ვცდილობ, გამოვძვრე. მარა არ ზადნავენ და წამიყვანეს იქვე ადძილენიაში. შევედით, ოთახია, ვინტილიატორი ტრიალებს, სისხლშემხმარი მატრასი აგდია, სუნი იდგა, უეჭველი ერთი ოცი სომეხი ეყოლებოდათ იქ მოკლული. ვდგავარ, გული მისკდება, ეს პირადობაც ვერ გადავაგდე, ლაპატნიკში მაქვს. ეს ლაპატნიკი კიდე ჯინსის უკანა ჯიბეში მიდევს და ვერ ვიღებ. გელა და ზაზაც შემოგვყვნენ, მიდის ლაპარაკი და ბოლო-ბოლო, მეთქი რა გინდათ? და უცებ არ დაარტყა ორივემ, შუადღის შესვენება მოდის და ფული გვინდაო. აუ, მომეშვა, მივუბრუნდი გელას და ვეუბნები ბედნიერი, მიეცი ეს ფული და წავიდეთ-მეთქი. რამდენი გინდათო? ამან. ფიქრობენ ესენი და მერე ის პატარა ამბობს: ოცი ლარიო! ცოტა მეწყინა, ოცი ლარი რა არი, რა, ინდაური ვარ, ვფიქრობ ჩემთვის, მარა ხმას ამოვიღებ?! და უცებ ამ ნაბოზარმა ამან, გელამ, რა, რა ოცი ლარი, ძმაო?! დოროგაო! აუუუ, ფეხს ვაბიჯებ ფეხზე, მეთქი შენ ცუდად ხო არ ხარ, ბიჭო? გადამიყვანენ საზღვარზე და ჩათვალე, მკვდარი ვარ, გააძრე ფული! მაიცაო, იქნევს ეს ხელებს, მაცალე, მე ვიცი აქო და უბერავს, ძვირიაო. ეს ძაღლები ვაბშე დაიბნენ, შემობრუნდნენ, ამათვალიერ-ჩამათვალიერეს, ეტყობა, არ ვევასე, გაიგე, ჯართიაო და კარგი, მაშინ რამდენს გადაიხდიო? და ამან შვიდ ლარსო. იმათმა ათიო, არაო, თავს აქნევს ეს, შვიდ ლარზე მეტი არ მაქვს და თუ გინდათ, გინდათ, თუ არა და დაიტოვეთო. ვდგავარ ფერწასული და ვფიქრობ, ღმერთო, აქედან გამაღწევინა და, გელა, შენ თუ არ მოგიტყნა... და დავაიო, დათანხმდნენ ესენი, გადაიხადა ამ პიდარასტმა ეს შვიდი ლარი, გამოვედით გარეთ და დროზე-მეთქი, ტავარის დედაც, ბიზნესის დედაც და ჩემი მეორედ აქ ჩამომსვლელის დედაც მოვტყან! ჩავხტით მანქანაში. მიცა ამან გაზი, ავარდა ბუღი, იქ ვიღაც თათრები ჩაის სვამენ და შემოგვაგინეს. ეეე, ამათი დედა მოვტყან, იძახის გელა, მანქანას აჩერებს და კარის გაღებას აპირებს, გადასვლა უნდა, გაიგე, საჩხუბრად. მეთქი, არ გაჩერდე, ყველა გინებას მე ვიღებ, შვიდ ლარად მიყიდე, შე ნაბოზარო! ეხლა კიდე აქ უნდა მომკლან? და გამოვგაზეთ, მარა მერე გზაზე რო გავჩერდით, იქ მე სიცილი ამიტყდა, ვერ ვჩერდებოდი.

— და ისინიც ვერ ჩამოდიან თქვენთან? — ვკითხე დაკრეჭილმა.

— არა, კაცო, რას ამბობ, ისინი სულ ჩვენთან დადიან მწვადის საჭმელად, ჩვენ ხო მაგარი ჰუმანური ერი ვართ, — დამცინა თემომ.

მეორე ბოთლიც სწრაფად დაილია. ისტორიები კი არ მთავრდებოდა და მე ისევ ვთვრებოდი.

მესამე ბოთლზე რომ გადავედით (ამჯერად გოჩამ ანიშნა ულვაშიანს, ერთიცო), ჭიქას ხელი დავავლე და ჩემი ახალი ნაცნობების სადღეგრძელო დავლიე:

არ იცით, როგორ მსიამოვნებს აქ ყოფნა, რომ გაგიცანით და გისმენთ, როგორ ყვებით, სულ მაგის ძიებაში ვარ და აჰა, ვიპოვე-მეთქი.

— რის ძიებაში ხაარ? — მკითხა დათომ.

— მინიმალიზმის, — ერთი მოყუდებით გამოვცალე ჭიქა.

— ეგ რაღაა?

— ეგ... ეგ... არი, რო გრძელი ამბავი მოკლედ მოყვე, მოკლედ თქვა, ერთი ზედმეტი სიტყვის გარეშე, — დავიწყე ახსნა, — აი, როგორც თქვენ ყვებით. ოღონდ, როგორ გითხრა, — წამით ჩავფიქრდი, რამე ისეთი უნდა გამეხსენებინა, გრძელი, დიდი, წიგნი ან კინო, ან კიდევ უკეთესი ორივე ერთად, რაღაცა ისეთი, რაც ყველას გაუგია, ყველამ იცის — აი, აი, — და უცებ გონება გამინათდა, ცერა და შუა თითი ტკაპუნით ჩამოვუსვი ერთმანეთს და თავი ავწიე, რადგან ზუსტად ის ვიპოვე, რაც მინდოდა, ოთხი თუ ხუთი სრულმეტრაჟიანი სერია, რამდენიმე სქელი ტომი, — ანჟელიკა! როგორ მოყვებოდი ანჟელიკას რაც შეიძლება მოკლედ! აი, რას ვეძებ!

— დათო ძია, რომელია ეგ ანჟელიკა? — იკითხა გოჩამ.

— როგორ არ გახსოვს ბიჭო?! — უთხრა დათომ, — ნანახიცა გააქვს, ანჟელიკა ისაა, ერთი მდიდარი ებრაელი როა, ოქროს ცეხი რო აქვს, მეფე ცოლს წაართმევს, ცეხს დაუხურამს!

ვისხედით და ვსვამდით, ოთხი უსაქმური — ერთი სომეხი, ორი კახელი, ერთიც კიდევ მინიმალიზმის ძიებაში შარაგზაზე გამოსული მეგრელი პილიგრიმი...

„ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრისა“ და „მწერალთა სახლის“ ერთობლივი პროექტი — ლიტერატურული კონკურსი დამწყები პროზაიკოსებისთვის — „ჩვენი თავგადასავალი“ — რომელმაც საქართველოს ყველა რეგიონის 14-18 წლის მოზარდები მოიცვა, ჯერ კიდევ მაისში დაიწყო. 187 პროზაული ნაწარმოებიდან კონკურსის სამუშაო ჯგუფმა ბოლო ეტაპისთვის 24 საუკეთესო შეარჩია.

29 სექტემბერს საქართველოს სხვადასხვა კუთხის წერის ნიჭით დაჯილდოვებულმა ახალგაზრდებმა თავი კახეთში მოიყარეს. ჟიურის წევრებისგან (თეონა დოლენჯაშვილი, გიორგი ლობჟანიძე, ირაკლი ჯავახაძე) წინანდალში მიღებული დავალება (დევიზი — გურამ რჩეულიშვილის ფრაზა მოთხრობიდან „ნადირობა“ — „კედლის საათი უკვე თორმეტს უჩვენებდა“) ერთდროულად რთულიც აღმოჩნდა და საინტერესოც. საბოლოოდ, ერთ დღეში შექმნილი მოთხრობებიდან ჟიურის სამივე წევრმა საკუთარი რჩეულები გამოავლინა.

დღეს „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლები გაზეთის ორ რჩეულს ეთმობა — თამთა გვენცაძესა და ლიზი ბუდაღაშვილს. ყველა მონაწილის კახეთში შექმნილ პროზაულ ნაწარმოებს კი ლიტერატურით დაინტერესებული ფართო საზოგადოება წლის ბოლოს კრებულის სახით გაეცნობა.

თამთა გვენცაძე

„ჩემი თავგადასავალი“

მოგზაურობა ძალიან მიყვარს და თითქმის ყოველთვის გამომდის. ალბათ, გგონიათ, მსოფლიო მაქვს მოვლილი, ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ყველაფერი მინახავს, მაგრამ ცდებით. ჩემი მოგზაურობა ჩემს გონებაშია. მივდივარ იქ, სადაც მომწონს და ვხდები ის, ვინც მინდა, რომ ვიყო. მთელი სიმძაფრით განვიცდი ყველაფერს და შინაგანად სრულიად ვიცვლები. ბევრი სახე მაქვს, როგორც ყველას, და ვცდილობ, ყველაფერი გავხდე, რომ ბოლოს და ბოლოს გავიგო, ვინ ვარ.

მთვარის კრატერშიც ვარ ნამყოფი და დალის ულვაშშიც. პირველად მე და და ვინჩმა ერთად ვიფრინეთ და ის ვაშლიც ჩემი ჩამოგდებულია, ნიუტონს რომ თავზე დაეცა. მახსოვს, ნაპოლეონს ჯერ მე შევუყვარდი და მერე — ჟოზეფინა. გალაკტიონის ლექსსაც თავიდან „თამთა“ ერქვა. ყურმოჭრილ ვან გოგს სარკეს მე ვუჭერდი, როცა ავტოპორტრეტს ხატავდა. დელოსზე იმ უთავო ქანდაკებას სულ თავიდან, შვიდი ათასი წლის წინ, ჩემი თავი ედგა. სფინქსის ცხვირიც მე ვიყავი და მსოფლიოში პირველი პიანინოც. ის შურიც ვიყავი, კაენს აბელი რომ მოაკვლევინა. ჯერ ადამი ვიყავი, მერე — ევა... ორივე რომ აცდუნა, ის გველიც ვყოფილვარ, თავდაპირველი სიბნელეც, დიდი აფეთქებაც და სულ პირველი, ერთუჯრედიანი ბაქტერიაც.

ვყოფილვარ ყველა და ყველანაირი. სიყვარულიც გამომიცდია და იმედგაცრუებაც. ტკივილიც ბევრჯერ მყოლია სტუმრად და სიხარულის დეფიციტიც არ განმიცდია. სასოწარკვეთილს ბევრჯერ მქონია გაქცევის სურვილი. უზომოდ ბედნიერს ფრთებიც კი ამომსვლია. მეცხრე ცაც მინახავს და მეორმოცეც, თხუთმეტსართულიანი შენობის ზღურბლიც და სასაფლაოც. ხან ზემოდან ვიყურებოდი, ხან ქვემოთ ვიყავი.

კედლის საათი უკვე თორმეტს უჩვენებდა...

ახლა სად ვარ? თავად მაინტერესებს. ცარიელი ვარ. არავინ და არაფერი ვარ. ვერაფერს ვწერ და ვერსად ვმოგზაურობ.

გიჟი გგონივართ? არა, აქამდე ჩემი ფეხით მოვედი.

ლიზი ბუდაღაშვილი

ჟანა

ერთი, ორი, სამი... ტრიალი, ნაბიჯი... ერთი, ორი, სამი... ტრიალი, ნაბიჯი... კედლის საათი უკვე თორმეტს უჩვენებდა. წვეულებამ დასასრული მოიახლოვა და... გაეღვიძა ჟანას, ქალს ჩემს მეზობლად.

ჟანა გასათხოვარი ქალია ან გაუთხოვარი, როგორც იტყვიან. ორმოც წლამდე იქნება, ან ცოტა მეტის. ოკეანის სიღრმეებივით შეუცნობელი ადამიანია. შანდლები და რუკები უყვარს. ხედავს სიზმრებივით აუხსნელ სიზმრებს და ყოველდღე ჰყვება. თბილ სიტყვას ოქტომბრის თოვლივით იშვიათად ამბობს — უხეშია. ამაყიც. ადრე ხუთნი იყვნენ: თავად, ორი ძაღლი, ვინმე მასავით შეუცნობელი ზურა და რაღაცნაირი დაძაბულობა. კაცი ჩვენთვის უცნობი მიზეზით ცხოვრობდა მასთან, თანაც ძალიან ბედნიერად. მერე სულ გაქრა, უგზოუკვლოდ. სხვაგან წავიდა... ჟანას უყვარდა კაცი, ამაზე ლაპარაკი — არა. მერე ოთხნი დარჩნენ და დაძაბულობა ქალს მჭიდროდ მიეკედლა. ყველგან დაჰყვება.

ახლა დილაა, მოთეთრო და გრილი. ჟანა აივანზე გადმოყუდებულა და უმისამართოდ ჰყვება:

— ამასწინათ ერთი უცნაური სიზმარი ვნახე: ვითომ მაგიდაზე ნამცეცები ეყარა, ქარი ამოვარდა, გაფანტა და ვერცერთი დავიჭირე, — მხრებს იჩეჩავს.

კომენტარს არავინ აკეთებს.

შუახნის სიმპათიური კაცი დატვირთული მოუყვება დაღმართს, ჩვენი სახლის წინ ჩერდება და იძახის:

— პური! პური მოვიდა!

ჰო, მართლა, ჟანამ ფორტეპიანოზე დაკვრა იცის, თუმცა თხუთმეტი წელია, არ დაუკრავს (დიდად არ უყვარს). მეზობლები ეხვეწებიან ხოლმე, დაუკარიო, მაგრამ არაფრის დიდებით არ ეკარება როიალს. მასთან ერთადერთხელ ვარ ნამყოფი. ჩვენს საერთო კედელზე დიდი საათი უკიდია. ორმოც წუთში ერთხელ ქოქავს. ეშინია. ფიქრობს, რომ როცა ადამიანი კვდება, საათიც მაშინ ჩერდება.

დგას პურის გამყიდველი და უკვე მეორედ იძახის:

— პური მოვიდა, პური!

ჟანა ეკითხება:

— როდინდელია ეგ პური?

— ხვალ გუშინდელი იქნება, ქალბატონო, — ეუბნება კაცი და გულიანად იცინის.

— წესიერად მიპასუხე, რომ გეკითხები. შენი ლაზღანდარობის ხასიათზე არა ვარ, — წამოენთება ჟანა. ხომ გითხარით, უხეში ქალია-მეთქი.

— რატომ ბრაზობთ, ქალბატონო? — იცინის კაცი, — როდინდელია და ზეგ გუშინწინდელი იქნება უკვე.

— ანუ დღევანდელია, ჟანა, რა ვერ გაიგე? — ეხმიანება გამხიარულებული მეზობელი.

— ტფუი შენს ადამიანობას! — ახლის ჟანა და ღიაფანჯრიან ოთახში შედის. ძაღლი მიჰყვება. მეპურე კაცი დგას, თავს აქნევს და ისევ გულუბრყვილოდ ხარხარებს. გვერდიდან ჟანას რუსულ-ქართული წყევლა-კრულვა ისმის. კაცი უფრო ფართოდ აჩენს კბილებს.

— რა ჰქვია ამ ქალს? — მეკითხება ქვემოდან.

— ჟანა.

მიდის კაცი. მეც მეღიმება. ჟანა უპუროდ დარჩა, მგონი.

...კედლის საათი უკვე თორმეტს უჩვენებდა...

— დაგვიკარი, ჟანა, დაგვიკარი, — შორიდან ხრიალებს დაგუდული ხმები და ოთახს ბოჭავს.

— არა, რას ამბობთ!

— დაგვიკარი, დაგვიკარი! — იმატებს ხმაური, ბრძანებას ემსგავსება, ოთახს უფრო ძლიერად ბოჭავს, ავიწროებს, ჰაერი იხუთება და სკდება უცბად როიალი, უზარმაზარ ობობებად იშლება, ობობები სხეულზე აცოცდებიან და ოფლში გაწურულს ეღვიძება ჟანას, ქალს ჩემს მეზობლად...

მეორე დილაა.

— პური მოვიდა, პური!

ჟანა ისევ აივნიდან იხედება.

— როდინდელია?

— ხვალ გუშინდელი იქნ...

— უზრდელი! — ისევ ბრაზდება ჟანა. ოთახში უჩინარდება, მაგრამ მალევე ბრუნდება:

— ნონა, ის თავხედი პურის გამყიდველი წავიდა?

— წავიდა, ჟანა, წავიდა, — სიცილით პასუხობს მეზობელი.

— ისე, ჩემს ზურიკოს არა ჰგავს? ძალიან ჰგავს სახით და აღნაგობით. მაგრამ შინაგანად სხვა ადამიანი იყო, ვერავინ შეედრებოდა...

— ვინ არის, ჟანა, ზურიკო? რომ არ მახსოვს?

— არავინ არ არის...

ნოემბერს მოუწია უკვე დარაჯად დადგომა. უფრო აცივდა. უკვე ორი თვეა, ჟანა უპუროდ სვამს ჩაის. რამდენჯერმე ვუყიდე, შევთავაზე და არ გამომართვა. ამაყია. მიუხედავად ამისა, მაინც ყოველდღე იხედება იმ კაცის ძახილზე, პური მოვიდაო რომ გაჰყვირის. იხედება, იგესლება და შედის. კაცი სულ გულიანად იცინის. ჟანას ღამაზი სახისთვის არასდროს შეუვლია ღიმილს თავისი თბილი ხელი.

„...ჟანა, საათი დაქოქე! მალე, სასწრაფოდ! გადაქოქე! ჩერდება! უნელებს!"

საათს ისრები უდნება და ეღვიძება ქალს, ჟანას, ჩემს მეზობელს...

ეს ბოლო კვირები წვიმებმა უმატა. მაინც მოდიოდა კაცი და გაიძახოდა თავისას. წვიმის დგაფუნში სადღა ისმოდა იმის ომახიანი ხმა. ჟანას მაინც ესმოდა, გამოდიოდა, ჩვეულს ეტყოდა და შევიდოდა. კაცს კი სახეზე წურწურით ჩამოსდიოდა წვეთები, ახლადგაჩენილ ნაოჭებს წვიმა უსერავდა და კიდევ უფრო დახვეწილს ხდიდა მის ნაკვთებს. გალუმპული გულიდან ქოლგით წამოსული სიცილი მაინც უნათებდა სახეს. გაუყვებოდა მერე ასე გაღიმებული ქუჩას, გაყიდდა პურებს და დაცარიელებული ჩანთებით ბრუნდებოდა უკან, რათა ისევ აევსო შემდეგი დღისათვის. ჟანა ჩუმად აყოლებდა ხოლმე თვალს და საკუთარი თავის ერიდებოდა...

დილას ბასრად ცრიდა. კაცი არ მოვიდა. არც ჟანა გამოსულა. შუადღე გადავიდა. კვლავ სველმა საღამომ შემოაბიჯა ჩვენს ქვაფენილიან ქუჩაზე და ჟანა გამოვიდა. იყურა, იყურა. ჩუმად ეძებდა თვალებით. ქვედა სართულის ქალს მოჰკრა თვალი და დაუძახა:

— ნონა, ის კაცი, პურს რომ ჰყიდის, დღეს რატომ არ მოვიდა?

— ვინ კაცი, ჟანა? — წარბები შეჭმუხნა ნონამ, — აჰ, მეპურე? ზურაბი? ეჰ, ჩემო ჟანა, მოკვდა ის კაცი. ფილტვების ანთება დამართნია და გაურთულდაო, ამბობენ.

— ზურაბი ერქვა... — ჩაიჩურჩულა ჟანამ, — სახითაც როგორ ჰგავდა...

— რა მინდა გკითხო, ჟანა, ის რძე იმ ქალმა რომ მოგყიდა, კარგი იყო?

— კი, — ჟანა ფიქრებით მაინც სხვაგან დაცურავდა. არადა, ცურვა არ იცოდა.

— მართლა? როდინდელი იყო?

— ხვალ გუშინწინდელი იქნება, — წაიხუმრასავით ჟანამ.

— რა?

— არაფერი, არაფერი.

ჟანა ოთახში შევიდა. მე აივანზე დავრჩი. მისი ოთახიდან საათის წიკწიკი აღარ ისმოდა — საათი გაჩერებულიყო და... დროულადაც! რადგან აღარ იყო ჟანას სულის დამმუხტავი ნაწილაკი, გაუჩერდა გული და გაჩერდა საათიც. ჟანაში სული გაიხლიჩა, ნამცეცებად დაიშალა, გაიფანტა, შეხორცდა, ქარმა მაინც წაიღო... და ჟანამ ვერაფერი შეცვალა, რადგან მის ცხოვრებაში იყო ორი შეცდომა და ბრალდებული სიამაყე. იყო სიცივე და ერთადერთი რუხი ფერი. დანაოჭებული გულის ფსკერზე ჩამქრალი, დაკუჭული, გამოფიტული გრძნობები ეყარა. იყო ნაკვერჩხლის გაღვივება, მაგრამ... ბრალდებული სიამაყე, წყალი, ჩაქრობა...

გვერდიდან ჩახშული ქვითინი აპარებდა. ცამ დაიქუხა. ძლიერად დაუშვა. მე აივანზე ვიჯექი ისევ. ჩვენი სახლიდან ვიღაც შავებში ჩაცმული ქალი გავარდა, ცას შეუშვირა ლამაზი სახე. ჟანა იყო. იდგა და ილუმპებოდა. ხელში მაგრად გახვეული პური ეჭირა. იდგა და ტიროდა. წვიმაში ტიროდა, რომ ვერავის გაეგო, ვერავის შეემჩნია. ამაყი იყო-მეთქი, ხომ გითხარით...

— დაგვიკარი, ჟანა, დაგვიკარი! — ბრბო ალყას არტყამს. სთხოვენ, უბრძანებენ.

— არა! რა უნდა მოხდეს, მე რომ დავუკრა.

— დაგვიკარი, დაგვიკარი!..

იყო კიბეების ჭრაჭუნი, კარის ღრჭიალი და... შოპენის პირველი, სოლმინორული ბალადა...

ჟანა უკრავდა...

ირაკლი კაკაბაძე

გამოსვლის წიგნი

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

აქ დამტოვეთო.

ვკვდები და ბარემ სასაფლაოზე მოვკვდეო.

თქვენ წადით, ვინმე მიპოვის და მიწას მომაყრის, მიწას არავინ დამაყვედრისო.

გადატეხილ, ხავსმოდებულ საფლავის ქვასთან მიწვა.

გარშემო სულ გავერანებული, დანგრეული საფლავები იყო.

ხავსსა და ველურ გვიმრას დაეფარა საფლავის ქვები.

ჟანგი მოსდებოდა ქვასაც, ხავსსაც, ღობეებსაც და ეკალ-ბარდებსაც.

არაფერია ნასოფლარებსა და მიტოვებულ საფლავებზე საზარელი.

წადი, რაღას მიყურებო, მითხრა.

მე ასე მირჩევნია, ასე მშვიდად მოვკვდებიო, ტანჯვისა და წამების გარეშეო.

ცოდო ვარ, ძალიან დავიღალე, მეტი აღარ შემიძლიაო.

აღარ მაწვალოთ, გამიგეთო, დამიჯერეთო.

ნერწყვს ძლივს ყლაპავდა. გაშრობოდა პირიც, თვალებიც.

მე ამომყურებდა. ეჭვით მიცქეროდა. ქოშინებდა.

რა ქალივით ტირი, ჯერ ცოცხალი ვარ, არ მომკვდარვარ, ჯერ მხოლოდ ვემზადებიო.

ჯერ საკუთარ თავთან ბევრი რამე მაქვს გასარკვევი და დამტოვეთ მარტო, მაცალეთ, ღმერთი არა გწამთო?!

რას ამბობ, სრულ ჭკუაზე ხარო?! – ჩვენმა ნათესავმა კაცმა, რომელიც ჩვენთან ერთად იყო და რომელმაც იცოდა, როგორ გადავსულიყავით მთებით რუსეთში.

აქ როგორ დაგტოვებ, რა პასუხი გავცე შენს ცოლს, შენს შვილებსო?!

თავისი ცოლი და ორი ქალიშვილი ხუთი დღის წინ დაემარხა.

სოფლიდან მოშორებით, ტყეში, ძველ ფერმაში გახიზნა და ერთ კვირაში მეზობლის ბიჭმა ურიკით ჩამოუსვენა შინ.

სამივე ნაწამები იყო.

ხალხი ამბობდა, სამივეს შავი საღებავით „ღორები“ ეწერათ რუსულად ტანზეო.

სამივე გაუპატიურებული იყოო.

იმ ბიჭმა იმავე ღამეს მოიკლა თავი.

როგორ არ იცნობდი, ნანახი მაინც გეყოლებოდაო, ცოტა ჭკუასუსტი იყო, სულ თავის თავს ელაპარაკებოდა, სულ ღიღინითა და სიმღერით დადიოდაო, ბებიაჩემმა.

ალბათ, ვერ იხსენებ, თორემ კინოში ერთხელ მაინც შეამჩნევდი, მუდამ პირველ რიგში იჯდა და გვერდით არავინ უჯდებოდაო.

ინდური ფილმების სეანსი ღამე იწყებოდა, ყოველთვის ბნელოდა და თან ისეთი ზედახორა იყო, აბა, იქ ვის გავარჩევდი, ვის დავაკვირდებოდი?

თან ისეთი ხალხმრავლობა იყო მუდამ, ხშირად გარეთაც დავრჩენილვარ.

მაგათი სახლი კი ვიცოდი, მაგრამ იმ ეზოში იშვიათად ვხედავდი ვინმეს, მხოლოდ მოხუც ცოლ-ქმარს – ალბათ, მის ბებია-ბაბუას.

ის და მისი ძმა ტყეში მუშაობდნენ, ხის საამქროში, ნახევრად იქ ცხოვრობდნენ და, აბა, საიდან უნდა მცნობოდა.

დედამისი ამის, უმცროსის დაბადებას გადაჰყოლია.

მამა კი, ცოლის სიკვდილიდან წელიწადიც არ ყოფილა გასული, რუს ტურისტს გაჰყოლია უცხო მხარეში და მას აქეთ მისგან აღარაფერი ისმოდა თურმე, მხოლოდ რუსეთში ყვავილებით მოვაჭრე ჩვენს თანასოფლელ ქალებს ჩამოჰქონდათ ყურმოკრული ამბები, რომლებიც ძალიან ჰგავდა იმ ისტორიებს, ბევრ სხვა ასევე უგზო-უკვლოდ დაკარგულზე რომ ჰყვებოდნენ.

ძალიან უყვარს იმ ქალსო.

სამი გერი ჰყავს, გოგოებიო, თან ჰყვებაო.

სხვა ადამიანი გეგონება, კაცს დაემსგავსაო.

კარგად არის, კარგს ჭამს და კარგს სვამსო.

ამ ამბის დროს კი, მგონი, იმ რუსებზე, ჩეჩნებსა თუ კაზაკებზე მეტად მთელი სოფელი იმ კაცს აგინებდა – ამ თხუთმეტი წლის ბიჭის საცოდაობით მამამისმა როგორ უნდა გაიხაროსო?!

იმათაც წყევლიდნენ – თავი იმიტომ მოიკლა, დიდი ცოდვა აჰკიდეს იმ ავაზაკებმა ობლობაში გაზრდილ ბავშვსო. ეგეთი ამოწყდნენო!

არ ვიცი, ვინ თქვა და მართალი იყო თუ არა, მაგრამ იმასაც ამბობდნენ, თვითონ ცოცხლები შეურაცხყვეს და ამას მკვდრებთან აიძულესო.

ამ ჩვენმა ნათესავმა დამარხა ისიც.

სისხამ დილით მოვიდა ჩვენთან. მე არ მეძინა. საოცრად ჩუმი ღამე იყო, სხვა ბოლოდროინდელი ღამეებისგან განსხვავებით.

ვინც სოფელში დარჩა, ალბათ, თვალი არც არავის მოუხუჭავს, ყველა ფხიზლობდა, თითქოს ყველა რაღაცის მოლოდინში იყო, ავის მოლოდინში.

ვერც მე მოვისვენე საწოლში.

ვწრიალებდი, ვშფოთავდი, ცალი ყური ბუხრის ოთახისკენ მქონდა, ვუსმენდი ბებიაჩემისა და ბაბუაჩემის პაუზებით ნაწყვეტ-ნაწყვეტ საუბარს. მეტწილად სოფლიდან ჩემი გაყვანის გეგმაზე ლაპარაკობდნენ. თან სულ ის მეზობლის ბიჭი მელანდებოდა და ყველა უცნობ სახეს ვიხსენებდი, სოფელში სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილას რომ შემიმჩნევია და ვმარჩიელობდი, რომელი შეიძლებოდა ყოფილიყო ის.

სქელი ნისლი იდგა, არაფერი ჩანდა ფანჯრიდან.

უცნაური ნისლი იცოდა ჩვენს სოფელში, თითქოს მიწიდან ამოდიოდა ცივი ოხშივარივით და ყველაფერს ბურავდა, ყოველგვარ ჩქამს ახშობდა. აქა-იქ თუ გამოისმოდა დილის ჩიტის ძახილი.

უკანა კარზე დააკაკუნა.

ღრიჭოდან ჩუმად დაიძახა, მე ვარო.

ბებიაჩემმა ფრთხილად გაუღო კარი, მაგრამ კარმა მაინც გაიჭრიალა და ამ ჭრიალზე მთელ ტანში დამიარა ჟრუანტელმა.

მომეჩვენა, რომ ჭრიალმა მთელ სოფელს გადაუარა და დილის სიჩუმეში ტყის პირამდეც მიაღწია.

ტანსაცმლიანად ვიწექი და ოთახში შემოვიდა თუ არა, წამოვდექი და გავედი.

ფიცრები მჭირდებაო.

რატომ ადექიო, პლედი მომახურა ბებიაჩემმა და სტუმარს ჯორკო გაუწოდა, ჩამოჯექი, ჩაის დაგალევინებ, წყალი ესესაა ადუღდაო.

წინა დღეებში წაუღო ბაბუაჩემმა ფიცრები კუბოების შესაჭედად.

არ მინდა, კარადაში ჩავასვენებ და ასე დავმარხავო, მაგრამ არ დაანება ბაბუაჩემმა.

ვისთვის გინდაო?

იმ ბიჭს უნდა შევუკრა, საფლავი უკვე გავთხარეო.

არაფერი არ შეუძლიათ იმ მოხუცებს, მე შემომყურებენო.

არავინაა არც მაგათი და არც მკვდრის პატრონიო.

მეორე ძმა იმ დღესვე გადაიკარგა, არავინ იცის, სად არისო.

ღამით გასულა სახლიდან, არაფერი წაუღია, რაც ეცვა, იმის ანაბარა წასულაო.

გვიან ღამით იჯდა და ტიროდაო, მოხუცები ამბობენ, ორი დღე ხმა არავისთვის გაუცია, მხოლოდ ფოტოებს ათვალიერებდა და ის ფოტოებიც თან წაუღიაო.

ბაბუაჩემმა – მამის საძებნელად თუ წავიდა, ფოტოებიც, ალბათ, ამისთვის უნდოდაო.

მერე დიდხანს დუმდა სამივე. მე ფანჯარაში ვიყურებოდი. არაფერი ჩანდა, მაგრამ თვალს რომ ვუშტერებდი, ვხედავდი, როგორ ნელა-ნელა უფერულდებოდა ნისლი.

ხშირად ვაკეთებდი ასე. თოვლში თუ თვალებს არ დაახამხამებ და სივრცეს მიაშტერდები, ცაში გეგონება თავი. ამ დროს უნდა წარმოიდგინო, რომ ჩიტი ხარ, ან მოკვდი და ღრუბლებში დაფრინავ.

თუ მცხუნვარე მზეს მიაშტერდები, რასაც გინდა, ყველაფერს დაინახავ – რასაც წარმოისახავ, რაზეც ოცნებობ, რასაც შენი ფიქრი გასწვდება.

ჩვენი ნათესავი კაცი წამოდგა, წყალი დამალევინეთო.

ცხოველი ვარო.

ვსუნთქავ.

წყალს ვსვამ.

პაპიროსს ვეწევიო.

გუშინ ერთი ნაჭერი პურიც ვჭამეო.

ცხოველია ადამიანი, აბა, რა არისო?!

ბებიაჩემი ატირდა. ჯერ კრუსუნებდა, მერე კი უეცრად იფეთქა თითქოს და ღვარად წამოუვიდა ცრემლი.

უსიტყვოდ იშვიათად ტიროდა. მხოლოდ ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების სატირლებში მახსოვდა მისი ტირილი. ყველგან ყურადღებით უსმენდნენ, ცნობისმოყვარედ შეჰყურებდნენ და მოთქმით გაწელილ თითოეულ სიტყვაზე თავს უქნევდნენ მოსამძიმრეები თუ ჭირისუფლები.

მერე მის სიტყვებს იმეორებდნენ და ახლა ბებიაჩემი ეთანხმებოდა თავის ქნევით.

თავს ძლივს ვიკავებდი, რომ მეც მოთქმით არ მეტირა. ცემინებასავით გადაედებოდა ყველას ტირილის სურვილი და იშვიათად თუ ვინმე გაუძლებდა უცრემლოდ ბებიაჩემის იმ სიტყვებს, ხალხის გასაგონად რომ ამბობდა.

ტირილის დრო სად გვაქვსო, ფანჯარაში გაიხედა ნათესავმა.

სად გვაქვს დრო, ამაღამ შემოვლენო.

ხელები პირზე აიფარა და ისე ქვითინებდა, მაპატიეო.

ან ამდენ ხანს რას ელოდებოდნენ, კაცი აღარ ჭაჭანებს სოფელშიო, ბაბუაჩემმა.

მოხუცებიღა დავრჩითო.

მოხუცები, სოფლის ორი გიჟი და ჯარისკაცების ნადავლიო.

ერთი ოცი მანქანა კი იდგება კლუბის ეზოში. მანქანები და საუკეთესო ავეჯიო.

ნადავლი დატოვეს და ჩვენთვის ვის სცხელოდაო, უკან არც მოუხედავთო.

მეც დამრჩა მათგან სახსოვარი – სამი ტყვია, რომლებიც სახელდახელოდ დავმალე უკანა ეზოში, თხილებში, და შავი ლენტი, რომელზეც რაღაც ლოცვა ეწერა რუსულ ენაზე და თითქმის ყველა ჯარისკაცს ეკეთა თავზე, ვინც ჩვენს სოფელში მინახავს.

ერთმა ჯარისკაცმა მაჩუქა მდინარეზე, გოგოსავით ლამაზი ხარ, რომ გაიზრდები, მოგიტაცებენო.

სად ცხოვრობ, კიდევ რომ ჩამოვალ, ერთ მანქანას ჩამოგიყვან საჩუქრადო.

დავსტაცე ხელი ლენტაში გახვეულ ტყვიებს და გამოვიქეცი.

მერე, როცა ეს ამბავი მახსენდებოდა, ჩემს თავზე ვბრაზობდი – იქნებ მართლა მჩუქნიდა-მეთქი.

ჩემს ძმას ვაჩუქებდი, წავუყვანდი ქალაქში და გავახარებდი.

მეთქვა „კი“.

ბევრჯერ დამესიზმრა ის მანქანა, შავი იყო, გრძელი, ახალი.

ხან მესიზმრებოდა, რომ მოჰყავდა იმ ჯარისკაცს ჩემი მანქანა და გზაში ფეთქდებოდა.

ხან მესიზმრებოდა, რომ მეც იმ მანქანაში ვიჯექი და სისხლში ვიხრჩობოდით შიგნით.

ხან ზღვის სანაპიროზე დავქროდით და ჩაწეული ფანჯრიდან თავს ვყოფდი გარეთ, ბებიაჩემის გაფრთხილების მიუხედავად, თავი არ გაყო, არ წაგაცალოსო.

ბოლო ხანს კიდევ უფრო ხშირად ვნახულობდი ასეთ სიზმრებს.

მესიზმრებოდა, რომ მარტოდმარტო ვიდექი ავტომატიანი, ტალახსა და სისხლში ამოსვრილი სამხედროების წინაშე.

ბაბუაჩემიც რომ ადგა და ფანჯარასთან მივიდა, შუქს აეფარა. ჩამობნელდა. თითქოს ღამე შემოიპარა ოთახში და უცებ წარმოვიდგინე, რომ მართლა ღამე იყო და კარი შემოგვიმტვრიეს.

ავტირდი.

ბებიაჩემმა გულში ჩამიკრა.

არ იტირო, ბებიაო. არ იტიროო.

ბაბუაჩემმა ხელი მხარზე დაადო ნათესავ კაცს და თითქმის ჩურჩულით უთხრა, მკვდრის მეშინია, ვერ წამოვალ, ვერ შევხედავო.

კაცს მისკენ არ მიუხედავს, არც პასუხი გაუცია. იდგა და ნისლში იყურებოდა.

მეგონა, ვერ გაიგონა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, უკვე კართან მისულმა, უთხრა, არა უშავს, მე მივხედავ იმ ბიჭსო.

ფიცრებს ავიღებ, სახელოსნო ხომ ღიააო?

მე წამოგყვები, მარტო ცოდო ხარ, მოგეხმარებიო, ბებიაჩემმა.

ნაქსოვი თავსაფარი მოიხურა მხრებზე და კიდევ ერთხელ მთხოვა, არ იტიროო.

ბაბუაჩემმა – არ შემიძლია, მკვდრის მეშინია, მკვდრის მეშინიაო, სამჯერ გაიმეორა.

არ სწყენიათ – იცნობდნენ.

ახალგაზრდობაში ჯარისთვის თავის ასარიდებლად მძღოლად დააწყებინეს თურმე მუშაობა.

ბებიაჩემი მეტყოდა ხოლმე, ასე გაზარდესო. ყველაფერს სხვები აკეთებდნენ მის მაგივრადო. სასათბურე პირობებში ჰყავდათ, ცხოვრებისთვის არ მოამზადესო.

წიგნზე მძიმე არაფერი აუწევიაო.

წიგნები, პაპიროსი და ყველაზე მძიმე – შენო, იცინოდა.

როცა აბანავებდა, მაშინაც სულ კისკისებდა, მაგრამ ეჯუჯღუნებოდა კიდეც, აყვედრიდა, პატარა ბავშვივით რომ ბანდა.

ჭიას ეძახდნენ. ეს მისი ქურთი მეწაღე მეგობრისგან ვიცოდი, ვისთანაც სკოლის მერხიდან მეგობრობდა.

სანამ გასუქდებოდა, ჭიასავით გამხდარი ყოფილა.

მანქანას კი კარგად ატარებდა, მაგრამ უბედური შემთხვევისგან დაზღვეული არავინ არისო.

ღამით მოუწია თურმე რაიონიდან ქალაქში დაბრუნება და გზაში ფარები ჩაუქრა.

ვერსად გაუჩერებია მანქანა.

სადმე დასახლებულ ადგილამდე მივალ და იქნებ შევაკეთოო.

გარშემო სულ მოტიტვლებული ველები ყოფილა, სულ ჭალები, სულ მინდვრები.

ჩქარობდა, დროზე მივადგე ვინმეს, სანამ ხალხს დაუძინიაო.

მთვარეც კი არ გამოსჩენია მშველელად.

ჩაქვესკნელებული ყოფილა, ამის ბედად, ყველაფერი.

არავინ იცის, ასეთ დროს სად მიდიოდა დედა-შვილი.

ბავშვი ექვსი წლისა ყოფილა.

ზაფხული იდგა, სექტემბერში სკოლაში მიდიოდაო.

ციხიდან თავის დახსნა არც უფიქრია, ოჯახმა კი სცადა, ემუდარნენ, ეხვეწნენ, მაგრამ ვერ გადაათქმევინეს და ვერ დაიყოლიესო.

ბოლომდე მოიხადა სასჯელი, მხოლოდ ბოლო წელს შეეხო ამნისტია კარგი ყოფაქცევისთვისო.

ბებიაჩემი ამბობდა, ყველას ისე შეჰყვარებია, პატიმრები ეხვეწებოდნენ, იქნებ დარჩე, ფულს შევაგროვებთ და ხელფასს გადაგიხდითო.

ციხის დირექტორისთვისაც უთხოვიათ, ბიბლიოთეკარად დაგვიტოვეთო.

ყოველთვის, როცა დასაძინებლად წვე-

ბოდა, პირჯვარს იწერდა და მე ამის დანახვისას რატომღაც მუდამ იმ ავარიის ამბავი მახსენდებოდა.

სამჯერ რომ თქვა, მკვდრის მეშინიაო, თავი ჩაღუნა და იატაკს დააშტერდა.

ჩამოყრილი ჰქონდა ხელები.

ჩამომხრჩვალივით.

იმ ჩამომხრჩვალივით, რამდენიმე წლის წინ რომ ვნახე.

დილაადრიან ფეხსალაგისკენ მიმავალმა რომ დავინახე ჩვენი ბაღის ბოლოში წითელ ტყემალზე ჩამოკიდებული ბებიაჩემის დის ლოთი ქმარი, რომელიც ჯერ კიდევ ფართხალებდა, მაგრამ როცა ბაწარი შეხსნეს, ველარაფერი უშველეს.

ბებიაჩემმა ჩამოხსნა, ხელოვნური სუნთქვა და გულის მასაჟი გაუკეთა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

ბებიაჩემს არ უტირია.

არ ვიტირებ, ცოცხალმა ყველა გაგვაწამა და მკვდარმაც სიცოცხლე მოგვიწამლაო.

ბავშვს მიხედეო, წყალი ცხელია, ჩაი დაალევინეო.

გავიდნენ და კარი უხმაუროდ გაიხურეს.

ცოტა ხნის შემდეგ ფეხსაცმელების ჩაცმა დაიწყო ბაბუაჩემმა, ადექი, რამე გადაიცვი, ჩვენც წავიდეთო.

მძიმედ სუნთქავდა, რომ დაიხარა. თითქოს ხვრინავდა.

მივედი, ჩავიმუხლე და თასმები შევუკარი.

თავზე ხელი გადამისვა, თმა შემისწორა.

დილის სუსხია, რამე თბილი გადაიცვიო.

დიდი ხნის წინ ჩაელაგებინა ჩემი ბარგი ბებიაჩემს და დროდადრო, რაც დამჭირდებოდა, იმას იღებდა ხოლმე.

ამოვქექე ყველაფერი და ჩემი საყვარელი, დედაჩემის ხელით ნაქსოვი, ღილებიანი, უცხოდ ლურჯი, წყლისფერში გარდამავალი ლურჯი ფერის სვიტერი ჩავიცვი.

დედაჩემი ამბობდა, შენზე ორსულად რომ ვიყავი, ოქროს ქვიშებიდან ჩამოვიტანე ეს ძაფიო.

მერე, როცა ღამის ცვლაში ვმუშაობდი და სახლში მამასთან გტოვებდით მძინარეებს შენ და შენს ძმას, მაშინ ვქსოვდი, მთელი ღამეები ასე თეთრად მაქვს გათენებულიო.

ჭიშკარს რომ გავცდით და ღელისკენ გადავუხვიეთ, ნისლში ჩრდილივით დავლანდე, ვიღაც მოდიოდა ჩვენსკენ.

შიშმა და კანკალმა ამიტანა.

ორივე გავჩერდით.

სწრაფად მოაბიჯებდა და მისი შარვლის ტოტები ერთმანეთს ეხახუნებოდა. ახალი, გაუკვალავი თოვლის ჭრაჭუნს ჰგავდა მათი შრიალი.

არ გაიქცეო, ბაბუაჩემმა.

ხელი ჩამკიდა და ხმადაბლა, თითქოს თავისთვის იკითხა: რომელი ხარო?

პასუხმა რომ დაიგვიანა, დავაპირე, დამეყვირა.

გამოგვძახა, მე ვარო. ჩვენი ნათესავი კაცი იყო.

ამოვისუნთქე. ბაბუაჩემმა ამოიოხრა.

ისე ამოიოხრა, მეგონა, გული ამოაყოლა ოხვრას.

არ მასაფლავებინებს მოხუცი, გულში ჰყავს ჩახუტებული და ხელს არ უშვებსო.

ველაპარაკებით, ვემუდარებით – ხმას არ გვცემს, არაფრად გვაგდებსო.

ჭკუა აღარ მოეკითხება, შეიშალა მგონიო.

წამოვედი, დასაძინებლები გქონიათ, იქნებ დავალევინოთ, დავაძინოთ და ბავშვი მიწას მივაბაროთო.

ორ ფიცარსაც წამოვიღებ, მძიმე იყო, ორის მეტი ვერ ვზიდეო.

სველია, გამოშრობა აკლიაო, ბაბუაჩემმა.

ბებიაჩემს უთქვამს, დავბან, მოვაწესრიგებო.

ბანენ, წმენდენო.

წამალი რომ მივიტანეთ, ოთახში მეც შევედი.

კართან, სკამზე იჯდა ბებიაჩემი. ადგა, მეორე ოთახში გადიო, მითხრა.

მარჯვენა კუთხეში, ტახტზე კი იმისი ბებია იჯდა და კალთაში ესვენა მიცვალებული.

კედელზე, ტახტის თავზე წითელი ხალიჩა ეკიდა, ჩვენსას მივამსგავსე.

სხვა ვერაფერი დავინახე, საძინებლის კარი გამიღო ნათესავმა და შევედი თუ არა, მომიხურა.

საძინებელში ორი საწოლი იდგა ცალცალკე.

ერთზე გროვად და უწესრიგოდ ეყარა ტანსაცმელი.

მეორეზე მოხუცი იწვა. ჩაცმული იწვა და არაფერი ეფარა.

დამინახა.

მოხვედი, შვილოო? – ჩუმად მკითხა, ტუჩები თითქოს არც გაუტოკებია.

ხომ ვამბობდი, მოვა-მეთქი. სად იყავიო?

რატომ ანერვიულებ ამ ქალსო, რატომ არავის გებრალებათო.

გაუნძრევლად ვიდექი კართან, ფეხმოუცვლელად.

თვალები დახუჭა, მეგონა, დაეძინა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თქვა, მცივაო.

ძალიან მცივა, რამე დამაფარეო.

მეორე საწოლთან მივედი და ტანსაცმლის ქვევიდან საბანი გამოვაძვრინე.

დავაფარე და ხელი გამოყო, ხელი მომეციო.

შემეშინდა.

მომეცი, უნდა გაკოცოო.

გამოწვდილ, გაშლილ ხელში ჩავუდე.

ნელა მიიტანა პირთან და უხმოდ, ფრთხილად მაკოცა.

რატომ გაქვს ასე ცივიო.

გცივაო?

თბილად ჩაიცვი, ფეხებზე არ შეგცივდესო.

მე ძალიან მცივა, ვერ გავთბი, კიდევ დამაფარე რამეო.

სხვა არაფერი იყო, ავდექი და ტანსაცმელი დავაყარე.

სულ დავაყარე, რაც იყო.

გმადლობ, მგონი, მითბება ძვლებიო და დაეძინა.

დიდხანს ვიჯექი საწოლზე და ვუყურებდი.

მეზობელი ოთახიდან არაფერი ისმოდა.

შუბლზე იმდენი ნაოჭი ჰქონდა, რამდენიმეჯერ ამერია სათვალავი და თავიდან დავიწყე.

მიჭირდა დათვლა, ერთმანეთში ირეოდა პატარა და დიდი ნაოჭები.

დახუჭული თვალებიც პატარა, წვრილ ნაოჭებში დიდ ნაოჭებად მოჩანდა.

ოთახში ნელა-ნელა იმატა სინათლემ და ყველგან, ყველაფერზე სქელი მტვერი გამოაჩინა.

მომეჩვენა, რომ მოხუცი არ ინძრეოდა.

ცოტა ახლოს მივედი და დავაკვირდი.

სუნთქავდა.

მაინტერესებდა, ბაბუაჩემმა თუ ნახა მკვდარი.

ფარდა ოდნავ გადავწიე და ფანჯარაში გავიხედე. ეზოში იყო ნათესავ კაცთან ერთად, ფიცრებს დაჰყურებდნენ და ლაპარაკობდნენ.

კარი ფრთხილად გამოვაღე და მეორე ოთახში გავედი.

ბებიაჩემი იქ აღარ იყო.

იმისი ბებია ისევ ტახტზე იჯდა და კალთაში ესვენა მიცვალებული.

კართან კედელს ავეტუზე. ამომხედა, ღრმად ამოისუნთქა და ისევ ჩაღუნა თავი.

ახალი ტანსაცმელი ჩაეცმიათ. წინდებიც ეცვა. ფეხსაცმელი – არა.

უკნიდან მანეკენს ჰგავდა, სოჭის მაღაზიის ვიტრინებში ნანახს.

უხეში მოუჩანდა სხეული, მოუქნელი, გაყინული.

ცოტა ხანს კიდევ ვიდექი, ვუყურებდი. ძალიან მინდოდა მისი სახის დანახვა, მაგრამ სახით მკერდზე ჰყავდა მიკრული მოხუცს.

ფეხაკრეფით გავედი გარეთ.

ბებიაშენი სამზარეულოშია, შედი, ჩვენც შემოვალთო.

ცალკე იდგა პატარა ოდა. კარი ღია იყო. ზღურბლს გადავაბიჯე, მიწურ იატაკზე დავდგი ფეხი.

შუა ოთახში, უშველებელ მაგიდაზე, ათასი რამ იყო დახვავებული – ჯამები, ტაფები, ცარიელი და სავსე ბოთლები, წამლის ქილები და ყუთები, ჩაქუჩი, ჩალის ქუდი, რეზინის ნაჭრისგან გაკეთებული ბუზის სახოცი, ხის როდინი თავისი ქვით და ლამფა.

ბინდბუნდი და ნესტის საშინელი სუნი იდგა, სიძველის სუნნარევი.

მხოლოდ კარიდან შემოდიოდა შუქი, გამოქვაბულს მოგაგონებდა.

ასეთივე სიძველის სუნით იყო გაჟღენთილი საძინებელიც, ოღონდ იქ შარდის სუნი ერია, ისეთი, მარტოხელა მოხუცების სახლებში რომ იცის.

შარდის სუნი ბებიაჩემის მამასაც სდევდა თან.

ოპერაცია რომ გაუკეთეს და წვრილი მილით ჩემი შამპუნის ბოთლი რომ დაკიდეს, მას შემდეგ ვეღარ ვთამაშობდი მასთან, აღარც ისე ხშირად შევდიოდი მის სახელოსნოში, როგორც ადრე, ხის კასრების გაკეთებაში რომ ვეხმარებოდი.

მგონი, ისიც გრძნობდა რაღაცას და თავზე მაკოცნინეო, აღარ მთხოვდა.

როცა მოკვდა, ქალაქიდან ჩამოსული კაცი, რომელსაც ეზოში გამოსვენებულ კუბოსთან სიტყვა ათქმევინეს, გადამეკიდა, ყველაზე მეტად შენ უყვარდი შვილიშვილებსა და შვილთაშვილებშიო და გამოემშვიდობე, ბოლოჯერ აკოცეო.

ვერ ვაკოცე და სანამ არ მატირა, არ მომეშვა, ძლივს გამოსტაცა ჩემი თავი ბიძაჩემმა ხელიდან, არ გეწყინოს, მთვრალიაო.

არ დალია წამალი, პირი არ გააღოო.

რამდენიმე ტაბლეტს დავფხვნი და ჩაიში ჩავუყრიო, ბებიაჩემმა.

რომ არ დალიოს, რა ვქნათო, არ მოგვცემს მკვდარსო.

ვერაფერს ვიზამთ, ხომ არ წავართმევთ, ხომ არ ვეჭიდავებითო.

დროც არ ითმენს, მე დავრჩები, მაგრამ ბავშვი როგორმე უნდა გაიყვანოთ, დღესვე თუ არ გავარიდეთ, არავინ იცის, რა ღამე გველის, რას გვიპირებენო.

სად დარჩებიო, ბაბუაჩემმა, ხომ ვთქვით, ყველა ერთად გადავალთო, სად წავიდეთ უშენოდ, აქ როგორ დაგტოვებთო.

ეს ბიჭი დავმარხოთ, მერე კი ბავშვი გავარიდოთო, ნათესავმა, რა დროს კინკლაობაა, მთავარია, ეს გადავარჩინოთო.

იმ დღესაც ეს ნათესავი იყო მორიგე სოფლის თავში დადგმულ ვაგონში, განთიადიდან მეორედ რომ ამომაკითხეს სამხედროებმა – ამ გვარის ბავშვს ვეძებთ, იქნებ მიგვასწავლოთ, რომელ ოჯახში ჰყავთო.

ეს ვაგონი ერთმა ჩვენმა მეზობელმა დადგა, გაგრიდან ამოატანინა თავის დროზე სამხედროებს.

კაცები მთელს დღეებს იქ ატარებდნენ საუბარში, დომინოს თამაშსა და პოლიტიკაზე კამათში, ღამით კი სანადირო თოფებით მორიგეობდნენ, სოფელს დარაჯობდნენ.

პირველ ჯერზე ეს ჯარისკაცები ჩვენს სომეხ მეზობელს გაუბრუნებია უკან, უთქვამს, ამ გვარისა ჩვენს სოფელში არავინ არისო.

იმ მეზობელს, დიდი ხნის წინ რომ გააფრთხილა ბებიაჩემი, ბავშვი გყავთ და დროზე წადით, აქ დიდი ცოდვა დატრიალდება, ეს მაინც დაინდეთო.

არ იცოდა ჩემი გვარი და ვერც ბაბუაჩემისას და ვერც ბებიაჩემისას ვერ დაუკავშირა.

ძალიან მიყვარდა ცხონებული მამაშენი და მისი სული არ მაპატიებს, რომ არ გაგაფრთხილოო.

არ დაუჯერა მაშინ ბებიაჩემმა, შენ რატომ არ მიდიხარ – სამი გყავს, სიებით ხომ არ შემოვლენ, გარჩევას ხომ არ დაიწყებენ, ვინ ვისი შვილიაო.

კიო, კიო, სიებით შემოვლენო.

დამთავრდა ომი, სწავლის დაწყება გამოაცხადეს, იარაღი ჩააბარეს, ახლა სადღა წავალო.

ომის დროს არ მივატოვე კერა და მამაჩემის საფლავი, ახლა რატომღა გავიქცეო.

ომი კი არ დამთავრდა, ახლა დაიწყოო, უთქვამს მეზობელს.

მე გამიფრთხილებიხართ და თქვენი საქმისა თქვენ იცითო.

სიების ამბავი რომ უთხრა ბებიაჩემმა სხვა თანასოფლელებს, მეც მოვკარი ყური, მეზობლის ორ ბავშვს მოვუყევი და მას შემდეგ სიობანას ვთამაშობდით.

სათითაოდ ვიხსენებდით სახლებს სოფლის თავიდან სოფლის ბოლომდე და სიაში ვწერდით ყველა ბავშვს, ვინც ამ სახლებში ცხოვრობდა. ბოლოს ხელს მოვაწერდით, დავკეცავდით, ჩავაწყობდით დანგრეული ძველი ფოსტის შენობიდან წამოღებულ კონვერტებში, დავაკრავდით მარკებს, ენის წვერს ავუსვამდით, დავაწებებდით და იმავე ფოსტის კედელზე მიმაგრებულ საფოსტო ყუთში ვყრიდით.

გენერალი კითხულობს ამ ბავშვსო.

დედაქალაქში უნდა გადააფრინოს, განთიადში ჩამოგვიყვანეთ ხვალ დილით, შვიდ საათზეო.

გენერლის მეორე ცოლი დედაჩემის მეგობრის შვილი იყო და დახმარება მისთვის უთხოვიათ, ბავშვი ჩაგვრჩა ბებიაბაბუასთან და იქნებ დაგვეხმაროთ, გამოგვაყვანინოთო.

მთელი ღამე ვემზადებოდით, არ გვიძინია.

დამბანა, თეთრი პერანგი ჩამაცვა ბებიაჩემმა.

დააცხო ღვეზელები, ვინც კი იჯდება ვერტმფრენში, ყველას უწილადეო.

მაძღარი იქ არავინ იქნებაო.

ვიცი, არ შემარცხვენ, ზრდილობიანად მოიქეცი, არავინ შეაწუხოო.

ტუალეტი თუ მოგინდეს, არ მოგერიდოს, თქვიო.

ახალი ფეხსაცმელები ჩამაცვა, სკოლის პირველი დღისთვის რომ ჰქონდა ნაყიდი ადლერის ბაზარში ჩვენი გაყიდული სამი ვედრო ლეღვის ფულით.

ფული და გახამებული, გაუთოებული ცხვირსახოცი ჩამიწყო შარვლის მარჯვენა ჯიბეში – ყურადღებით იყავი, არ ამოგივარდესო.

ჯერ კიდევ ბნელოდა, გზას რომ დავადექით მე და ბაბუაჩემი.

ფეხით ვიარეთ განთიადამდე. მთელი გზა დუმდა, არაფერი უკითხავს, არაფერი უთქვამს.

მე ხარბად ვათვალიერებდი მიდამოს. თურმე რამდენი რამ დამრჩენოდა დღემდე შეუმჩნეველი ამ გზაზე... ყველაფერი უცხო, ახალი მეჩვენებოდა.

არადა, ვინ მოთვლის, რამდენჯერ გამივლია ეს გზა. მეგონა, თვალდახუჭულიც გავლევდი.

ამ გზით დავდიოდი ზღვაზე და ამავე გზით ვბრუნდებოდი შინ.

უთენია ჩავედით ქალაქში და სამხედროების მთავარ შტაბში მივედით.

შენობა ცარიელი იყო.

პირველ სართულზე, გრძელი დერეფნის დასაწყისში, ორი კაცი იჯდა.

ერთს მაგიდაზე ედო თავიც და იარაღიც და ეძინა.

მეორეს ავტომატი მოექცია მუხლებში და ტელევიზორს უყურებდა, ჩვენი შესვლა არც შეუმჩნევია.

გამარჯობაო, ბაბუაჩემა.

მძინარემ თავი ასწია – მეორეს ისევ არ

დასასრული მე-13 გვერდზე

მთარგმნელი

გიორგი გოკიელი

ლიტერატურული პრემია „საბა“ 2013 წლის საუკეთესო თარგმანისათვის გიორგი გოკიელს გადაეცა. მის მიერ თარგმნილი ლუის კეროლის ცნობილი დილოგია — „ელისის თავგადასავალი საოცრებათა ქვეყანაში“ და „სარკისმიღმეთი და რა იხილა იქ ელისმა“ — ერთ წიგნად აკინძული პირველი სრული ქართული გამოცემაა. შესაბამისად ლიტერატული წრეებისა და მკითხველის ინტერესი წიგნს გამოსვლის დღიდან არ მოჰკლებია. ჟურნალში — „ახალი საუნჯე“ — გამოქვეყნდა შოთა იათაშვილის ვრცელი ინტერვიუ მთარგმნელთან, სადაც ის საუბრობს „ელისისადმი“ მისი, როგორც მკითხველის და როგორც მთარგმნელის დამოკიდებულებაზე. სანამ შეხვედრაზე შევუთანხმდებოდი, ბატონმა გიორგიმ მთხოვა შოთას ინტერვიუს გავცნობოდი, რათა იგივე კითხვები აღარ დამესვა. არადა იქ ყველაფერია, რაც შეიძლება მკითხველს აინტერესებდეს. მაინც ვეცადე „ახალ საუნჯეში“ წარმოდგენილი გიორგი გოკიელის პორტრეტი „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე შემევსო. სამწუხაროა, ფორმატი საშუალებას არ მაძლევს, მოვყვე მის მეგობრობაზე ირაკლი ფარჯიანთან, აღვწერო ის გარემო, რომელშიც მთარგმნელი ცხოვრობს და რომელშიც, ვიტყოდი, ფარჯიანიც ცხოვრობს ორასამდე ნამუშევრისა და მასზე მოგონებების სახით. მის მიერ ბატონი გიორგისადმი მიწერილ წერილებზე, რომელთა ნაწილი წლების წინ ჟურნალში — „ლიტერატურა და ხელოვნება“ — გამოქვეყნდა. სხვა დროს იქნებ მოვყვე კიდეც. ამჯერად გთავაზობთ გიორგი გოკიელის ისტორიას „ელისთან“ და მის გარეშე.

— „ელისის თავგადასავალი“ 13-14 წლისამ წაიკითხეთ, მან „სრულიად წარიტაცა თქვენი გონება“ და იმ დღიდან ცხოვრების თანამგზავრი გახდა. იქამდე, რომ გადაწყვეტილება, ჩაგებარებინათ დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, დიდწილად ამ წიგნმა განაპირობა. რა აქვს ასეთი „ელისს“, რა გამოარჩევს მას იმ წიგნებისგან, რომელთაც სხვადასხვა დროს თქვენზე არანაკლებ მძაფრი შთაბეჭდილება მოუხდენიათ, რითაა ის ასეთი განსაკუთრებული თქვენთვის?

— იცით რა, მე არ ვამბობ, ეს წიგნი დედამიწის ზურგზე საუკეთესოა-მეთქი. სიტყვაზე, ჩემთვის „დონ კიხოტი“ გაცილებით უფრო დიდი ნაწარმოებია, პირველია მსოფლიოში, და კიდევ ბევრია ასეთი, მაგრამ „ელისი“ ყოველდღიურ ცხოვრებაში დამემგზავრა, იმთავითვე გამიჩნდა სურვილი, მეთარგმნა ქართულად, ჩემთვის ის იყო სრულიად განსაკუთრებული მსოფლმხედველობის ნაწარმოები, ძალიან ექსცენტრიკული, თავისებური, არცერთ იქამდე წაკითხულ წიგნს არ ჰგავდა. თან, მე თვითონაც მიყვარდა სიტყვების თამაში, სხვათა შორის, ბაბუაც ასეთი მყავდა — ცოტა ექსცენტრიკული, სიტყვებით მოთამაშე, მოულოდნელ, პარადოქსულ რაღაცებს ვპოულობდით ამ თამაშში და ეს ძალიან გვახალისებდა. კეროლის პერსონაჟებმაც დიდი გავლენა მოახდინეს ჩემზე. არ ვიცი, ასე იქნებოდა თუ არა, „ელისი“ უფრო ადრე რომ წამეკითხა და არა მოზარდობაში, როცა აზროვნებითა და შინაგანი კონსტიტუციით უკვე მომზადებული ვიყავი ამ წიგნის ჯეროვნად აღსაქმელად, იმ დროს ძალიან ბევრს ვკითხულობდი, მაინტერესებდა მხატვრობაც — მათ შორის, სურრეალისტებისაც. თუმცა მაშინ ძალიან ძნელად თუ მიგიწვდებოდა ხელი მსგავს ხელოვნებაზე, რეპროდუქციებიც კანტი-კუნტად არსებობდა. და უცებ დავინახე, რომ „ელისიც“, გარდა იმისა, რომ დიდწილად აბსურდულია, რაღაცნაირად სურრეალისტურიცაა; სხვათა შორის, ტექსტი მხოლოდ მე არ აღმიქვამს ასეთად. მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ ნაწარმოების გარშემო შექმნილ ლიტერატურასა და ეკრანიზაციებშიც გამოჩნდა ამგვარი ხედვა. მაგალითად, იან შვანკმაიერმა, ჩეხმა რეჟისორმა „ელისი“ ანიმაციური და ცოცხალი კინოს ელემენტების გაერთიანებით, სწორედ სურრეალისტურ ჭრილში გადაიღო. გირჩევთ, ნახოთ.

— ერთია, როცა კითხულობ ნაწარმოებს, ისევ და ისევ უბრუნდები მას, მაგრამ სხვაა, როცა მის თარგმნას იწყებ. ალბათ, რარიგ კარგადაც უნდა იცნობდე ტექსტს, თარგმნისას კიდევ უფრო სხვანაირად გეხსნება, მთელ სიღრმეებს გამოგიჩენს. ასე იყო?

— არ მბეზრდება იმის გამეორება, რომ თარგმნა ნაწარმოების წაკითხვის საუკეთესო საშუალებაა: თარგმნის პროცესში ნაწარმოები მართლაც სულ სხვაგვარად გეხსნება, ვიდრე თუნდაც ძალიან დაკვირვებით წაკითხვისას. როცა ნაწარმოებზე მუშაობა დავიწყე — ახლახანს წავაწყდი დღიურში ჩანაწერს, რომ 1982 წლის მარტში დამიწყია — მაშინ ჩემს თავს მთარგმნელს ვერც ვუწოდებდი. კი, პატარა-პატარა ტექსტებს პერიოდიკაში ვაქვეყნებდი ხოლმე, მაგრამ, ფაქტობრივად, „ელისი“ ჯერჯერობით არის ჩემი ერთადერთი მსხვილი ნამუშევარი, რომელიც წიგნად გამოიცა. „ელისმა“ დამაწყებინა თარგმნა და მან მაქცია მთარგმნელად. თქვენ წარმოიდგინეთ, რაც შედარებით იოლი სათარგმნი მეგონა, სწორედ ის აღმოჩნდა ყველაზე რთული. გარდა ამისა, დავინახე, რომ პირველი და მეორე წიგნი

„როცა „ელისი“ ახლიდან მომენატრება“

სრულებით სხვადასხვაგვარია. „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ უფრო ბუნებრივია, ლაღია — სპონტანურად, ერთი ამოსუნთქვით მოყოლილსა ჰგავს, „სარკისმიღმეთზე“ კი მწერალმა თითქოს საგანგებოდ იმუშავა, „შექმნა“ იგი.

სხვათა შორის, ტექსტთან გამკლავების ფიზიკური სირთულეები, კერძოდ, რამდენიმე ძალიან ძნელად შესასრულებელი ამოცანა, მეორე წიგნში უფრო შემხვდა. ყველაზე მეტად ეს ეხება ლექსს „Jabberwocky“, რომელიც დაწერილია ვითომ ინგლისურ ენაზე, მაგრამ არაინგლისური სიტყვებით. ესე იგი, გიწევს თარგმნა ენიდან, რომელიც არ არსებობს, თუმცა ის ენა, რომელსაც კეროლი ქმნის, ჰგავს არქაულ ინგლისურს — ხასიათიც, ფორმაც არქაული ბალადისა აქვს. ქართული თარგმანი, „ენობრივი“ თვალსაზრისით, იმავე პრინციპით უნდა შესრულებულიყო. ბოლო აკროსტიქიც, რომლითაც წიგნი მთავრდება — lice Pleasance Liddell — 21-სტრიქონიანია და გვაძლევს შვიდ სამტაეპიან სტროფს. თარგმანში კი „ელის პლეზენს ლიდელი“ არანაირად არ გამოდიოდა. ბოლოს ვამჯობინე ასე: „ელის ლიდელს ეძღვნება“. აკროსტიქის სტრიქონების ეს რაოდენობა — თვრამეტი — მართალია, გაიყო სამზე, მაგრამ მოგვცა არა შვიდი, არამედ ექვსი სამტაეპიანი სტროფი, რომელშიც შინაარსი უნდა ჩამეტია... ასეთი ტექნიკური სირთულეები „სარკისმიღმეთში“ მეტი იყო.

— თქვენ „ლუის კეროლის საზოგადოების“ წევრი იყავით. მაინტერესებს, რამდენად მნიშვნელოვანია ამ ორგანიზაციისთვის მწერლის შემოქმედების თარგმნა სულ უფრო მეტ ენაზე, მისი ბიოგრაფიის კვლევა. ვიცი, რომ კეროლს არაერთი ბიოგრაფი ჰყავს, დღემდე ათას ჭორ-მართალს წერენ მის ცხოვრებაზე, დღემდე უტრიალებენ მის ტექსტებს. რამდენად ჩართულია ამ პროცესებში „საზოგადოება“?

— „ლუის კეროლის საზოგადოება“, როგორც ვიცი, ხუთია — დიდი ბრიტანეთის, ჩრდილოეთ ამერიკის, კანადის, იაპონიისა და ბრაზილიის. ისინი დამოუკიდებლად არსებობენ. აღინიშნება სამახსოვრო თარიღები, იმართება კონფერენციები, გასვლითი შეხვედრები. მათი მიზანია მწერლის შემოქმედების მეტი პოპულარიზაცია, გავრცელება. სხვადასხვა მიმართულებით მუშაობენ. მე 90-იან წლებში გავწევრიანდი დიდი ბრიტანეთის საზოგადოებაში, როცა პირველი წიგნი უკვე გამოცემული მქონდა. მაშინ ინფორმაციას ძნელად მოვიპოვებდით და შესაბამისად, „საზოგადოებისგან“ გამოგზავნილი საინფორმაციო ბიულეტენები თუ პერიოდული ჟურნალები, სადაც განხორციელებული პროექტების რეზიუმეებს ვეცნობოდი, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო. ახლა იგივე ინფორმაციას ინტერნეტითაც წავიკითხავ, ყველაფერი ხელმისაწვდომია. თანდათან „საზოგადოების“ წევრობამ მექანიკური ხასიათი მიიღო. ამგვარი ორგანიზაციები თავიანთ წევრებს რაღაცით წაახალისებენ ხოლმე, მუშაობაში ეხმარებიან, მეკი ისეთი განცდა დამრჩა, რომ მათ ჰქონდათ ძალიან მომხმარებლური დამოკიდებულება. გარდა ამისა, ბევრ რამეში გამოჩნდა, რომ „საზოგადოების“ სულისკვეთება განსხვავდებოდა იმისგან, რის გარშემოც ეს ადამიანები შემოიკრიბნენ, ამიტომ შევწყვიტე წევრობა.

— „ელისზე“ არაერთი წელი იმუშავეთ. შესაბამისად, ბევრი დრო გქონდათ ლუის კეროლის გასაცნობადაც. რა ტიპის ადამიანი იყო ის, როგორს ხედავთ მას?

— მართლაც, როცა წიგნთან ხარ, ავტორთანაც ხარ — ამას ვერ გაექცევი. კეროლზე ბევრი წამიკითხავს, ბევრიც მიფიქრია და დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რომ ჩარლზ ლატუიჯ დოჯსონი — მოგეხსენებათ, ასე ერქვა ოქსფორდელ დიაკვანსა და მათემატიკოსს, რომელმაც თავისი სახელის გადალათინურება-გადმოინგლისურების შედეგად ლიტერატურული ფსევდონიმი გამოიყვანა — ჩემს ისეთივე აღტაცებას იწვევს-მეთქი, როგორც ლუის კეროლი. რომ მკითხოთ, იმეგობრებდი თუ არა მასთანო, გიპასუხებთ, რომ ჩვენი მეგობრობა, ალბათ, ვერც შედგებოდა. ვფიქრობ, არც მომცემდა ამის საშუალებას, არ დამიახლოვებდა. ალბათ, იცით, რომ ზოგიერთი მკვლევარი საუბრობს მის „კომპლექსებზე“ და ინტერესდება, ხომ არ ჰქონია მას პედოფილური მიდრეკილებები, გამომდინარე იქიდან, რომ პატარა გოგონებთან მეგობრობა უყვარდა, ხომ არ ჰქონდა არაჯანსაღი დამოკიდებულება თავისი გმირის პროტოტიპის, ელის ლიდელის მიმართაც. თუმცა ამის დამადასტურებელ რაიმე საბუთს, ან მინიშნებას მე ვერსად მივაგენი კეროლის თანამედროვეთა თუ თავად მწერლის ჩანაწერებში. სხვათა შორის, თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფოტოგრაფი იყო და კი აქვს გადაღებული შიშველი პატარა გოგონების გამოსახულებები, მაგრამ ეს ვიქტორიანული ეპოქის ინგლისისთვის ჩვეულებრივ ამბავი იყო: ამგვარი სიშიშვლის ჩვენება ბავშვების უმანკოებისა და ანგელოზური საწყისის ხაზგასმას ემსახურებოდა.

გარეგნობითაც გამოირჩეოდა: გამხდარი, აწოწილი, ასიმეტრიული სახისა და სხეულის პატრონი იყო, თანაც — ენაბლუ, ცალ ყურშიც არ ესმოდა. ძალიან უცნაური ადამიანი გახლდათ — ახირებული, კარჩაკეტილი, უქალო. ვერსად მივაგენი იმის მინიშნებასაც კი, რომ მას რომანტიკული გატაცება ჰქონოდა ცხოვრების მანძილზე (განსხვავებით ჩემი მეორე საყვარელი ავტორის, რობერტ ბერნსისაგან, რომლის ლექსებიდან დღემდე სამოცამდე ქალის, მისი ცხოვრებისეული და პოეტური მუზების სახელები მაქვს ამოწერილი). თუმცაღა მეგობრები მაინც ჰყავდა; პატარა გოგონების გარდა, რამდენიმე უფროსთანაც მეგობრობდა, მათ შორის ცნობილ მსახიობ ელენ ტერისთან, პოეტებთან ალფრედ ტენისონთან და დანტე გაბრიელ როსეტისთან, თუმცა, რა ვიცი, ხასიათის ის თვისებები, რაც კეროლში ჩანს...

— მაგალითად?

— მაგალითად, უზომო პედანტიზმი. იცით ხომ 1953 წელს მისი დღიურების გამოქვეყნების ამბავი?! ძალიან საინტერესოა: ყველა ელოდა, რომ ნათელი მოეფინებოდა კეროლის ცხოვრების არაერთ უცნობ, დაფარულ დეტალს, პასუხი გაეცემოდა ბევრ კითხვას, მაგრამ სინამდვილეში ეს, უბრალოდ, მწერლის ყოველდღიურობის სკრუპულოზური აღწერა აღმოჩნდა. რა ჭამა, როდის გავიდა სასეირნოდ, რამდენი კილომეტრი გაიარა... თურმე უნივერსიტეტის სასადილოში რვაათასჯერ უვახშმია და ოცდახუთი წლის მანძილზე ოთხმოცდათვრამეტიათას შვიდასოცდაერთი წერილი გაუგზავნია — ამდაგვარი ჩანაწერები იყო, დიდი იმედგაცრუება გამოიწვია.

ცხადია, ეს ყოველივე ძალიან საინტერესოა მთლიანობაში მწერლის დასახასიათებლად, თუ როგორ თანაარსებობდა ერთ ფიზიკურ სხეულში ორი ესოდენ განსხვავებული პიროვნება, სრული ანტიპოდები — „ანტიპათიები“, როგორც ელისი იტყოდა — მაგრამ რახან მეკითხებით, გეტყვით, რომ მწერალი ლუის კეროლი უფრო საინტერესოა ჩემთვის, ვიდრე ჩარლზ დოჯსონი. ეს უკანასკნელი, როგორც ვიქტორიანული ეპოქის ღვიძლი შვილი, თავგადაკლული ანგლიკანისტი, სულით ხორცამდე კონსერვატორი, მოსაწყენი ლექტორი, მორალისტი და მიზეზიანი კაცია; „ელისში“ კი კეროლი წარმოგვიდგება უშრეტი ფანტაზიის მქონე ექსცენტრიკულ მეზღაპრედ, ელვარე ნიჭით დაჯილდოებულ ხუმარად და პარადოქსალისტად. აღსანიშნავია, რომ კეროლი ნაწარმოებში აქილიკებს კეთილგონიერების მოსაწყენ მორალს, სენტიმენტალობასა და დიდაქტიკურობას, ანუ იმას, რაც დოჯსონისთვის წმინდათა წმინდაა. იფიქრებ, რომ მისი პაროდიები სარკაზმი კი არა, უბრალოდ, სიტყვების თამაშია, თუმცა, შეიძლება, თვითირონიაც იყოს.

ამავდროულად, ის ლირიკული ლექსები წიგნის თავსა და ბოლოში — „ელისში“ პაროდიულის გარდა, ლირიკული ლექსებიცაა — მკითხველს დაანახებს მის მარტოსულობას, მის სევდას, სიკვდილის გრძნობას მასში. სიკვდილზე შიგადაშიგ ტექსტშიც საუბრობს ხუმრობით. ამგვარი ხუმრობებით იქცევდა თავს. მოგეხსენებათ, მათემატიკოსი იყო, უზრუნველად ცხოვრობდა ოქსფორდში, მწერლობა მისთვის ინტელექტუალური თავშესაქცევი, წმინდა გართობა გახლდათ. ვფიქრობ, გარკვეულწილად, ის მაინც ტრაგიკული ადამინი იყო.

— ერთი რამ მაინტერესებს: „ელისში“ პროზაული ნაწილის გარდა, ბევრი პოეზიაცაა. ამ თვალსაზრისით არ გქონიათ სირთულე? გამოცდილ მთარგმნელებშიც კი ბევრია ისეთი, ვინც თარგმნის მხოლოდ პროზას, ან მხოლოდ პოეზიას.

— მგონი, ძალიან იშვიათია ქართველი, რომელსაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც ლექსი არ დაეწეროს. მე იმ იშვიათთა რიცხვს მივეკუთვნები, ვისაც არასოდეს არც სურვილი გასჩენია და არც დაუწერია რაიმე. ამიტომ როდესაც თარგმნას შევუდექი, ლექსწერის არანაირი გამოცდილება არ მქონდა, როგორ უნდა ვთარგმნო-მეთქი, ვფიქრობდი. თან მაგალითიც სახეზე იყო — ნინა დემუროვა „ელისის“ ერთ-ერთი საუკეთესო მთარგმნელია რუსულ ენაზე, მაგრამ არცერთი ლექსი თავად არ უთარგმნია.

— მარშაკმა თარგმნა, თუ არ ვცდები.

— ნაწილი მარშაკისაა, ნაწილიც ორლოვსკაიასი, ზოგიც თარგმნა ოლგა სედაკოვამ, რომელიც დღეს ერთ-ერთი საუკეთესო პოეტია რუსეთში. მეც ვეძებდი ადამიანს, რომელსაც „ელისის” ლექსების თარგმნას შევთავაზებდი. მაშინ იყო, კოტე ჯანდიერის ნათარგმნი ედგარ პოს „ზარები“ რომ მომეწონა და დავუკავშირდი კიდეც, მაგრამ უარი მითხრა, არც სხვამ მოკიდა ხელი. მერე თავად ჩავუჯექი

და ნელ-ნელა, ნელ-ნელა რაღაც გამომივიდა. მართალი გითხრათ, საბოლოო ჯამში, კმაყოფილი დავრჩი, რადგან სულ მეგონა, რომ ვერაფერს შევძლებდი.

— ბოლოს კი ისე გაიწაფეთ, რომ კეროლის პირველი წიგნის თარგმნის შემდეგ, თქვენი მეორე საყვარელი ავტორი, რობერტ ბერნსი აამეტყველეთ ქართულად.

— დიახ, „ელისით“ გათამამებულმა ბერნსს შევბედე. ლუის კეროლისგან დასვენება მინდოდა. იცით, მუდმივად ერთი ავტორის თარგმნა სიახლის განცდას გაკარგვინებს. თუ ტექსტს ისე არ მიუდექი, როგორც ცინცხალს, როგორც პირველს, ვერ მოიხელთებ მას, მითუმეტეს — ცოტა ზარმაციც თუ ხარ. შემდეგ გავიდა დრო და ვიგრძენი, რომ „ელისთან“ დაბრუნება შემეძლო.

— ბერნსი, როგორც ვიცი, შოტლანდიურ დიალექტს იყენებდა. ამან გარკვეული სირთულე ხომ არ შეგიქმნათ?

— შოტლანდიური დიალექტი დიდ სირთულეს არ წამოადგენდა, იმიტომ, რომ უკვე განმარტებულია თითოეული ის სიტყვა და თანამედროვე ინგლისურზე გადმოტანილია მისი ყველა ლექსი; ამასთან, არსებობს უამრავი კომენტარი. ასე რომ, დამხმარე მასალა საკმარისად მქონდა. შემეძლო, რუსულ თარგმანშიც ჩამეხედა. თანაც ყველა ლექსს დიალექტზე ხომ არ წერდა, ზოგი ინგლისურად აქვს. დიალექტიც დიდად არ განსხვავდება ინგლისურისგან, გრამატიკული წყობა იგივეა. გარდა ამისა, მოვისმინე ბერნსის თითქმის ყველა ლექსის აუდიოჩანაწერი, ანუ მათი მუსიკალური ჟღერადობაც ვიცოდი. მოკლედ, ყველა პირობა იყო იმისთვის, რომ მეთარგმნა.

საერთოდ, ასეთი თვისება მაქვს და შეიძლება, ამიტომაც არ ვარ დიდად პროდუქტიული მთარგმნელი: ჩემთვის თარგმანზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ინფორმაციის სრულად მოძიება, კვლევა. შემეცნებითი პროცესი გამიტაცებს ხოლმე და მივყვები ბოლომდე. თარგმნა თვითმიზანი არ არის. ალბათ, ამიტომაც, ასე ვთქვათ, შედეგის დადება მიჭიანურდება. ამასთან, არასოდეს დამისახავს მიზნად, ლაქები შემევსო, მაინცადამაინც იმაზე მემუშავა, ჯერ რომ არ უთარგმნიათ. რაც მაინტერესებს, რაც მიზიდავს, იმას ვირჩევ, ნაწარმოებმა თუ არ ამანთო, ვერაფრით გადმოვთარგმნი.

— ბერნსი გამოეცით?

— რამდენი ხანია თარგმნილი მაქვს, წიგნად არ გამომიცია. პერიოდიკაში კი გამოვაქვეყნე. არასოდეს ვჩქარობ წიგნის გამოცემას, რაც ერთგვარი წერტილის დასმაა. რაღაცნაირი განცდა მაქვს ხოლმე, იქნებ დავხვეწო, გავაუმჯობესო, შევავსო. გამომცემლობასაც შერჩევა უნდა. ბოლოს გამოვცემ, რა თქმა უნდა. უბედნიერესი ვიქნები, თუ მოვახერხე და კიდევ ერთი კორპუსი ბერნსის ლექსებისა ვთარგმნე ქართულად. ის ჩემი დიდი სიყვარულია, რომელიც ჭაბუკობიდან მომდევს, გაუნელებლად. მისი კითხვა არ მწყინდება, ყოველი შეხება მის შემოქმედებასთან პირვანდელ მოწიწებას იწვევს ჩემში. როგორც მოცარტია მუსიკაში, ჩემთვის ბერნსია პოეზიაში.

— „ელისი“ გამოცემულია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ჯილდო მიღებულია. თქვენი ცხოვრების ერთი დიდი ეტაპი დასრულდა. რა შეგრძნებაა ეს, რა განცდაა?

— ზუსტად ის განცდაა, რომლის გამოც „ელისის“ გამოქვეყნებას არ ვჩქარობდი — ასე ვთქვათ, ცოცხალი პროცესი დამთავრდა. ახლა, რაღა დამრჩენია. არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი „ელისთან“ დარჩენისა — იქნებ დავწერო ჩემი გამოცდილების შესახებ, თუ როგორ ითარგმნებოდა ეს წიგნი. შესაძლოა, ეს გამოადგეს ახალგაზრდებს, რომლებიც ლიტერატურულ თემებზე მუშაობენ. სხვათა შორის, მათ უკვე შეუძლიათ ძალიან საინტერესო ნაშრომები მოამზადონ ქართულ კეროლიანაზე. უკვე არსებობს ორი თარგმანი. პირველი ნაწილის — „ელისის თავგადასავალი საოცრებათა ქვეყანაში“ — ორი სრული თარგმანია. ჩემამდე ის ალექსანდრე გამყრელიძემ თარგმნა. ასევე სრულადაა თარგმნილი „სარკისმიღმეთი და რა ნახა იქ ელისმა“. გამოცემულია კიდევ სხვა თარგმანები — შემოკლებული ვარაინტები, შეიძლება მათი შესწავლაც. არსებობს ასევე ლუის კეროლის კვალი ქართულ ლიტერატურაში. მაგალითად, ვიცი, როგორი გავლენა მოახდინა ამ ავტორმა ზურაბ ქარუმიძეზე, მას აქვს ნაწარმოები „გიჟი მექუდე“, რომელიც, რა თქმა უნდა, კეროლითაა ნასაზრდოები, ასევე — პირველი „ელისის“ მეშვიდე თავის ძალიან თავისებური, ინტერპრეტაციულ-ჰერმენევტიკული თარგმანი. რაც შეეხება ჩემს ჩანაფიქრს, დავწერო იმაზე, თუ როგორ ითარგმნებოდა „ელისი“, ასეთი სახის ნაშრომი — არა ზოგადი საუბარი თარგმანის თეორიაზე, არამედ კონკრეტული გამოცდილების გადმოცემა — შეიძლება უფრო პერსპექტიული აღმოჩნდეს.

თუმცა ამაზე მაშინ ვიფიქრებ, როცა „ელისი“ ახლიდან მომენატრება. მაქვს კიდევ ერთი სურვილი. კეროლის ძალიან საინტერესო აბსურდული პოემა — The Hunting of the Snark — მინდა, ვთარგმნო. ოღონდ ეს ურთულესი სამუშაოა. ვნახოთ, იქნებ შემაძლებინოს ღმერთმა. ჯერჯერობით არც დამიწყია. სიამოვნებით ვიმუშავებდი ტომას ელიოტის იუმორისტული ლექსების არაჩვეულებრივ კრებულზე, Old Possum’s Book of Practical Cats, რომლის მიხედვითაც ცნობილი მიუზიკლი შეიქმნა კატებზე. ძალიან მიყვარს ელიოტიც და კატებიც. ვნახოთ.

— ახლა რაზე მუშაობთ?

— შერვუდ ანდერსონის ნოველების კრებულს ვთარგმნი, რომელსაც „უაინსბურგი, ოჰაიო“ ჰქვია. ხელშეკრულება მაქვს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობასთან“. ანდერსონი ამერიკელი ნოველისტია, წინამორბედი მწერალთა დიდი პლეადისა — ჰემინგუეის, ფოლკნერის, სტაინბეკის, სელინჯერის, ფიცჯერალდის. დიდი გავლენა იქონია მათზე. მის ნოველებს სხვადასხვა დროს პერიოდულ გამოცემებში ვაქვეყნებდი. მინდა, თავი მოვუყარო, უფრო შევავსო. 1919 წელს დიდი ოსტატობით დაწერილი ფსიქოლოგიური მოთხრობებია.

— ტექსტის თარგმნა თქვენთვის თვითმიზანი არ არის, თარგმნის პროცესში, ერთგვარად, სამეცნიერო სამუშაოს ატარებთ, მთელ იმ კულტურულ არეალს სწავლობთ, რომლის წიაღშიც ნაწარმოები შეიქმნა. ამის გათვალისწინებით მინდა, გკითხოთ აზრი ქართულ თარგმანებზე. როგორია ისინი, ან რა სჭირდება კარგ თარგმანს?

— სხვათა შორის, ჩემმა ამ თვისებამ შემიშალა ხელი, გავმხდარიყავი მეცნიერი. მე ვიძიებ, ვუღრმავდები, მაგრამ მერე, როცა ბევრი რამ ნათელი ხდება, კვლევის ქაღალდზე გადატანის ინტერესს ვკარგავ. აღარ მიტაცებს, სხვას ავუხსნა, თუ რა გავიგე, რას მივაგენი. მირჩევნია, ეს ცოდნა თარგმანში აისახოს.

არ მინდა, კატეგორიული ვიყო, მაგრამ მაინც მგონია, რომ თარგმანს ანალიტიკური მიდგომა სჭირდება. ჩვენთან არაჩვეულებრივი თარგმანები არსებობს, თუმცა ზოგჯერ არის, რომ ჩახედავ ტექსტს — გამართულია, გრამატიკული თუ სტილისტური ხარვეზი არ აქვს, ლექსიკაც მშვენიერია, მაგრამ მაინც „არ მიდის“, სიცოცხლე აკლია.

ჩემთვის ცოტა უხერხულია, ვილაპარაკო ქართული თარგმანის ავ-კარგზე. ხომ იცით, ჩვენთან ხშირად უფრო პროდუქტიულობა ფასობს, ვიდრე ხარისხი. ჰოდა, შეიძლება ვიღაც მომიბრუნდეს და მითხრას, აბა, მიჩვენე, „ელისის“ გარდა, რა გითარგმნიაო. თაროზე ჩამომწკრივებული ნათარგმნი ტომებით ვერ დავიკვეხნი. საერთოდაც, თარგმანზე მსჯელობა ძნელია, თუ არ დაჯდები და ნათარგმნ ტექსტს დედანს არ შეადარებ. მე ეს ჯერ არ გამიკეთებია, ამიტომ სხვების ნაშრომებზე საუბრისგან თავს შევიკავებ. ელემენტარულ რამეს ვიტყვი — აუცილებელია, ტექსტი ითარგმნოს ორიგინალიდან, სხვანაირად მთარგმნელი ვერ გერქმევა. არ მინდა, დავასახელო, მაგრამ ძალიან ბევრი წიგნი, რომელიც გამოიცემა, აშკარაა, რომ არ არის ორიგინალიდან ნათარგმნი. ვკითხულობ — რატომ? მპასუხობენ, არ გვყავს იმ ენების სპეციალისტებიო. თუ ასეა, გამოდის, რომელი ენის სპეციალისტიც არ გვყავს, იმ ენაზე შექმნილი ნაწარმოებები რუსულიდან და ინგლისურიდან უნდა გადმოვიღოთ? მაგრამ თუ მავანმა მთარგმნელმა იცის სხვა ენები, თუნდაც ესპანური, ან ლატვიური და მოისურვა რომელიმე ამ ენიდან, ვთქვათ, აკუტაგავას თარგმნა, ესეც მისაღები იქნება? რა თქმა უნდა, არა, ხომ? ამგვარი მიდგომა ცოტა გაუგებარია ჩემთვის. ერთადერთი, თუკი არსებობს ავტორიზებული თარგმანი რომელიმე ენიდან, მაშინ კი ბატონო, არაფერს ვიტყვი.



ასევე ძალიან არ მომწონს ტენდენცია გამარტივებული, ადაპტირებული ტექსტების თარგმნა-გამოცემისა. თანაც ასეთ ტექსტებს რატომღაც ორიგინალის ავტორის სახელით გამოსცემენ. არადა, უნდა ეწეროს „ამის და ამის მიხედვით“, ან „ეფუძნება ამა და ამ მწერლის ამა და ამ ნაწარმოებს“.

მე მგონი, გამარტივებული ტექსტები ძალიან მავნეა ბავშვებისთვის. მახსოვს როგორ ვწვალობდით ზოგიერთი ნაწარმოების კითხვისას, ესეც მნიშვნელოვანი იყო. ზოგჯერ ტექსტს გადავახტებოდით ხოლმე, ბუნების აღწერებსა თუ ისტორიულ წიაღსვლებს ვტოვებდით. სხვათა შორის, თუ წიგნი მოგეწონებოდა, შეიძლებოდა იმ გამოტოვებულ ადგილებს მიბრუნებოდი კიდეც. მე, მაგალითად, გამჩენია ასეთი სურვილი, დავინტერესებულვარ. ეს იყო სირთულეების გადალახვის პროცესი. ახლა ზღაპრებიც ადაპტირებულია, „ჰეფი ენდით“. არადა, ბევრ ზღაპარს ბედნიერი დასასრული სულაც არა აქვს. ამგვარი გამარტივებული მიდგომა, მერე და მერე, ზრდასრულობის ასაკში, თავს იჩენს სხვა საკითხებთან მიმართებაშიც. იქნებ ვცდები კიდეც, არ ვიცი, უბრალოდ მე ეს არ მომწონს.

ესაუბრა თამარ ჟურული

ირაკლი კაკაბაძე

გამოსვლის წიგნი

დასასრული

მოუხედავს – რა გინდათო, გაბრაზებულივით გვკითხა.

გენერალი აქ ბრძანდებაო? – ბაბუა-ჩემმა.

არაო – და ისევ მაგიდაზე დადო თავი.

დაბარებულები ვართ, ბავშვი უნდა წაიყვანოს თბილისში, სად არის, ხომ არ იცით, სად მივაკითხოთო.

გუშინ დალიეს, ბიძაჩემო, და ღამითვე გაფრინდნენო, ისე გვითხრა მეორემ, ტელევიზორისთვის თვალიც არ მოუწყვეტია.

ერთხანს ასე ვიდექით მდუმარედ. მერე, წავიდეთო, ბაბუაჩემმა.

გამოვედით, იქვე, სკვერში, სკამზე ჩამოვსხედით.

მოგშივდებოდა, ამოიღე ღვეზელები, ვჭამოთო.

არ მინდოდა, მაგრამ მე რომ არ მეჭამა, არც ის დააკარებდა პირს.

ღამით სიზმარი ვნახე – ააფეთქეს ეგ ვერტრმფრენი, ხომ იცი, რა უბედური სიზმრები ვიცი, მგონი, ღმერთმა დაგვიფარა, ხიფათს აგვარიდაო.

ვიცოდი, მატყუებდა – არ სძინებია.

მაინც დავუქნიე თავი.

ბებიაშენი კი გაგიჟდება, უკან რომ მიგიყვანო.

წამო, მაგის მამიდაშვილებთან მივიდეთ, გავახარებთ სტუმრობითო.

გავიგოთ, რას აპირებენ, წასვლას ფიქრობენ თუ დარჩენასო.

თავს ვუქნევდი, მდუმარედ ვეთანხმებოდი.

ამჯერად აღარაფერს დავკვირვებივარ, ჩემივე ფეხების მოძრაობის გარდა. თავაუწევლად ვითვლიდი:

57...

58...

59...

60...

61...

99...

100...

ერთი-ორჯერ თვლა ამერია, ვფიქრობდი, რას იტყოდა ბებიაჩემი, მე რომ დამინახავდა.

ეზოში შევედი და ცოტა დამაკლდა, რომ არ ჩავკეცილიყავი.

ბებიაჩემი ამბობდა, ბაბუაშენი იმ დღეს ჩამოდნაო.

ჭიშკრის ხმა გაიგონა და თვითონვე გამოვიდა სახლიდან.

გამოიქცა.

მომეხვია და კოცნა დამიწყო.

არაფერი უთქვამს.

მკოცნიდა ყველგან – ლოყებზე, შუბლზე, თვალებზე, ყელში, მკერდზე, ხელებზე.

შემოდით, დასხედით, დაღლილები ხართ, ახლავე ხაჭაპურს დავაცხობო.

ბაბუაჩემი ყურძნის ხეივანზე მიყუდებული კიბის საფეხურზე ჩამოჯდა. რთველამდე ერთი თვეღა დარჩაო, თქვა.

კარგი მოსავალი გვექნება, ამდენი, მგონი, არასოდეს მოუსხამსო, ბებიაჩემმა.

რამდენიმე ქუჩის იქით ცხოვრობდნენ, ზედ ზღვის პირას.

დიდი სამსართულიანი სახლი ედგათ, მთელი სანათესაო და სხვა ქალაქებიდან ჩამოსული ნაცნობ-მეგობრები მათთან ისვენებდნენ ზაფხულობით.

სავსე იყო ბავშვებით სახლი და ეზო, ამიტომ, როცა ზღვაზე მივდიოდით, ბებიაჩემს ვეხვეწებოდი, მათთან შეგვევლო.

მერე მე – თამაშში გართული და ბებიაჩემი – ლაპარაკში, გვიანობამდე ვრჩებოდით, სანამ სადმე არ მიმეძინებოდა, ბოლოს კი მანქანით მივყავდით ხოლმე შინ მამიდაშვილის შვილებს.

ჭიშკარი ღია დაგვხვდა, მთელ სახლში ჩამოეხსნათ კარ-ფანჯარა.

აღარ შევსულვართ.

კიბეზე სათამაშო მანქანა ეგდო დიდი საბარგულით, რომლითაც ადრე ქვიშას ვეზიდებოდი.

მინდოდა წამომეღო, მაგრამ ვერ გავბედე თქმა.

წასულანო, ბაბუაჩემმა.

ეზოში ყვავილები ყვაოდა ბილიკის გასწვრივ ვიდრე სახლის კარამდე.

ჩვენც ასეთივე ყვავილები გვედგა – თეთრი და იასამნისფერი ზამბახები.

შარშან ჩვენგან წაიღეს ბოლქვები.

დიდხანს იცოდნენ ყვავილობა ჩვენმა ზამბახებმა. ყველას უკვირდა, რა ჯიშია ასეთი, ამდენ ხანს რომ ძლებსო.

ბაბუა ეჩხუბებოდა ხოლმე ბებიას, ლობიო დათესე, გოგრა, ყაბაყი გაახარე. ყვავილები, რომ დავიხოცებით, შვილებმა დაგვირგონ საფლავზეო.

აღმოსავლეთიდან იყო ბაბუაჩემი და იქ სახლის წინ ეზოც კი არ აქვს ხალხს.

რა იციან ამ დასავლეთში, შინ მისასვლელად მეტრო დაგჭირდება კაცს, იმ სიშორეს აშენებენ სახლებსო.

ფეხსაცმელმა ფეხები მატკინა, ძლივსღა მივდიოდი. არც ეს მითქვამს.

ტკივილზე რომ არ მეფიქრა, ნაბიჯებს ვითვლიდი.

თავს ვარწმუნებდი, რომ ეს ასეულიც დასრულდებოდა და მომდევნოზე უკვე შინ ვიქნებოდი, მოვისვრიდი ფეხსაცმელებს, წამოვწვებოდი და დავისვენებდი.

ბებიაჩემი ფეხებს რომ მბანდა, გადაირია – წინდები სულ სისხლითაა დალაქავებული, ორივე ფეხი გადაყვლეფილი გაქვს, მოგიკვდი, რა ტყუილად გტანჯეთო.

უკანა გზაზე ბევრს მელაპარაკა ბაბუაჩემი.

მე არ მესმოდა, გონებაში ნაბიჯებს ვითვლიდი.

რამდენჯერმე კი მკითხა, ასე არ არისო?

პოლიტიკური მკვლელობები ისტორიისთვის ლაკმუსივითაა — საკმარისია, გამოვიძიოთ მათი მოტივები, რომ უნებლიეთ გავშიფრავთ მთელ რიგ ისტორიულ მოვლენებს, რომლებსაც მანამდე ყურადღებას არ ვაქცევდით. პოლიტიკური მკვლელობები ისტორიის მამოძრავებელ ძალებს შეფერილობას აძლევს და ჩვენც თვალები გვეხილება, გვეძლევა უნარი, განვასხვაოთ თეთრი შავისგან... ვინ იდგა ამ მკვლელობების უკან? რა ამოძრავებდათ დიდი და გამორჩეული ადამიანების იდეურ მოწინააღმდეგეებს? რატომ გაწირეს ერის რჩეულები სასიკვდილოდ?

აი, კითხვები, რომლებიც უნებლიეთ გვებადება... თუმცა ამ კითხვებს დამაკმაყოფილებლადაც კი ვერ ვუპასუხებთ, თუ არ გავიხსენებთ, რომელ ეპოქაში ცხოვრობდნენ ერის რჩეულები და რა წყალქვეშა დინებებთან უწევდათ შეჭიდება...

თემურ გაბუნია

პოლიტიკური მკვლელობები

ახალი ეგვიპტის ტყვეობაში

საქართველო 1801 წლიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. რას წარმოადგენდა ეს იმპერია? რუსეთის ისტორიაში ყოველთვის იყო რაღაც იდუმალი, ანუ ის, რასაც ბავშვებს სკოლის სახელმძღვანელოებში არ ასწავლიდნენ. რაღაცას უმალავდნენ დიდ ბავშვებს, ანუ უფროსებსაც. მაგალითად, ჩვენ ვერცერთ სახელმძღვანელოში ვერ ამოვიკითხავთ, რა სულიერი კავშირია რუსეთსა და ეგვიპტეს შორის, არადა შუაგულ რუსეთში მოსკოვის მავზოლეუმში მნახველებს დღესაც ელის „ახალი ფარაონის“, ლენინის მუმია.

სამაგიეროდ, სახელმძღვანელოები აშკარად ტყუიან, როცა ცდილობენ დაგვარწმუნონ, რევოლუცია ხალხმა მოახდინაო. სინამდვილეში ის მიმდინარეობდა კონსპირაციულად, ფარული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით. როგორც აკაკი ბაქრაძემ თავის ერთ-ერთ საჯარო ლექციაზე განაცხადა: „ცალკეული პიროვნებები (ლენინი, სტალინი, კამო...) და რუსი ხალხი ვერ ამოატრიალებდა მსოფლიოს ერთ მეექვსედზე გადაჭიმულ იმპერიას, პეტრე პირველის მიერ შექმნილი საიდუმლო პოლიცია გადამწყვეტ მომენტში რევოლუციონერთა მხარეს რომ არ გადასულიყო.“ საგულისხმოა, რომ ის ძალა, რომელიც იმპერიას ძირს უთხრიდა, კარგად იყო შენიღბული, სწორედ მისმა კონსპირაციულობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ დეკაბრისტების დასჯამ რუსეთის იმპერიისთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. წინასწარმეტყველური აღმოჩნდა დეკაბრისტ შტეინგელის სიტყვები, რომლებიც მან ნიკოლოზ I-ს უთხრა. მისი მტკიცებით, რუსეთში თვით რეპრესიების შემდეგაც კი „დარჩებოდა მეტი რაოდენობა ადამიანებისა, რომლებიც იზიარებდნენ საიდუმლო საზოგადოებათა აზრებსა და განცდებს“.

შტეინგელი არ ფანტაზიორობდა. სასჯელი, რომელიც მეამბოხეებმა მიიღეს, არ შეხებია მთელ დეკაბრისტულ მოძრაობას, რომელიც 6000 წევრს აერთიანებდა. დამარცხების შემდეგ უმეტესობა სასჯელს გადაურჩა. მეტიც, რეპრესიებში მხოლოდ „ჯარისკაცები“ მოხვდნენ, „გენერლებს“ კი მეფის ჟანდარმერია არ შეხებია. არ დასჯილან ისინი, ვინც „ცარსკოე სელოს“ ლიცეუმში საიდუმლო სწავლება დანერგა, ვინც რუს არისტოკრატიას თავს მოახვია საიდუმლო ორგანიზაციები. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ რაც დეკაბრისტებს უნდოდათ, რუსეთში ისედაც განხორციელდა, XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო რეფორმები. გაუქმდა ბატონყმობა, მოგვიანებით კი, 1917 წელს, არსებობა შეწყვიტა მონარქიამაც...

ბუნებრივია, მავანს შეიძლება გაუჩნდეს კითხვები: ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც 1917 წლის რევოლუციას ჩაუყარეს საფუძველი? ამ კითხვებს რომ ვუპასუხოთ, უნდა გავიხსენოთ ლენინის მიერ „რევოლუციის სარკედ“ წოდებული მწერლის, ლევ ტოლსტოის, პერსონაჟი პიერ ბეზუხოვი, რომელიც დეკაბრისტის განზოგადოებულ სახეს წარმოადგენს. პიერი ეგრეთ წოდებული ბიბლიური საზოგადოების წევრია. მას „სულიერი მოძღვარიც“ ჰყავს, რომელიც ჩააგონებს, დღეში რამდენიმე წუთი მაინც იფიქროს წვერით ქვემოთ მიმართულ სამკუთხედზე. პიერი ვერ ხვდება, რა არის ეს სამკუთხედი და რატომ უნდა იფიქროს მასზე. მან არ იცის, რომ ეს ფიგურა ანტიქრისტიანული ტრიადის (ლუციფერი, ანტიქრისტე, ცრუწინასწარმეტყველი) მისტიკური სიმბოლოა, განსხვავებით წვერით ზემოთ მიმართული სამკუთხედისგან, რომელიც ქრისტიანულ სამებას განასახიერებს. პიერს ხიბლავს რუსეთის ბატონყმობის ჭაობიდან ამოთრევის იდეა და საძმოს ბრჭყვიალა ლოზუნგი — „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“. ის მზადაა, რუსეთის უკეთესი მომავლისთვის თავი გასწიროს...

მკვეთრი ანტირელიგიური პათოსითაა გამსჭვალული დეკაბრისტი ხანიკოვის ცნობილი გამონათქვამიც: „ჩემო სამშობლოვ, ბორკილებში, მონობაში ხარ. რელიგიამ, უვიცობამ, დესპოტიზმის თანამგზავრებმა დააბნელეს, ჩაახშვეს შენი ბუნებრივი მისწრაფებანი“.

აი, ასეთი ანტიქრისტიანული სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალულები ოქტომბრის რევოლუციის წინამორბედები. მაინც როდის ჩაისახა რევოლუციის იდეა? რაგინდ უცნაურიც უნდა იყოს, უკლასო საზოგადოების შექმნის იდეა უძველესი ეგვიპტიდან მომდინარეობს. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასწლეულის წინ ეგრეთ წოდებული „ქურუმული სოციალიზმი“ ქადაგებდა, რომ ოდესმე აუცილებლად შეიქმნებოდა უკლასო საზოგადოება. ეგვიპტის უძველესი დედაქალაქის მემფისის დაარსება დაკავშირებულია პრომეთეს წინასწარმეტყველებასთან. სწორედ პრომეთეს ჩაგონებით ჩავიდა ეგვიპტეში იო, რომლის ვაჟიც გახდა ქალაქ მემფისის დამაარსებელი და ეგვიპტის პირველი მბრძანებელი. ამ შტოდან იშვა გმირი ჰერაკლე, მის შთამომავლად მიიჩნევდა თავს ალექსანდრე მაკედონელი. სიტყვა „პრომეთე“ წინასწარმეტყველს ნიშნავს. აღმოსავლურ მითოსამყაროში არსებობდა ლეგენდა ქედზე მიჯაჭვული გოლიათის გათავისუფლების შესახებ. მითის თანახმად, იგი სწორედ მაშინ უნდა გათავისუფლებულიყო, როცა უკლასო საზოგადოება შეიქმნებოდა. ასე რომ, პრომეთეს, ძველ ეგვიპტესა და მსოფლიო რევოლუციებს შორის რაღაც ღრმა სულიერი კავშირია, ამას ლენინის მუმიაც ადასტურებს, რომელიც სწორედ რევოლუციის შემდეგ გაჩნდა ისეთ ქვეყანაში, სადაც მუმიფიცირების ტრადიცია არასდროს არსებულა. ასევე არის გარკვეული კავშირი ახალ მსოფლიო წესრიგსა და ეგვიპტეს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთდოლარიანზე არ გამოსახავდნენ პირამიდას თვალით. აღმოსავლურ მითოსურ სამყაროში თვალი ხომ პრომეთეანობის, ანუ წინასწარ ხედვის სიმბოლოა. ამრიგად, ეს ყველაფერი იმას მიგვანიშნებს, რომ პირველად სწორედ პირამიდების სამშობლოში ჩაისახა „უკლასო საზოგადოებისა“ და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შექმნის იდეა.

* * *

საქართველო 1801 წლიდან 1918 წლამდე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა, 1921-1991 წლებში კი საბჭოთა კავშირისა. ეს თითქმის 200-წლიანი მონობა წააგავდა ებრაელების ეგვიპტელთა ტყვეობაში ყოფნას. ებრაელები ფიზიკური განადგურების შიშმა მიიყვანა უცხო ქვეყანაში. ძლიერი გვალვითა და შიმშილობით შეწუხებული იაკობის მოდგმა იძულებული გახდა, თავი ეგვიპტისთვის შეეფარებინა. საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის ერთ-ერთი მიზეზი ასევე ფიზიკური განადგურების საფრთხე იყო, ქვეყანა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე იდგა. თავდაპირველად ეგვიპტე ებრაელებსაც მეგობრულ ქვეყნად წარმოედგინათ, ისევე როგორც ქართველ მეფეებს — რუსეთი. მაგრამ თანდათანობით უცხო ქვეყანას შეფარებული ებრაელები დამონებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მსგავსი რამ მოუვიდათ ქართველებსაც. რუსეთი ერთმორწმუნე მეგობარი და მფარველი ეგონათ, სინამდვილეში კი ახალი ეგვიპტის ტყვეებაში აღმოჩნდნენ.

რუსეთს სასოებით მარტო საქართველო არ შეჰყურებდა. გარკვეულ ისტორიულ პერიოდში მცირერიცხოვან ქრისტიან ერებში ყალიბდებოდა იდეა ახალი ბიზანტიის შესახებ, რომელიც მათ მუსულმან დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა. ამგვარ მართლმადიდებლურ იმპერიად სწორედ რუსეთი წარმოედგინათ. რამდენად მართებული იყო ეს?

ვინც კარგად იცნობდა რუსეთის ისტორიას, უმალ მიხვდებოდა, რომ მცირერიცხოვან ქრისტიან ქვეყნებს იმედი გაუცრუვდებოდათ. მართალია, ის ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელიც აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში თურქეთს ეომებოდა და წარმატებითაც, მაგრამ თავად რუსეთი არ წარმოადგენდა მართლმადიდებლობის ფორპოსტს, პირიქით, ამ იმპერიაში მკვეთრი მართლმადიდებლური ორიენტაციის იმპერატორებს თვითონ ჰქონდათ პრობლემები. მაგალითად, იმპერატრიცა ელისაბედი გამუდმებით განიცდიდა ზეწოლას ანტიეკლესიური ძალების მხრიდან. მართალია, ის ხელს არ აწერდა მათ მიერ შემოთავაზებულ კანონპროექტებს, მაგრამ ვერც თვითონ ახერხებდა მათი თვითნებობის ალაგმვას. ელისაბედი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. პეტრეს ეპოქაში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ არა მხოლოდ იერარქები, არამედ ბერმონაზვნებიც. 1723 წელს გამოცემული ბრძანების საფუძველზე, რომელიც ბერად აღკვეცას კრძალავდა, ასობით ბერი გაკრიჭეს და მონასტრებიდან გააძევეს. მიზეზი უბრალო იყო, ისინი მინისტრთა კაბინეტის თანხმობის გარეშე აღკვეცილიყვნენ... დიახ, მართალია პეტრე პირველმა რუსეთი ძლიერ იმპერიად აქცია, მაგრამ, ახალი ტიპის, კოსმოპოლიტური არისტოკრატიის შექმნით თავისი განვითარების ბუნებრივ გზას ააცდინა. სწორედ მისი მმართველობის პერიოდში დაიწყო ის გლობალისტური პროცესებიც, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისში კიდევ უფრო ძლიერი კოსმოპოლიტურ სახელმწიფო წარმონაქმნის, საბჭოთა კავშირის, შექმნით დაგვირგვინდა.

ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ ბევრი რამ დაწერილა. ძირითადი აქცენტი კეთდებოდა იმაზე, თუ ვინ მოკლა ილია. თუმცა არანაკლებ საინტერესოა, რატომ მოკლეს ის. ილია რომ არ მოეკლა ვინმე N-ს, მას აუცილებლად მოკლავდა სხვა დაქირავებული ან წაქეზებული მკვლელი. რატომ? იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ილია უკვე აშკარად უშლიდა ხელს გავლენიან პოლიტიკურ ძალას, რომელსაც რუსეთის იმპერიაში დიდი ექსპერიმენტის ჩატარება ჰქონდა დაგეგმილი.

როდის დაიწყო რუსეთის რევოლუცია?

პირველი დარტყმა მსოფლიო რევოლუციის „არქიტექტორებმა“ იმპერიას 1721 წელს აგემეს, როდესაც მათი გავლენის ქვეშ მყოფმა იმპერატორმა – პეტრე პირველმა რუსეთში პატრიარქობა გააუქმა და სინოდი საერო პირებს, ეგრეთ წოდებულ ობერპროკურორებს დაუქვემდებარა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პეტრე პირველის ეპოქაშივე შეიქმნა კოსმოპოლიტური ორიენტაციის არისტოკრატია, რომლის შთამომავლებმაც მოგვიანებით, 1917 წელს, ტრაგედიამდე მიიყვანეს ქვეყანა. საზოგადოდ რევოლუციები მხოლოდ რევოლუციონერთა აქტიურობის გამო არ ხდებოდა. ქრისტიანული ფასეულობების არმქონე არისტოკრატიას რომ არ დაეკარგა საკუთარ ქვეყანაში ცხოვრების უფლება, ღმერთი არ დაუშვებდა 1917 წელს. ალბათ, ხალხი, რომელიც ქრისტეს ნაცვლად ვოლტერს აღმერთებდა და რაღაც წარმართულ პირველი ღამის წესს იცავდა ათი მცნების ნაცვლად, არ იყო ღირსი საკუთარ ქვეყანაში ეცხოვრა...

თუმცა ოქტომბრის რევოლუციამდე ქვეყანას, სულ ცოტა, ორი ეტაპი მაინც უნდა გაევლო (1812 წელსა და 1860-იან წლებში). 1812 წელს მსოფლიო რევოლუციის იდეოლოგებმა ამჯერად უკვე დეკაბრისტები გამოიყვანეს პოლიტიკურ ასპარეზზე. რას ითხოვდნენ ისინი? სენატის მოედანზე გასულ ამბოხებულთა მთავარი მოთხოვნა რუსეთის ბურჟუაზიულ-ლიბერალური გზით განვითარება იყო. მართალია, დეკაბრისტები დამარცხდნენ, მაგრამ მოგვიანებით მათმა იდეებმა მაინც გაიმარჯვა. 60-იან წლებში ბატონყმობა გაუქმდა, რეფორმებმა რუსეთი განვითარების ბურჟუაზიული გზით წაიყვანა. თითქოს ყველაფერი ისე უნდა მომხდარიყო, როგორც დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში. მაგრამ, როგორც ჩანს, გარკვეულ ძალებს არ აწყობდათ, რუსეთის იმპერიის თავადაზნაურობა ავტომატურად კაპიტალისტებად ქცეულიყო. მათ არ სურდათ, ძირძველი არისტოკრატია დაპატრონებოდა მსოფლიოს ერთ-მეექვსედზე გადაჭიმულ სახელმწიფოს სიმდიდრეს. რევოლუციის თეორეტიკოსების აზრით, ის ყველასი, ანუ, არავისი უნდა ყოფილიყო. საჭირო იყო ისეთი უკლასო საზოგადოების შექმნა, რომელიც ადამიანში მესაკუთრის ინსტინქტს შეძლებისდაგვარად ჩაკლავდა. სწორედ ამის გამო მოიძულეს კულაკებიც. ამიტომ ჩაუდეს თავში გაბრიყვებულ ხალხის მასებს სოციალიზმის ბრჭყვიალა იდეებიც. როგორც ჩანს, მათ ძალიან სურდათ, რომ, როცა სოციალიზმად მონათლული დიდი ექსპერიმენტი დასრულდებოდა, ხალხი ისე გალოთებულიყო, გაუქნარებულიყო და გაკრიმინალებულიყო, რომ საკუთარი მიწისა და სამშობლოს მოვლის თავი აღარ ჰქონოდა და, აი, მაშინ მთელ წიაღისეულსა და სიმდიდრეს საერთაშორისო კომპანიები და კორპორაციები დაეპატრონებოდნენ, რომელთა უკანაც ერთი მუჭა მილიარდერები იდგნენ. საბოლოო ჯამში მსგავსი რამ უნდა მომხდარიყო მთელს მსოფლიოში, თვით უმდიდრეს ქვეყანაში — აშშ-იც კი, ოღონდ უსისხლოდ. ეს პროცესი მშვენივრად აქვს აღწერილი დიდ ამერიკელ მწერალს, ჯონ სტაინბეკს, თავის რომანში „მრისხანების მტევნები“. ამერიკაშიც ერთგვარი „გაკულაკება“ მოხდა, წვრილი და საშუალო ფერმერები საკუთარი მიწებიდან აყარეს, რათა ხელფასზე დამოკიდებულ ადამიანებად ექციათ. როგორც სტაინბეკი იტყოდა: „მას, ვისაც მიწა გააჩნია, რაღაცით უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანი“, ის თავისუფალია. თავისუფალი მოქალაქეების კი დღეს ყველას ეშინია, განსაკუთრებით სპეცსამსახურებსა და იმ ორგანიზებულ ძალას, ილია ჭავჭავაძის მსგავსი დიდი ადამიანების მკვლელობები რომ დაგეგმა, ინდირა და რაჯივ განდებიც სავარაუდოდ იმის გამო ჩამოიშორეს თავიდან, ინდოეთში მძლავრი საშუალო ფენა რომ არ შექმნილიყო, როგორც ჩანს, ვიღაცას არ მოეწონა მათი აგრარული პროგრამა, სიღარიბის დაძლევას რომ ისახავდა მიზნად, რადგან ის რომ შესრულებულიყო, ქვეყანას უამრავი წელგამართული ფერმერი, ანუ თავისუფალი ადამიანი შეემატებოდა, რაც დიდი ექსპერიმენტის არქიტექტორთა გეგმებში არანაირად არ შედიოდა... მათ ერთი რამ სურდათ, მთელს მსოფლიოში მოესპოთ ძირძველი არისტოკრატია და შეძლებული გლეხები... სწორედ მსგავსი გეგმა უნდა განხორციელებულიყო რუსეთშიც, რომლის რევოლუციაც თითქმის ორი საუკუნე იყო, რაც მზადდებოდა...

და აი, დადგა მესამე ეტაპიც. საჭირო

იყო კათალიკოს-პატრიარქისა და არისტოკრატიის მხარდაჭერის გარეშე დარჩენილ მონარქიას ფეხქვეშ უკანასკნელი საყრდენიც გამოსცლოდა ხალხის სახით. რევოლუციონერებს სურდათ, მეფეს საკუთარი ხალხი დაპირისპირებოდა. ამრიგად, XIX საუკუნის 60-იან წლების შემდეგ რუსეთის იმპერიაშიც გახდა აუცილებელი (ისევე, როგორც ადრე გერმანიასა და საფრანგეთში) მასებში განათლება შეეტანათ. სინამდვილეში რევოლუციის ფარულ არქიტექტორებს სრულიადაც არ ანაღვლებდათ, განათლებული იქნებოდა თუ გაუნათლებელი რუსი, გერმანელი და ფრანგი მუშა. მთავარი იყო მუშებსა და გლეხებს მინიმუმ იმდენი განათლება მაინც მიეღოთ, რომ პროკლამაციებისა და რევოლუციური პრესის წაკითხვა შესძლებოდათ. თუმცა, პრიმიტიულად მოაზროვნე რევოლუციონერთა გარდა, ამ კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესში სამშობლოსთვის ჭეშმარიტად გულანთებული ადამიანებიც ჩაერთნენ, როგორც გერმანიასა და საფრანგეთში, ასევე, რუსეთსა და საქართველოშიც. ქართველი ეროვნული მოღვაწეების დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ მათ ეს გლობალური ტენდენციები სქართველოს სასიკეთოდ შეატრიალეს. საგულისხმოა, რომ რუსეთის იმპერიაში შემავალმა გაცილებით მრავალრიცხოვანმა დამონებულმა ერებმაც კი ვერ მოახერხეს სკოლები მშობლიურ ენაზე გაეხსნათ, ქართველებმა კი შეძლეს, რაც, უდავოდ ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის და მათი თანამებრძოლების დამსახურებაა.

ილია მომხრე იყო გლეხთა გათავისუფლებისაც, რის გამოც კონსერვატიულად განწყობილმა ერთ-ერთმა თავადმა კინაღამ ხანჯლის წვერზე წამოაგო. რატომ იყო სასარგებლო საქართველოსთვის ბატონყმობის გაუქმება? ეს რეფორმა საჭირო იყო არა მხოლოდ შრომის ორგანიზაციის უფრო თანამედროვე ტიპზე გადასვლისთვის, არამედ თბილისის გადარჩენისთვისაც. რათა გათავისუფლებული მიგრანტი გლეხების ხარჯზე თბილისი მრავალი საუკუნის შემდეგ კვლავ ქართული ქალაქი გამხდარიყო (საბოლოოდ ასეც მოხდა. XIX ს-ის ბოლოს ის ნამდვილ დედაქალაქად იქცა, როგორც კულტურული, ასევე, დემოგრაფიული თვალსაზრისითაც). ხალხში წერა-კითხვის გავრცელებამ, ქართულენოვანი სკოლების, ჟურნალ-გაზეთების და თეატრების დაარსებამ კი ხელი შეუწყო ერთიანი თანამედროვე სალიტერატურო ენის შექმნასა და კუთხური კარჩაკეტილობის აღმოფხვრას. საქართველო სულიერადაც გაერთიანდა. აი, ასეთი დადებითი შედეგები მოუტანა საქართველოს გლობალისტურმა ტენდენციებმა, რომლებიც ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამებრძოლებმა ეროვნული ენერგიის გამოღვიძებისთვის გამოიყენეს. ბუნებრივია, ისმის კითხვა, თუკი აზრთა ასეთი თანხვედრა და ჰარმონია სუფევდა ილიასა და მსოფლიო რევოლუციურ მოძრაობას შორის, მაშ, რატომღა მოკლეს საქართველოს უგვირგვინო მეფე? პასუხი საკმაოდ მარტივია. მართალია, ილია აღფრთოვანებით შეხვდა საფრანგეთის რევოლუციას და საამოდ ჩაესმა ყურში „ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა;“ მართალია, მთელი სულითა და გულით ემხრობოდა ბატონყმობის გაუქმებას, მაგრამ ის იყო „პროლეტარული რევოლუციის“ მოწინააღმდეგე. ასე რომ, დაპირისპირება ილიასა და მის მკვლელებს შორის სწორედ რევოლუციის მესამე „პროლეტარულ“ ეტაპზე წარმოიშვა.

„ილიამ გვიღალატა“, — ამბობდნენ რევოლუციურ წრეებში, — „თავიდან ჩვენს მხარეს იყო, ბოლოს კი გადაგვიდგა“. დაიწყო მუშაობა მისი დისკრედიტაციისთვის. პრესაში იბეჭდებოდა ცილისმწამებლური სტატიები სასტიკი მემამულის — ილია ჭავჭავაძის შესახებ, რომელიც თავისი სახლის აივანზე იდგა ძვირფას სამოსელში გამოწყობილი და მოურავს ბრძანებებს აძლევდა, წყაროზე წყლის წასაღებად მისული საცოდავი გლეხობისთვის კოკები დაემტვრიათ, მერე კი გაეროზგათ.

ილიას აივნიდან არანაირი წყარო არ ჩანდა, კოკებიც არავისთვის დაუმტვრევიათ და მისი ბრძანებითაც არავინ გაუროზგავთ. ილიას ახლა უბრალოდ სწორედ ის ხალხი უჯანყდებოდა, რომლის გათავისუფლებასაც შეჰხაროდა, ვისაც წერა-კითხვა ასწავლა. თავის მხრივ, ილია ჭავჭავაძესაც არ ესმოდა, რატომ უნდა შეერთებულიყვნენ „პროლეტარები ყველა ქვეყნისა“, განა ეს ტურტლიანი და გაუნათლებელი მუშების ინტერნაციონალი ილიას მსგავს თავადზე უკეთ უპატრონებდა საქართველოს? დაპირისპირებამ ილიასა და რევოლუციონერებს შორის პიკს რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ მიაღწია. რევოლუციური ძალები 1917 წლისთვის ემზადებოდნენ. ილია კი იმდენად ძლიერი პიროვნება იყო, რომ მას ყველა მტრად აღიქვამდა – მეფის ჟანდარმერიაც და რევოლუციონერებიც. წმინდანები რაღაცით გვანან მაცხოვარს, მათი მეორე, მარადიული სიცოცხლე სწორედ სიკვდილის შემდეგ იწყება. ჩვენ ის კი არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ილია მოკლეს, არამედ ის, თუ როგორ აცალეს უღირსმა ადამიანებმა ამდენი სიკეთის გაკეთება. ილია ქრისტეს გზით ვიდოდა, მანაც იტვირთა მძიმე ჯვარი. მაცხოვრისა და წმინდანების მსგავსად ილიას მეორე სიცოცხლე, სწორედ სიკვდილის შემდეგ დაიწყო. ერთხანს მისი წიგნების სახლში გაჩერებაც კი საშიში იყო. ერთი უბრალო პოლიგრაფისტისთვის თურმე სახლის ჩხრეკისას ჭავჭავაძის ავტოგრაფით ნაჩუქარი წიგნები ჯერ მეფის ჟანდარმერიას დაუწვავს, ხოლო წლების შემდეგ კი უკვე ბოლშევიკურ ენკავედეს. ილიას სახელის რეაბილიტაცია მხოლოდ 1937 წელს მოხდა, როცა სტალინის ბრძანებით ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა მწერლის ასი წლის იუბილე. მოგვიანებით ქართულმა მათლმადიდებლურმა ეკლესიამ ილია წმინდანად შერაცხა. ამიერიდან ის ილია მართლის სახელით უნდა შეერთებოდა წმინდანთა დასს.

ილია რევოლუციონერების მსხვერპლი რომ იყო და არა შემთხვევითი მკვლელის, ამას ნათლად ადასტურებს 1907 წლის შემდეგ განვითარებული მოვლენები. 1917 წელს განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ ნიკოლოზ მეორესა და მონარქის მრავალრიცხოვან ოჯახს, მოგვიანებით, საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა პოეტი ესენინი.

ილია ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ II-ის მკვლელობას (სავარაუდოდ ესენინისაც) ერთი დამკვეთი ჰყავდა, მოტივაციაც და მიზეზიც ერთი იყო: ისინი დინების საწინააღმდეგოდ მიცურავდნენ. ბოლშევიკები ემტერებოდნენ არა მარტო ცოცხალ ადამიანებს, არამედ ძველი სამყაროს სიმბოლოებსაც. ილია უმეფოდ დარჩენილი საქართველოს უგვირგვინო მეფე იყო. რევოლუციონერები არ დაინდობდნენ საქართველოს კანონიერ მეფესაც...

ბაგრატიონთა მეფობა 1907 წლამდე რომ გაგრძელებულიყო, მირონცხებულ გვირგვინოსანსაც მოკლავდნენ. რევოლუციის შემდეგ ნიკოლოზ მეორე საკუთარი ნებით გადადგა, ის უკვე არანაირ პოლიტიკურ ძალას აღარ წარმოადგენდა. მაშ, რატომ აღმართეს ხელი იმპერატორსა და მის ოჯახზე? რისთვის დასჭირდათ ეს სისხლიანი ანგარიშსწორება? ან რას ერჩოდნენ ესენინს? ნუთუ მისი ლექსები რაიმე საფრთხეს შეიცავდა?

გლობალისტური პროცესების ორგანიზატორები რუსეთს სისხლიან ექსპერიმენტს უმზადებდნენ. რუსეთი ბუნებრივი გზით რომ განვითარებულიყო, უკონტროლო და ამავე დროს უძლიერესი ქვეყანაც იქნებოდა. ის დაარღვევდა ძალთა თანაფარდობას. ერთპოლუსიანი მსოფლიო! აი, რა აშინებდათ ზეეროვნულ ძალებს ყველაზე მეტად. მათ არათუ მონარქია, მონარქიის აჩრდილიც კი აფრთხობდათ. მათთვის ასევე მიუღებელი იყო პატრიარქალური რუსული სოფელი, ესენინი კი სწორედ ამგვარი რუსული სოფლის იდილიას უმღეროდა...

როგორც თავის დროზე, ილიას მკვლელობის წინ, ამჯერადაც დაიქოქა ეშმაკის მანქანა. ამხანაგმა სვერდლოვმა გამოაქვეყნა სტატიები რუსულ პრესაში, სადაც, ის ესენინს ხულიგნობისა და ლოთობის მეხოტბეს უწოდებდა. თურმე პოეტი რუსული სოფლის სილამაზეს უმღეროდა, მაშინ როდესაც კოლექტივიზაციისთვის უნდა შეეთხზა დითირამბები. სვერდლოვის განაჩენი ასეთი იყო – ესენინი ხელს უშლიდა რუსული სოფლის „აღორძინებას“.

მალე საზოგადობამ პოეტის ტრაგიკული „თვითმკვლელობის“ ამბავი შეიტყო. ხმა გავარდა, ესენინმა, თავი ჩამოიხრჩოო... არადა, ექსპერტიზის პირველი დასკვნა ადასტურებდა, რომ პოეტის სიკვდილი თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ყელზე გაჩენილი სილურჯე უფრო გვიანდელი იყო. როგორც ჩანდა, მკვლელებმა კვალის დასაფარად თოკზე უკვე გარდაცვლილი ესენინი ჩამოკიდეს. თუმცა ექსპერტიზის ეს პირველი დასკვნა უკვალოდ გაქრა და პოეტს თვითმკვლელის იარლიყი მიაწებეს. ჭეშმარიტება ვერც XX საუკუნის ოთხმოციან წლებში ჩატარებულმა განმეორებითმა გამოძიებამ დაადგინა... ისმის კითხვა: სად არის სიმართლე? როგორ გავარკვიოთ, რა მოხდა სინამდვილეში? რაგინდ უცნაურიც არ უნდა იყოს, ესენინის საქმის გამოძიებაში არა კრიმინალისტი, არამედ მწერალი ჯორჯ ორუელი შეიძლება უფრო დაგვეხმაროს. თავის გახმაურებულ რომანში „1984“ ის აღნიშნავს, რომ სპეცსამსახურები გარკვეულ ეტაპზე კლავდნენ ხალხს, რომლებიც შემდეგში წმინდანებად და გმირებად იქცეოდნენ. სპეცსამსახურებს აღარ აწყობდათ ამდენი წმინდანი და გმირი, ამიტომ რეპრესიების მეორე ეტაპზე მათ დაიწყეს დასახვრეტი ადამიანების ჯერ დამსმენებად ქცევა წამების არაადამიანური წნეხის ქვეშ, ან მათი ავტორიტეტის შელახვა „თვითმკვლელის იარლიყის“ მიწებებით. ბუნებრივია, დამსმენებსა და თვითმკვლელებს მართლმადიდებლური ეკლესია წმინდანებად ვეღარ შერაცხავდა. ესენინთან დაკავშირებით საქმის გამოძიებას ვერც მემუარულმა ლიტერატურამ უშველა. XX საუკუნის 80-იან წლებში საქმის ხელახალი გამოძიებისთვის შედგენილი კომისიის წევრებმა არ დაუჯერეს თვით მთავარი მოწმის, იოსებ ბესარიონის ძე სტალინის „ჩვენებასაც“ კი, რომელიც თავისი საიდუმლო მრჩევლის, უსპენსიკის მტკიცებით გარკვევით აღნიშნავდა (არაოფიციალურ, კერძო საუბრებში), რომ უცნაური იყო რუსი ხალხის სიჩუმე, მაშინ როდესაც ჯან-ღონით სავსე ოცდაათი წლის პოეტი (ესენინი) თვალწინ ბოჩოლასავით დაუკლეს...

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ მეორისა და, სავარაუდოდ, ესენინის მკვლელობები ერთი და იმავე ძალის მიერ იყო დაკვეთილი. მნიშვნელობა არ ჰქონდა შემსრულებელთა ვინაობას. დამკვეთები „ახალი სამყაროს“ არქიტექტორები იყვნენ.

ჰერალდ გრიოლერი



ჰერალდ გრიოლერი (დაიბადა 1938 წელს) თანამედროვე გერმანელი პოეტი, რომანისტი, დრამატურგი და ესეისტია. ის გიოტინგენში, კილსა და კიოლნში სწავლობდა ფილოსოფიას, ფსიქოლოგიას და ისტორიას. 70-იან წლებში მიწვეული იყო აშშ-ის რამდენიმე უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად. არის მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი. 90-იან წლებში აქტიურად მონაწილეობდა ერაყის ომის წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციებში. მის პოეტურ შემოქმედებაში თავს იყრის ფილოსოფიის, ექსპერიმენტული პოეტიკისა და მასობრივი ცნობიერების კრიტიკის გამოცდილება. მისი ყოველდღიურობის ლირიკაში პროვოცირებულია სოციალური და პოეტური საწყისების ერთმანეთთან დაპირისპირება და ამ ფონზე მიმდინარეობს ლირიკული ხმის არაესთეტიზებული განღვრაგადასვლა ყოველდღიური ყოფის ურთიერთგამომრიცხავ გამოცდილებებში, მათ შორის, სოციალური კონტროლით დაწესებული საზღვრების წაშლის რომანტიკულ პროცესში. ქართველი მკითხველი, გარკვეული თვალსაზრისით, ნაჩვევი არ არის შიშველი ასოციაციებით ნაქსოვ, გამიზნულად არაპოეტურ, ეფექტური ილეთებისგან თავისუფალ ისეთ პოეზიას, რომელიც თანამედროვე ევროპულ ლიტერატურაში დომინირებს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ დღესდღეობით ევროპული ლექსი პროგრამულად განაგრძობს სასტიკი პოლიტიკური რეალობის, მომხმარებლური მორალისა და შელამაზების დიქტატურის წინააღმდეგ მოძრაობას. სწორედ ასეთი გამომწვევი ესთეტიკის ნაყოფია გრიოლერის პოეზია.

მიწა, რომელზეც არ დამედგომებოდა

გედს ვხედავ —
გედი უთუოდ მამრია —
შეფრთხიალდა და მოსწყდა
ტბის ზედაპირს.
ზევსი ისევ გამოუდგა მოჯადოებულ, სუსხიან,
სახედაბურულ ლედას
და ისევ დევნის.
მითი გრძელდება.
დღესაც ვპოულობ ლელიანში კვერცხის ნაჭუჭებს.
ღმერთები,
მარადიული სიყმაწვილე.
ზევსი,
უბერებელი ბავშვის თავი.
ღმერთები ახალგაზრდანი დარჩნენ,
მე კი ამოვიცანი უძრაობა,
რომელიც მათი უკვდავებაა.
ამ დროს ჩვენ, ადამიანები, ვბერდებით
და უცნაურად გვეცვლება სახე.
რა გასაკვირია,
სიკვდილს ვეგებებით.
მივდივართ და არ გვაკავებს უკვდავება.

→

ფერდი, განქსტერი

რა სიკეთეს მოუტანს ეს ფერდის?
ან, ვთქვათ, რას დააკლებს?

ვიღაც ლაპარაკობს,
და — არაერთხელ,
ყველგან, ერთდროულად,
გაისმა მისი ხმა.
როგორ მოახერხეთ?
ვერაფერი გამიგია.

ზოგი ამბისთვის
ორი გამგებიც კი ზედმეტია.
საპატიმროდან მიღებულ ბარათს
ჭამს რამონა ჰანიკე.
...მისი პირი ამის შემდეგ
ნელა უბრუნდება და ერთვის სახეს.
როდი ლაყბობს მოძღვართან
ყველა განქსტერის დეიდა,
როდი უხსნის გულს ფსიქოლოგს ყოველი ქვრივი.

ტელევიზორი ვერაფერი ნუგეშია ფერდისთვის.
მობილური ტელეფონიც არაფერში გამოადგება.
ტელეეკრანის უკან,
გადამცემ ბოძებთან,
ჯარისკაცები იცდიან.
ქირქილებენ და ლაქლაქებენ.
ლაქლაქებენ და ტალახში მიაბიჯებენ —
ამჯერად ჰანიკეც თან მიჰყავთ —
კურდღლის ცურცლში,
ელექტროველებით გამჭვარტლულ ცაში.

ახალი თოვლი

ჩემგან გარბიან
ხმები.

გისოსებში მივძვრები და
სპორტულ მოედანზე ვაბიჯებ.
აქ ახალ თოვლზე მორბენლის ნაკვალევია,
ვხედავ ნაფეხურებს,
ფაფუკ თოვლზე ვეძებ,
ხომ არ აკლია კიდევ ერთი ნაბიჯის კვალი.

ერთი ჩაღრმავებაც
და – აი, სულ სხვა სამყაროს კარებთან ვდგავარ,
კარი ღიაა.
შეუძლებელია, ფეხი დამიცდეს.
...რა უნდა მომხდარიყო,
რომ თოვლს კვალი არ დამჩნეოდა?

ისე იოლად
მივადექი ქვესკნელის კარებს,
თმა ყალყზე მიდგება.
თუმცა, სხვა მორბენალი,
რომელიც დავაფრთხე,
კლუბში ხალისიანად შეექცევა მუხუდოს წვნიანს.

ხილვა და ატომური სოკო

პატარა კაცი ბრძანებას გასცემს;
არაფერია!
მათ, ვინც
იმიტირებულ საფრენ აპარატში იჯდა,
ეკრძალებათ თვითმფრინავის მართვა
ოცდაოთხი საათის განმავლობაში.
ხიდზე ვდგავარ.
ეს ხიდი
ფიცრებისგან და
უხილავი ჭანჭიკებისგან ააგეს.

ჰერალდ გრიოლერი

მავანს სჯერა, რომ ხიდს
ასეთივე უხილავი ბოძები ამაგრებს.

ეს ოცნების ხიდია. თუმცა ყველგან —
საითაც მივიხედე — ხიდის ფიცრები გამომპალია.
დამპალ ღრიჭოებში შეიძლება ჩავცვივდეთ
ყველანი, მეც და სხვებიც.
მაგრამ ეს ხიდი ოცნებას ვერ სწვდება,

რუმელსბურგში მდინარეს გადაკვეთს
და, ვინ იცის, უკვე რამდენი ჩავარდა
გამომპალ ღრიჭოში,
რამდენი წინდაუხედავი მეოცნებე,
უდროო დროს გახევებული, ძილმორეული
მფრინავი?
მდინარე შრება ოცდაათი წუთით;
ვფიქრობ,
თუნდაც ბოროტ ტალღებს წავუღივარ,
თუ წყალი,
ხეს რომ ხავსმოდებულ ნაფოტებად აქცევს,
სუფთაა!

გარეუბანი

წვიმაში
გვერდს ვუვლი
უსახლკარო ლოკოკინებს.
უკან მოვიტოვე დედაბერი,
რომელიც მღერის.

ტრანსმისია

მოტოციკლი
ეტლით,
ვინ თქვა, თითქოს
მოტოციკლს მართავს,
მე,
ვინც ტრაბახობს; საკუთარ თავს ქმნის.
...უკვე ვცრუობ კიდეც.

ძრავიანი ველოსიპედი მისაბმელი ეტლით,
რომ აღარაფერი ჩაინთქას მუხრუჭებში.
ვის ჰგონია,
რომ მას არასდროს გამოუტენია პირი
ფოთლებით და ბალახით —
და რა გიჟია!

გერმანია მოფენილია სწრაფმავლებით.
... თვალს ვერ გაუწვდენ.
ვიღაც ისე ახლოს
მომყვება უკან...
ჩემი რიგი
ვიღაცის რიგს კვეთს
არა მხოლოდ ჩუმი გუგუნით.
ალუბლის მარცვალს გემოს უსინჯავს.
სამარეს მიბარებული
(რომელსაც კიდევ მიაყარეს
სამი მუჭი მიწა)
ვერაფერს იტყვის
ნახევარი ალუბლის ზომაზე.

ნაწილაკების ძიებაში, ასევე ჩემი ჩანაწერები

ღვინო, თეთრი ფაფუკი ქალები, ფაფუკი ხორბლის პური.
პური ისევ იქ დევს. „მე — იდიოტი.“
სუსტი ნათურები,
ავტომობილის სალონი
(მძევალთან ერთად).
ნეტავ, რა მინდოდა
დილით კალიას?

ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის დაცვა,
სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებულები
ყვირიან,
მე არ ვირჯები კეთილსინდისიერად.
ვხედავ ხელს, რომელმაც მძევალი აიყვანა.
და — გასაქცევ გზას.
ვიღაც კრუპიე შემოგვესწრო, საძაგელი, და ამბობს:
„ბრანკო მაგარია, გამოძვრება“
...ჩემთვის ვფიქრობ:
ჟარგონი აუთვისებია.
ბრანკო ცდილობს – სიტყვა ამოთქვას.
ყველაფერი ძლიერ გვიან არის.
გაქცეული
ასე უტიფრად, მოუმზადებლად,
და უცებ – ასე მკვდარი.
ვარწყევ. შემოწმება, ვიღაც ხელთათმანიან ხელს
იფშვნეტს.
„მაშ, როგორ?“
შემზარავი მომენტი.

უკანალში.
ყინული, რომელიც ბრანკოს ჭრილობას დააცხრობდა
...(არ არის),
ყინული, რომელიც სერავს,
აცივებს და ანაწევრებს.
გაქცეულები,
გადასახლებულები
ეცემიან, იყინებიან,
მოძულენი,
შეურიგებელნი, უკანალი უსტვენს,
უკანალს ცეცხლი უკიდია.

მოქმედება გამყინვარების ხანაში

...ქალი
თვალს არ აშორებს საკუთარ თავს, აკვირდება.
ქარისის ყვავილებისგან ართავს ნართს
ასთმატური, ასთმით სულჩადგმული.
თავისი მობილური ახლა არაფერში გამოადგება.
ხეობის კოდია ლბ. ღმერთი ჩქარა ჭკნობადი
ქარისის ყვავილისგან არის მოწნული...
ყვავილის ფურცლების წვდომადობა შეზღუდულია.
ვილანძღები, რადგან ვერავინ ამჩნევს, რომ ვილანძღები.
ხეობის ფსკერზე ვართ, აქ არის ქუჩა,
ამიტომ არიან ადამიანები, რომლებიც ჩქარობენ,
სრულიად გამქრალია ხმა,
არავითარი დისკურსი უსარგებლობისა (ასე რომ),
ვეთანხმები მობილური ტელეფონის მომხმარებელს.

მას არ უყვარს ამოუცნობი, თეთრი,
აღარ მოუწყვეტია, როგორც ქარისის ორი ყვავილი,
არც კბილებით დაუწიწკნია —
ყვავილის მტვერი
ცხვირის ნესტოებთან რომ არ იყოს ისე ახლო.

„აიფელის ფერდობებს შორის
ხომ არ უნდა გავიარო გაჯიუტებული პოსტმოდერნი“,
არა.
კარლას შეუძლია
საკუთარ თავს რადიოსადგურიც კი აჩუქოს,
გულყვითელა ველის ყვავილი,
აქ ვერაფერი შემოაღწევს, და ვერაფერი გააღწევს გარეთ.
კარლას ხმამაღალ მოთქმასაც კი
იმ ქვეყნად ვეღარავინ გაიგონებს,
„რატომ დამცინი?“
„ნუ მიშლი, რომ დაგცინო“.
„და მაინც, რატომ დამცინი?“
„დაგცინი, რომ გავმხიარულდე.“

თარგმნა მაია გოგოლაძემ

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com